გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 აგვისტო **ოთხშაბათი** 2009

№ 194 (12873) ფასი 60 თეთრი

# კირკიტაძე ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ

...ოთხი წლის წინათ, როცა ნოდარ ახალკაცი პრეზიდენტი გახდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ის და მისი თანამოაზრეები ქართულ ფეხბურთს წინამორბედზე უარეს დღეში ჩააგდებდნენ. ამ ხალხმა წყალში გადაყრილი ფულისა და ხალხის იმედების გაცრუებისთვის პასუხი უნდა აგოს...

ინტერვიუ

» გვერდი 2



## კირკიტაძე: ...თვითონ არიან უნამუსოები და მატყუარები!

## მუმლაძე გადადგა



» გვერდი 3



უტევს ვლადიმერ ბოისა

## რას შეიძლება მეტი სხვაობით

დღეს ირლანდია არ უნდა ამოვასუნთქოთ!

წინასამატჩო ამბები და ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

» გვერდი 12

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ქეცბაიამ ჯგუფი თითქმის გაინაღდა

» გვერდი 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაპირისპირება

## დავით კირკიტაძე

# ფეხბურთელები კი არა, თვითონ არიან უნამუსოები და მატყუარები!

### ...ტოპმიოლერში მილიონები გადაყარეს და მერე ხელები შეაწმინდეს, ახლა კუპერსაც ამას უპირებენ...



**ორშაბათს „პირველი არხის" გადაცემა „გოლში" ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა უჩა უგულავამ მალტასთან განცდილ მარცხში ნაკრების ფეხბურთელები დაადანაშაულა. იმავე გადაცემაში მის სიტყვებზე კომენტარი ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ გააკეთა და ქართული ფეხბურთის სავალალო მდგომარეობაში მთლიანად ფედერაცია დაადანაშაულა. ბატონ დავითი არც აქამდე ყოფილა ქართული ფეხბურთისადმი გულგრილი, ასეთი მკვეთრი განცხადების შემდეგ კი მასთან გასაუბრება საჭიროდ მივიჩნიეთ. არც შევმცდარვართ, რადგან რესპონდენტთან ძალიან ღია და კონკრეტული ინტერვიუ გამოვიდა.**

- საუბედუროდ, ქართული ფეხბურთი ისეთ სავალალო დღეშია, ამ თემაზე სასაუბროდ თქვენი გაზეთის ყველა გვერდიც კი არ მეყოფა. შევეცდები, ლაკონიური ვიყო და მოკლედ ვთქვა იმ ფაქტორების შესახებ, რამაც ასეთ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

**- სიამოვნებით მოვისმენთ თქვენს მოსაზრებებს. უპირველეს ყოვლისა, უჩა უგულავას სიტყვებზე კიდევ ერთხელ გთხოვთ კომენტარის გაკეთებას.**

- სანამ ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანი ფეხბურთელებს უნამუსოსა და სამშობლოს მოღალატეს უწოდებდეს, კარგად უნდა დაფიქრდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ფეხბურთელებს არავისზე ნაკლებად არ უყვართ საქართველო და არც პროფესიონალიზმი აკლიათ, ასე რომ, წარუმატებლობების მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ. ამდენი ხანია, ვაკვირდები და ფედერაციის ხელმძღვანელები გამუდმებით ცდილობენ, საკუთარი დანაშაული სხვებს აჰკიდონ. გარწმუნებთ, მათი ეს უბადრუკი მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს. ყველამ კარგად იცის, სად იმალება პრობლემის სათავე და დარწმუნებული ვარ, მალე ეს ხალხი საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრას ველარ შეძლებს.

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- ყველა ის ადამიანი, ვისაც ქართულ ფეხბურთზე შეგვტკივა გული, ერთად უნდა დავსხდეთ და სამოქმედო გეგმა შევიმუშაოთ. გადარჩენის გზები აუცილებლად გამოჩნდება, მთავარია, ამ სფეროს მართვის საშუალება პროფესიონალ და პატიოსან ხალხს მიეცეს. მე, როგორც ქართული ფეხბურთის რიგითი გულშემატკივარი, საამისოდ თავს არ დავზოგავ.

**- ვინ მიგაჩნიათ ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე იდეალურ კანდიდატურად?**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, ისე კი, ძალიან ვაფასებ ზუგდიდის „ბაიას" მეპატრონეს, ზვიად სიჭინავას. კარგი იქნებოდა, ფუჭი საუბრის ნაცვლად, ბევრ საფეხბურთო ჩინოსანს მისთვის მიებაძა. ამ კაცმა ზუგდიდური ფეხბურთისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და დარწმუნებული ვარ, თუ საშუალება მიეცა, ფეხბურთს მთელ საქართველოშიც შესანიშნავად მიხედავს. მე კი ქართული ფეხბურთის განვითარებაში ჩემს მცირედ წვლილს რუსთავის „ოლიმპის" საშუალებით შევიტან. ჩვენი მიზანი საქართველოს ჩემპიონობა და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის სახელის ღირსეულად გატანაა. თუმცა მინდა საზოგადოებამ ისიც იცოდეს, რომ მე ამ კლუბის არც მენეჯმენტში ვერევი და მით უმეტეს, არც სამწვრთნელო საქმიანობაში.

**- რიგგარეშე არჩევნების იდეას იზიარებთ?**

- მიმაჩნია, რომ რიგგარეშე არჩევნები საჭირო არ არის.

**- ნაკრებთან ერთად, თქვენთვის არც ფედერაციის საქმიანობის სხვა ასპექტებია მისაღები?**

- აბსოლუტურად ყველა სფეროში სრული კატასტროფაა. ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ გვაქვს, ეროვნული ჩემპიონატი არ გვივარგა, ბავშვთა ფეხბურთში დიდი განუკითხაობაა, ვეტერანებს სათანადოდ არ ეხმარებიან...

**- როცა ახალკაცსა და მისი გუნდის წევრებს ეკითხებიან, თუ რატომ მოხმარდა სახელმწიფოსგან მიღებული ფულის უდიდესი ნაწილი ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ხელფასებს, ისინი პასუხობენ, რომ ეს მათი გადასაწყვეტი არ იყო და სახელმწიფოს სურვილი იყო ასეთი...**

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა! შეგიძლიათ გადაამოწმოთ სპორტის სამინისტროსა და დეპარტამენტში. თანხების ხარჯვის მიზნობრიობა აბსოლუტურად ფედერაციის ხელმძღვანელთა პრეროგატივა იყო. მათ წარმოადგინეს პროექტი, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სოლიდური თანხის დახარჯვას მხოლოდ უცხოელი მწვრთნელების დასაქირავებლად აპირებდნენ. ასე იყო უმჯობესი მათი მერკანტილური ინტერესებისთვის. ტოპმიოლერში მილიონები გადაყარეს და მერე ხელი შეაწმინდეს, ახლაც ასე აპირებენ კუპერთან მოქცევას. ეს ხალხი თვითონაა უპასუხისმგებლო, უნამუსო და მატყუარა. მათ პარპაშს ბოლო უნდა მოეღოს!

**- ძვირად ღირებული უცხოელი მწვრთნელის მოწვევას თავის დროზე მიხეილ სააკაშვილიც მხარს უჭერდა. თქვენთვის მისი ამჟამინდელი პოზიციაც ცნობილი იქნება.**

- საქართველოს პრეზიდენტი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და როგორც თითოეული ჩვენგანი, ეროვნული ნაკრების შედეგებით ისიც იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილია. სხვანაირად ვერც იქნება. მისი ინიციატივით, ქართულ სპორტსა და განსაკუთრებით, ფეხბურთში, ქართული საზომებით დიდძალი ფული ჩაიდო, შედეგი კი ნულია. ოდნავი სასიკეთო ძვრებიც კი არ შეინიშნება, პირიქით, კატასტროფული ტემპით მივდივართ უკანუკან. დიდი ნოდარ ახალკაცისა და მერაბ ჟორდანიას დროს ფედერაციას ამის მეათედი სახსრებიც არ ჰქონია, მაგრამ ნაკრებიც გაცილებით უკეთესი გვყავდა და ჩემპიონატიც. ამათ კი სასათბურე პირობებში არაფრის შნო არ აქვთ. ოთხი წლის წინ, როცა ნოდარ ახალკაცი პრეზიდენტი გახდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ის და მისი თანამოაზრეები ქართულ ფეხბურთს წინამორბედზე უარეს დღეში ჩააგდებდნენ. ამ ხალხმა წყალში გადაყრილი ფულისა და ხალხის იმედების გაცრუებისთვის პასუხი უნდა აგოს!

**...ზვიად სიჭინავამ ზუგდიდური ფეხბურთისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და დარწმუნებული ვარ, თუ საშუალება მიეცა, ფეხბურთს მთელ საქართველოშიც შესანიშნავად მიხედავს...**

■

**...აბსოლუტურად ყველა სფეროში სრული კატასტროფაა. ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ გვაქვს, ეროვნული ჩემპიონატი არ გვივარგა, ბავშვთა ფეხბურთში დიდი განუკითხაობაა, ვეტერანებს სათანადოდ არ ეხმარებიან...**

**- ქვემო ქართლის საფეხბურთო კლუბებთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი გქონდათ, ფედერაციის თემაზე კი წინა არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, აღარც გისაუბრიათ...**

- შეძლებისდაგვარად, თავს ვიკავებდი ჩემი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებისგან, მაგრამ მალტაზე სამარცხვინოდ წაგებამ მოთმინების ფიალა ამივსო. და ასეთი კოშმარული მარცხის შემდეგ ამ სირცხვილის ერთ-ერთი მთავარი ავტორი სხვას უწოდებს უნამუსოს, რაც უკვე ეთიკის ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

**- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის...**

- ...მე კი მინდა მადლობა გადავუხადო „ლელოს", ქართული ფეხბურთის ერთგული სამსახურისთვის. ბოლოს კიდევ ერთ საჭირბოროტო საკითხზე მსურს მკითხველის ყურადღების შეჩერება. მხედველობაში მაქვს ჯანო ანანიძის საკითხი. დიდია იმის საფრთხე, რომ ეს უნიჭიერესი ფეხბურთელი რუსებს ჩაუვარდეთ ხელში და თუ ასე მოხდა, ეს მთლიანად ჩვენი ფედერაციის ბრალი იქნება. რომ არა ამ ხალხის არაკომპეტენტურობა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ანანიძის საქართველოს ნაკრებში თამაში საფრთხის ქვეშ არ დადგებოდა. დიდი ნოდარ ახალკაცი პირადად ჩადიოდა მოსკოვში და თითქმის დაკარგული ფეხბურთელები ჩამოჰყავდა, ამათ კი ელექტრონული ფოსტისა და ფაქსის მეტი არაფერი იციან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოფიციოზის პოზიცია

### უჩა უგულავა

# ეგ თანხა სწორედაც რომ მიზნობრივია!

ქვემო ქართლის გუბერნატორ **დავით კირკიტაძესთან** საუბრის შემდეგ გადავწყვიტეთ, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **უჩა უგულავას** დავკავშირებოდით. აი, რა გვითხრა უგულავამ:

„დავით კირკიტაძე სახელმწიფო მოხელეა და მისი ნათქვამის კომენტარისგან თავს შევიკავებ. იმას კი გეტყვით, რომ სახელმწიფომ ეროვნულ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მოწვევის პროექტი დააფინანსა. დიახ, ეს თანხა სწორედაც რომ მიზნობრივია. ასე იყო კლაუს ტოპმიოლერის დროს და ასეა ახლაც. რაც შეეხება ჩვენს სხვა პროექტებს, რომელიც საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა მიმართულებებს ეხება, ეს ინფორმაცია ყველასთვის საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, გაეცნოს".



მკითხველს მოეხსენება, რომ „პირველი არხის" გადაცემა „გოლში" უგულავამ, მალტურ ფიასკოზე საუბრისას, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა თამაშით აღშფოთება ვერ დამალა.

„რა თქმა უნდა, როგორც ფეხბურთის რიგითი ქართველი გულშემატკივარი, მეც აღშფოთებული ვარ. ის ვთქვი, რომ ფეხბურთელებმა უჯიგროდ ითამაშეს. მალტასთან, თუნდაც სტუმრად, ჩვენი ნაკრები არ უნდა აგებდეს. მალტა იმ დონის ნაკრები არ არის, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი დაამარცხოს. ახლაც ამ პოზიციაზე ვარ".

უგულავას **ექტორ კუპერის** მიმართ ფედერაციის დამოკიდებულებაზეც დავეკითხეთ. მალტასთან წაგების შემდეგ კუპერის მოხსნაზეც გავრცელდა ხმები. რეალობა კი ის არის, რომ არგენტინელი ჯერჯერობით ნაკრების მწვრთნელად რჩება. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ფედერაცია კუპერს კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს.

„ფეხბურთის ფედერაციასთან ექტორ კუპერის კონტრაქტი ამ წლის ბოლოს იწურება. ხმები ამ ხელშეკრულების განყვეტასთან დაკავშირებით, სიმართლეს არ შეესაბამება. კუპერი პარასკევს დაბრუნდება თბილისში და მასთან საუბარიც სწორედ ამის შემდეგ შედგება. ჯერჯერობით, ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით".

**დავით ცაბაძე**

პრობლემა

### ნოდარ ახალკაცი

# ანანიძეს არ დავკარგავთ

## ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანოს მამას შეხვდა

ითამაშებს თუ არა მოსკოვის „სპარტაკის" 16 წლის ვირტუოზი **ჯანო ანანიძე** ეროვნულ ნაკრებში და არის თუ არა რეალური მისი დაკარგვის საფრთხე? ეს კითხვა მომდევნო კვირაში კვლავ აქტუალური იქნება - სწორედ მომდევნო კვირაში გამოაქვეყნებს ეროვნული ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი** იტალიასთან 5 სექტემბრის თბილისური მატჩისთვის გამოსაძახებელთა სიას...



კუპერმა ანანიძე მალტასთან ამხანაგური მატჩისთვისაც გამოიძახა, მაგრამ... ფედერაციაში ჯანოს მიერ ხელმოწერილი წერილი მივიდა, რომელშიც 16 წლის ფეხბურთელი აცხადებს, რომ მისთვის ჯერ ადრეა ეროვნულ გუნდში თამაში. ამ წერილის უკან რუსული ხელწერა იშიფრება - ეტყობა, ჩვენს ჩრდილოელ ვაიმეზობელს ანანიძე თავისი ნაკრებისთვის ჰყავს შეგულებული და საქართველოსთვის მის დათმობას რომ არ აპირებენ, ამაზე 16 წლის ტალანტისთვის შეთავაზებული მილიონებიც მეტყველებს - დიახ, საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარის სანაცვლოდ ჯანოს 2 მილიონ დოლარზე მეტი შესთავაზეს.

ფედერაციაში მისული ხსენებული წერილის შემდეგ, არა თუ თავად ჯანოსთან, მის მშობლებთან დაკავშირებაც კი შეუძლებელი გახდა. ამან ბევრი პესიმისტურად განაწყო. თუმცა ასე ნამდვილად არ არის საქმე. როგორც გუშინ გავიგეთ, დროებით სამშობლოში დაბრუნებულ ჯანოს მამას, **ამირან ანანიძეს**, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** შეხვდა. ეს ინფორმაცია სანდო წყარომ მოგვაწოდა და მოგვიანებით დადასტურდა კიდეც. ამ შეხვედრის შემდეგ ახალკაცს დავუკავშირდით. აი, რა გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა:

„ჯანოს მამასთან შეხვედრამდეც აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ ფეხბურთის ფედერაციაში მოსული წერილი ფეხბურთელის ნება-სურვილსა და პოზიციას არ შეესაბამებოდა. ეს იყო მოსკოვის „სპარტაკის" პოზიცია და არა - ანანიძის. სხვათა შორის, ექტორ კუპერთან საუბარში „სპარტაკის" თავკაც ვალერი კარპინის არგუმენტიც ანალოგიური იყო - ჯანო ჯერ პატარაა და ეროვნულ ნაკრებში მისი თამაში ნაადრევიაო. ჩვენ საკმაოდ მკაცრი მიმოწერა გვქონდა მოსკოვის „სპარტაკთან". მათ განაცხადეს, რომ ფიფაუეფას წესებით მოქმედებდნენ - ანუ, ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელს არ აფერხებდნენ, მაგრამ თავად ანანიძეს არ ჰქონდა ჩვენს ეროვნულ ნაკრებში თამაშის სურვილი. არასრულწლოვანი ფეხბურთელის სურვილებზე აპელირება, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელია. „სპარტაკში" კარგად იციან, რომ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელი კლუბისგან 5 დღის განმავლობაში თავისუფალია. ამიტომაც იყო, რომ იმ 5 დღის განმავლობაში ანანიძეს არსად უთამაშია... აქვე გეტყვით, რომ ეს არ არის რუსების მხრიდან ამგვარი ხერხით ფეხბურთელების გადაბირების პირველი შემთხვევა. ჩემს უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობიდან ვიცი, რომ ბელარუსმა და მოლდოვამ ასე არაერთი ფეხბურთელი დაკარგეს - მაგალითად, მოლდოვამ დაახლოებით ათამდეც კი. ანალოგიური იყო გიორგი ნავალოვსკისა და, თუ არ ვცდები, გოჩა ხოჯავასიც... მაგრამ მოდით, ისევ ჯანოს თემას დავუბრუნდეთ. ის არასრულწლოვანია და მისი წარმომადგენელი გახლავთ მამა - ამირან ანანიძე. მას ახლახან შევხვდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჯანოს მხოლოდ საქართველოს ნაკრებში სურს თამაში, მაგრამ რუსებს ჩაფიქრებული აქვთ, იურიდიული ფანდებით მას ამ სურვილზე ხელი აალებინონ. გასაგებია „სპარტაკის" მიზანი - მათ უნდათ, რომ ჯანო ლეგიონერად არ ჩაითვალოს და ამიტომაც სთავაზობენ რუსული პასპორტის აღებას. თუმცა ეს ჩვენთვის და თავად ანანიძეების ოჯახისთვისაც მიუღებელია. რუსული კანონმდებლობა ორმაგ მოქალაქეობას არ ითვალისწინებს. ვისაც სურს რუსული პასპორტის მიღება, მან საჯაროდ უნდა განაცხადოს და წერილობით მიმართოს შესაბამის ორგანოს, რომ უარს ამბობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მისცემენ რუსეთის პასპორტსა და მოქალაქეობას... ის, რომ რუსული პასპორტის მოლოდინში ამ ქვეყნის დატოვება პასპორტის აღებას რამდენიმე თვით გადასწევს, აბსურდია. ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრებში სურთ ანანიძის გამოძახება... თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ - ჯანოს მხოლოდ საქართველოს ნაკრებში სურს თამაში და მოხარული ვარ, რომ მისი პოზიცია დღემდე არ შეცვლილა. მას ჩვენგან სრული მხარდაჭერა ექნება, მაგრამ მისგანაც გვჭირდება, ასე ვთქვათ, „საგოლე პასი", რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე მყარად იდგეს თავის გადაწყვეტილებაზე... მჯერა, ასეც იქნება. ბატონი ამირანი ამ დღეებში გაემგზავრება მოსკოვში შვილთან. ჯანოს მოუწევს, გაუძლოს დიდ ცდუნებას. დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთოდ გადაწყდება", - გვითხრა ახალკაცმა.

ალეო და ხვალეო. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

# მუმლაძე გადადგა

„ნესტორ მუმლაძე კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და თავისი გადაწყვეტილება გააცნო - ის „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან საკუთარი სურვილით გადადგა".

...ასეთია „ვიტ ჯორჯიას" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ბუნებრივია, ერთობ მოულოდნელი ამბის დეტალების შესახებ კომენტარი კლუბის ხელმძღვანელობასაც ვთხოვეთ და თავად მუმლაძესაც. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ ფაქტი უკომენტაროდ დატოვა, ასევე მოიქცა მუმლაძეც, მაგრამ დაგვპირდა, რომ ჩვენთვის ნებისმიერ საინტერესო ნებისმიერ საკითხზე დღეს გაგვესაუბრება. „ლელო" ამ თემას ხვალინდელ ნომერში უფრო ვრცლად გააშუქებს.

ნესტორ მუმლაძემ ვეტერინარებში ოთხი წელიწადი გაატარა და საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა - გუნდი ერთხელ გააჩემპიონა, ორჯერ კი ვერცხლის მედლები მოაპოვებინა. მუმლაძის შეცვლის სტაჟიანი ჯორჯიელი მერაბ კოჭლაშვილი, რომელსაც გელა გომელაური დაეხმარება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



U 17. საერთაშორისო ტურნირი

# ფრე ლატვიასთან

გუშინ ლიტვურ პალანგაში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პირველ ტურში ლატვიას შეხვდა. სანამ უშუალოდ შეხვედრაზე მოგითხრობდეთ, გეტყვით, რომ ლიტვაში ნაკრებს ვერ დაეხმარება **გიორგი ჭანტურია** - 16 წლის თავდამსხმელი „ბარსელონას" ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე ახლავს.

**გიორგი დევდარიანის** გუნდმა თავიდანვე შეუტია და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. გოლის გატანა ჯერ **ხოჭოლავას** შეეძლო, მერე **სხირტლაძეს**. მე-10 წუთზე მსაჯმა მოედნიდან ხოჭოლავა გააგდო, რამაც ქართველების უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენებმა მიიჩნიეს, რომ დამწყებმა ლიტველმა არბიტრმა სიტუაცია არაობიექტურად შეაფასა და ხოჭოლავა უსაფუძვლოდ გააძევა...

ამის მიუხედავად, უპირატესობას დევდარიანის შეგირდები ფლობდნენ. ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნის შანსი **კოშაძეს** ჰქონდა, მაგრამ ზუსტად ვერც მან დაარტყა. მერე ლატვიელებმა რაღაც ნახევარმომენტის მაგვარი შექმნეს, მაგრამ ვითარება მცველებმა განმუხტეს.

მატჩის ბოლოს, ქავთარაძის მშვენიერი გადაცემის შემდეგ, კვლავ კოშაძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ბურთი კარს ააცილა. ლიტვაში იმყოფება „საბურთალოს" გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე**, რომლის თქმითაც, რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, ჩვენმა ფეხბურთელებმა დარჩენილი 70 წუთი შეტევებში გაატარეს და მეტოქე ფიზიკურად კი დაჯაბნეს, მაგრამ მაინც უგოლო ფრეს დასჯერდნენ.

მეორე ჯგუფში ლიტვა, უკრაინა და აზერბაიჯანი თამაშობენ. პირველ მატჩში ლიტველებმა უკრაინას 4:1 მოუგეს.

**საქართველო-ლატვია 0:0**

**პალანგა.** ცენტრალური სტადიონი

**საქართველო: ლეგაშვილი - მაჭავარიანი, გაგნიძე, დოლიძე, ტვილდიანი - ზარნაძე (არველაძე), ხუბუა, ყაზაიშვილი, კოშაძე - ხოჭოლავა, სხირტლაძე (ქავთარაძე).**

**მერაბ მამულაშვილი**

სკანდალი არაფრის გამო

# ბახვა თედეევი:
# ცხინვალის სპარტაკი რუსეთის ჩემპიონატში არ ითამაშებს!



2008 წლის 23 აგვისტო. ცხინვალის სპარტაკისა და ვლადიკავკაზის ალანიას ამხანაგური მატჩის წინ რუსეთისა და ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის დროშები აღმართეს

საქართველოსა და რუსეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ცხინვალის „სპარტაკის" შესაძლო მონაწილეობამ რუსეთის ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ ამ სახელით ორი კლუბი არსებობს, ერთი გორში თამაშობს და საქართველოს ჩემპიონატში გამოდის, მეორე კი ცხინვალშია და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის საფეხბურთო პირველობაში გამოდის. რუსეთში გავრცელდა ხმები, რომ თუკი ცხინვალელთა ასპარეზობა რუსეთის ჩემპიონატში დადასტურდება, მაშინ სფფ რუსეთის ფეხბურთის კავშირს ფიფაში უჩივლებს და მის დისკვალიფიკაციას მოითხოვს.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის ცოტაოდენი ახსნა მოგვიწევს, თუ რატომ არის განწირული ასეთი საჩივარი, თუკი სფფ მაინც გადაწყვეტს ფიფაში ჩივილს. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიას საფეხბურთო პირველობა არ არის დაკავშირებული რუსეთის საფეხბურთო კავშირთან, ეს ჩემპიონატი მისი ეგიდით არ ტარდება. მეტიც, ცხინვალის „სპარტაკი" (სეპარატისტების) ამ ჩემპიონატში 2006 წლიდან მონაწილეობს. 2006 წელს „სპარტაკმა" მე-5 ადგილი დაიკავა, 2007-შიც ანალოგიური წარმატება გაიმეორა, შარშან კი გუნდი 61 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა. როგორ შეიძლება უჩივლო ორგანიზაციას იმ გუნდის გამო, რომელიც მისი ეგიდით გამართულ ტურნირში არ მონაწილეობს?

გუშინ რუსეთის საფეხბურთო ლიგის წარმომადგენლებმა უარყვეს, რომ მათი ეგიდით ჩატარებულ რომელიმე ტურნირში მონაწილეობს, ან მომავალში მიიღებს მონაწილეობას ცხინვალის „სპარტაკი". სპეციალური განცხადება გააკეთა **ბახვა თედეევმაც**, საქართველოში აღზრდილი ყოფილი ფეხბურთელი ახლა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სპორტის მინისტრის მოადგილეა: *„ცხინვალის „სპარტაკი" რუსეთის ჩემპიონატში თამაშს არ აპირებს. ეს ფანტასტიკის სფეროა, საიდან მოაქვს სფფ-ს ასეთი ცნობები, უცნაურია".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ასათიანი ისევ სიმბოლურშია

გასულ უქმეებზე რუსულ პრემიერლიგაში **მალხაზ ასათიანისა** და **დავით მუჯირის** „ლოკომოტივმა" მოსკოვურ დერბიში ცსკა 2:1 დაამარცხა. ხსენებულ შეხვედრაში ასათიანი სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან შეუცვლელად ითამაშა. მუჯირი კი ბოლომდე სათადარიგოთა შორის დარჩა. როგორც ჩანს, ასათიანი უკვე კარგ ფორმაშია. მისი თამაში 5.5 ბალით შეფასდა. ქართველი მცველი ვებგვერდმა „რუსფუტბოლმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. საგულისხმოა ისიც, რომ საიტისთვის სიმბოლური ნაკრების შედგენაში პოპულარული კომენტატორი **ვლადიმირ მასლაჩენკო** მონაწილეობს. ასათიანი ცენტრალურ მცველად, თანაგუნდელ **როდოლფოსთან** ერთად, არის დასახელებული. შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი ვებგვერდის ვერსიით მალხაზ ასათიანი წინა ტურშიც მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. ასე რომ, მცველი, ვინც **ექტორ კუპერს** ნაკრებში კარგა ხანია აღარ უხმია, ფორმაშია და ეროვნულში მისი გამოჩენა სასარგებლო უნდა იყოს. *„თამაშს კარგად კითხულობდა. მეტოქის სახიფათო ჩაწოდებებს ანეიტრალებდა. არმიელთა ახალწვეულ გონსალესის აქტიურობის ჩაცხრობა თავდაპირველად ცოტა კი გაუჭირდათ, მაგრამ ეს მისია შეასრულეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იური სიომინის ხელში „ლოკომოტივის" დაცვას სტაბილურობა და საიმედოობა აშკარად დაეტყო"*, - ასეთია ვლადიმირ მასლაჩენკოს აზრი როდოლფო-ასათიანი დაცვის ტანდემზე.

## ჯანაშია ლოკომოტივში ისევ ითამაშებს

ტანმორჩილი, ჩაფსკვნილი, მაგრამ მოუღლელი და გამრჯე... გოლი და საფირმო მალაყი... ალბათ გაგახსენდათ **ზაზა ჯანაშია**, რომელსაც „ლაციოს" კარში გატანილი გოლის შემდეგ რომაულმა კლუბმაც კი დაადგა თვალი. ჯანაშია ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის" ბავშვთა გუნდში მწვრთნელად მუშაობს. მას რკინიგზელთა მაისურით კვლავ ვიხილავთ მოედანზე, თანაც ვარსკვლავებთან ერთად. საქმე ის არის, რომ 8 სექტემბერს მოსკოვში "ლეგენდების მატჩი" გაიმართება. შეხვედრა რკინიგზელთა გუნდის ყველა იმ ვარსკვლავს ეძღვნება, რომლებიც კლუბის ისტორიაში არიან შესულნი. „ლოკოს" ვეტერანები რუსეთის ვეტერანთა ნაკრებს გაეჯიბრებიან. რკინიგზელებს ამ შეხვედრაშიც **იური სიომინი** უხელმძღვანელებს. სიომინის გუნდში **სერგეი ოვჩინიკოვი, ზაურ ხაპოვი, დმიტრი ლოსკოვი, ვადიმ ევსეევი** და ზაზა ჯანაშია ითამაშებენ. რაც შეეხება რუსეთის ვეტერანთა ნაკრებს, **ოლეგ რომანცევმა** ეს ფეხბურთელები შეარჩია: **რინატ დასაევი, ანდრეი კანჩელსკისი, ახრიკ ცვეიბა, დმიტრი ანანკო, იური კოვტუნი** და სხვები.

**დავით ცაგაძე**

ტურის ფეხბურთელი



გიორგი მერებაშვილი

# პასის გაკეთება ისე მომეწონა, გოლებს აღარ გავიტან!

თბილისის „დინამომ" ჩემპიონატის ლიდერი ცხინვალის „სპარტაკი" 5:0 გაანადგურა. ეს, თავისთავად, სენსაცია გახლდათ, მაგრამ ამ შეხვედრაში არანაკლებ სენსაციური ფაქტი მოხდა: გუნდის ლიდერმა და გასული ჩემპიონატის ერთ-ერთმა ბომბარდირმა გიორგი მერებაშვილმა სამი საგოლე გადაცემა გააკეთა (!).

ერთი შეხედვით, მისი ამპლუის ფეხბურთელისგან ეს რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით - ამ ნიჭიერ ფეხბურთელს უპირველესად ბურთის ზედმეტი „თრევის" გამო საყვედურობენ. „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების შეხვედრებიდან, უამრავი მომენტის გახსენება შეიძლება, როდესაც მერებაშვილმა ფინტებსა და დრიბლინგებს მომენტი გადააყოლა.

ვიცოდით, რომ ამის გამო მას გუნდშიც საყვედურობდნენ. ბოლო დროს მერებაშვილს რაღაც ცვლილებები დაეტყო და „სპარტაკთან" საკუთარი შესაძლებლობები საუცხოოდ გამოავლინა და სასიამოვნოდ გაგვაოცა. შეიძლება ითქვას, ფეხბურთელის სასურველ ფერიცვალებასთან გვაქვს საქმე.

თავად გიორგი მერებაშვილიც აღიარებს, რომ ასეთი ფეხბურთი გუნდისთვის გაცილებით სასარგებლო და სასურველია.

**- გიორგი, ცხინვალის „სპარტაკთან" აბსოლუტურად სხვა ფეხბურთი აჩვენეთ. ასე რადიკალურად რამ შეგცვალათ?**

- გავიზარდე, 15 აგვისტოს 23 წლის გავხდი, მეტიც ვისწავლე, მეტი გავაცნობიერე. ფეხბურთში ჩახედულმა ყველა ადამიანმა იცის, რომ ჩემი კოზირი ინდივიდუალიზმი და გამწვავების უნარია. თუმცა ხშირად ზედმეტები მომდიოდა. ექტორ რაულ კუპერი და კახა კაჭარავა სულ ამას მსაყვედურობდნენ, თავი ასწიე და გუნდისთვის უფრო სასარგებლო გახდებიო. თქვენ როგორ ფიქრობთ, მე არ მესმოდა, რომ დროული გადაცემები უფრო საჭირო იყო? სამწუხაროდ, აზარტში შესულს დროული გათვლა მიჭირდა, მაგრამ ვცდილობდი, თამაში გამომესწორებინა და რადგან ამაზე გაამახვილეთ ყურადღება, ეტყობა, მართლა შევიცვალე და ეს მიხარია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალიზმს დავკარგავ. მეორე უკიდურესობა საკუთარ პლუსზე უარის თქმა იქნებოდა.

**- თუ იცით, ზედმეტი ინდივიდუალიზმის გამო ხუმრობით „ადამიანი-პასს" რომ გეძახდნენ?**

- (იცინის) არ ვიცოდი, მაგრამ ახლა ნაღდად აღარ დამიძახებენ.

**- მოდით, ალალად ვთქვათ - ყველაზე გამაღიზიანებლად ჩერნოგორიასთან ითამაშეთ. მგონი, იმ დღეს საერთოდ დაგავიწყდათ, რომ ფეხბურთში პასებიც კეთდება...**

- (იცინის) მძიმე შემთხვევა იყო, თანაც თავდასხმაში დამაყენეს, სადაც თამაში მიჭირს. ჩემი სტიქია შეტევების წამოწყება და გამწვავებაა. წმინდა ფორვარდად თამაში არ შემიძლია.

**- თქვენი ჰეთ-თრიკი მახსენდება, მაგრამ ერთ შეხვედრაში სამი საგოლე გადაცემა?!**

- რა სამი გადაცემა, ჩემგან ერთიც უკვირდათ. ეს მართლა დიდი ნაკლი მქონდა და იმედია, ასეთ ფეხბურთს აღარ დავუბრუნდები. სიცილით მახსენდება ეპიზოდი, რომელიც ბავშვობაში შემემთხვა: 13 თუ 14 წლის ვიყავი და კარლო მჭედლიძის აკადემიაში ვვარჯიშობდი. ერთი შეხვედრისას ხუთი მცველი მოვატყუე, მაგრამ კარის წინ გახსნილ თავდამსხმელს არ გადავაწოდე, მახვილი კუთხიდან დავარტყი და ავაცილე. ბატონმა კარლომ მისაყვედურა, პასი რატომ არ მიეციო? ბავშვური გულწრფელობით ვუპასუხე, ამდენი ვიწვალე და შრომას წყალში ხომ არ ჩავყრიდი-მეთქი. ეს ნაკლი შემდეგშიც ბევრჯერ მახსენებდა თავს, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდი და თავს ვიმართლებდი. იმედია, ამიერიდან მაინც არ მისაყვედურებენ.

**- დინამოელები შენი ფერიცვალებით გაოცებულები იქნებიან. „სპარტაკთან" შენს გადაცემაზე მათე ვაწაძე აშკარად გაოცებული მოგვარდა, თითქოს ვერ იჯერებდა, რომ მეკარესთან პირისპირ გასულმა პასი მიაწოდე.**

- მარტო მათე კი არა, ყველა გაოცებულია, მითხრეს, მაგარი თამაში ჩაატარე, შენგან ამდენი პასი ძალიან გაგვიკვირდაო. საბედნიეროდ, ძველი გაგება გადავხარშე და (იცინის) მორჩა, აღარ მინდა გატანა, ამიერიდან მხოლოდ პასებს გავაკეთებ. ეს ხუმრობით, თორემ გოლებზე უარს როგორ ვიტყვი, მაგრამ გუნდისთვის უფრო მეტი ხალისით ვითამაშებ.

**- მართალია, თითქოს ივლისში „ვერდერი" გიწვევდა?**

- ლაპარაკი იყო, მაგრამ საბოლოოდ კონკრეტიკამდე საქმე არ მისულა და დღეისთვის ეს ვარიანტი გამოირიცხა.

**- ანუ, „დინამოში" რჩები?**

- ჯერ არ ვიცი. ისე, გასინჯვებზე და გაურკვევლად აქეთ-იქით სიარულს „დინამოში" თამაში მირჩევნია. ამ საქმეში აჩქარება არ მილირს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქველმოქმედება და სეპარატიზმი

# სამაჩაბლოს გერმანელები ეხმარებიან

## რუსები კი სეპარატისტულ გუნდს პატრონობენ

**გერმანიის საფეხბურთო კავშირი „სამაჩაბლოს" დაეხმარება. ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მიერ შექმნილი საფეხბურთო კლუბი კარგა ხანია არსებობს, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ მისი დახმარების საშუალება არ იყო. ბუნებრივია, ეს სკოლის არსებობას საფრთხეს უქმნიდა...**

„სამაჩაბლოს" ხელმძღვანელი **ფაცო ნასუაშვილი** ბედნიერია, რომ ბევრი ადამიანი თუ ორგანიზაცია გუნდს საკუთარი სურვილით დაეხმარა, მათ შორის, უცხოეთიდან.

*„ჩვენს სატკივარს ცხინვალის „სპარტაკის" პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი გულისყურით მოეკიდა და ყველანაირად გვერდში დაგვიდგა - შიდა ქართლის გუბერნატორს სთხოვა, რომ „სამაჩაბლოსთვის" წლის ბიუჯეტში 60 ათასი ლარი ჩაერიცხა. გვეხმარება თბილისის „დინამოც" - ბუბა ტყავაძემ, გია ჯიშკარიანმა და გია ისიანმა გერმანიის საფეხბურთო კავშირი შეაწუხეს, ვითარება აუხსნეს და ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო: გრანტის სახით, გერმანელებმა თანხა ჩაგვირიცხეს. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს, შევიძინოთ ინვენტარი, ფორმები და მოვაწყოთ გასახდელები. ჩვენთვის ესეც დიდი საქმე იქნება. არ არის გამორიცხული, უახლოეს პერიოდში საქართველოს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ესტუმროს და გორში „სამაჩაბლოს" საფეხბურთო სკოლა მოინახულოს. ამას გარდა, ველაპარაკე ფედერაციის ხელმძღვანელობას - უჩა უგულავას, რევაზ არველაძესა და გოგი ქავთარაძეს. თავის მხრივ, მათგანაც მივიღე დაპირება. ლაპარაკია მწვრთნელების ხელფასის გადახდაზე. სამწუხაროდ, უფულობის გამო, მწვრთნელებს ვერაფერს ვუხდიდით და მეშინოდა, ფეხბურთიდან არ წასულიყვნენ. ბოლოს და ბოლოს, თითოეულ მათგანს ოჯახი ჰყავს და ლუკმაპურის ფული უნდა შეიტანონ. ასე რომ, ფედერაციის დაპირება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. გვერდში დაგვიდგა „ფან ფუტბოლის" თავკაცობაც: გვესტუმრნენ ვალერი ჩოლარია, ბადრი ქარქაშაძე, ბადრი მაჭავარიანი და ბურთები და სავარჯიშო გადმოგვცეს. რაც მთავარია, თანადგომას სამომავლოდაც შეგვპირდნენ",* - ამბობს ნასუაშვილი.

ის დარწმუნებულია, რომ სკოლას სულ უფრო მეტი ბავშვი მიაწყდება: *„ახლა „სამაჩაბლოში" ორასამდე ბავშვი ვარჯიშობს. მათ ის იზიდავს, რომ სკოლა უფასოა. მალე გორში დევნილებისთვის ახალ კოტეჯებს ააშენებენ და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, მოსწავლეთა რაოდენობა სამასამდე გაიზრდება. „სამაჩაბლო" მსოფლიოში უნიკალური საფეხბურთო სკოლაა. ჩვენ ისეთი ხალხი გვეხმარება, ახლა არაფრის აღარ მეშინია. არადა, დასამალი რა არის, მეგონა, რომ ჩვენი ბედი არავის აინტერესებდა",* - გვითხრა ნასუაშვილმა.

„სამაჩაბლოს" სკოლა მოქმედებს, მაგრამ უსახსრობის გამო, დღემდე საქართველოს ჩემპიონატებში ვერ მონაწილეობდა: *„ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია იმხელა ფინანსური სახსრები, სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ჩემპიონატებში რომ ჩავერთოთ. საამისოდ, საჭიროა საწევროს გადახდა, ტრანსპორტირების, ეკიპირების ფული. დღემდე მხოლოდ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ და ხაშურის ტურნირი ვითამაშეთ. ეს იყო და ეს. თუმცა ბოლო დროს ისეთი დახმარებები მივიღეთ, არ არის გამორიცხული, ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადიც გავაკეთოთ".*

„სამაჩაბლოს" ხელმძღვანელი რუსეთის დაფინანსებულ და ხელშეწყობილ სეპარატისტების ცხინვალის „სპარტაკზეც" გველაპარაკა: *„სხვათა შორის, სანაკოევს ცხინვალიდან ვიცნობ, ძველი ხელბურთელია, მაგრამ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია. მან ახლა ისეთი ხალხი მიიყვანა „სპარტაკის" მმართველობაში, რომელთაც კლუბის გაძლიერება შეუძლიათ. გუნდს ევროთასებზე გასვლა სურს და არ გამიკვირდება, სამეულში მოხვდეს. ეს არა მარტო „სპარტაკისთვის", არამედ მთელი ქვეყნისთვის იქნება სასურველი, დევნილთა გუნდი ევროსარბიელზე რომ გავიდეს. იმავეს ვიტყოდი „გაგრასთან" დაკავშირებით. იცით, ამაზე რატომ ვამახვილებ ყურადღებას? დიდი ხანია რუსები ოსებს აგულიანებდნენ, გუნდს უფინანსებდნენ და ახლა რუსეთის მეოთხე დივიზიონში გამოსვლის უფლება დართეს. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ანალოგიური მცდელობა იყო 1994 წელსაც. ცხინვალიდან გაზეთი ჩამომიტანეს, სადაც ეწერა - ოსების „სპარტაკი" რუსეთის დაბალ დივიზიონში დაუშვესო. მაშინ ერთი ამბავი ავტეხეთ, უფროსმა ნოდარ ახალკაცმა და დავით კვინიკაძემ საქმე ფიფამდე მიიტანეს. რუსებს სასჯელის შეეშინდათ და გუნდი მოხსნეს. თუმცა „ოქტიაბრსკი" დაარქვეს და ჩრდილო ოსეთის ჩემპიონატში ჩართეს. რუსები გუნდს ყველანაირად ეხმარებოდნენ, შარშანდელი მოვლენების შემდეგ კი აღარაფერს მალავენ და გუნდი ჩემპიონატში ფიფას ნებართვის გარეშე ჩართეს. წესით, ფიფამ ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს. სხვათა შორის, მაშინ ახალკაცმა მთხოვა, რამდენიმე ოსი დაიმატეო. დაველაპარაკე რამდენიმე ცხინვალელს და სიამოვნებით წამოვიდნენ. თუმცა ამას ოსებმა პოლიტიკური დატვირთვა მისცეს და ბიჭებს საყვედურობდნენ. ჩვენ მათი გვესმოდა და პრობლემას ავარიდეთ. თუმცა ერთი მათგანი საკმაოდ დიდხანს გვეხმარებოდა. წესიერი და გულიანი ბიჭია და ცხინვალშიც დიდ პატივს სცემდნენ",* - ამბობს „სამაჩაბლოს" ხელმძღვანელი.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო ნასუაშვილს - სეპარატისტულ „სპარტაკს" რუსები ახლა პრინციპულად დაეხმარებიან. ამ შემთხვევაში, მათთვის მნიშვნელოვანია იმის დემონსტრირება, რომ მათი პატრონაჟის ქვეშ მყოფი ოსური ფეხბურთი რამხელა წარმატებებს აღწევს. საამისოდ, ფულსაც არ დაინანებენ.

ასე რომ, ჩვენი „სამაჩაბლო", ცხინვალის „სპარტაკი" და „გაგრა" კიდევ მეტ ყურადღებას და თანადგომას საჭიროებს. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი დახმარება. საბედნიეროდ, რუსები ტანკებით არ გვიტევენ, მაგრამ ტანკების ნაცვლად საქმეს ფეხბურთი აკეთებს.

სხვათა შორის, ბოლო ორი წელია, ქართული მიწის მტაცებლები ცხინვალის „სპარტაკის" ფეხბურთელების დამცირებას ცდილობდნენ. იყო შემთხვევა, რამდენიმე მათგანს სეპარატისტულ „სპარტაკში" გადასვლა საკმაოდ სოლიდური პირობებით შესთავაზეს. საბედნიეროდ, უფულო ქართული გუნდის არც ერთი წევრი ცდუნებას არ აჰყვა.

ახლა რუსეთში ეკონომიკური კრიზისია, ჩვენი „სპარტაკის" ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდური გახდა და მილიონ ლარს გადააჭარბა. ასე რომ, ჩვენს ფეხბურთელებს დასაცინი არაფერი სჭირთ. მთავარია, დევნილთა გუნდები და საფეხბურთო სკოლები („სპარტაკი", „გაგრა", „სამაჩაბლო" და „გაგრას" სკოლა) ისე განვითარდნენ, ფამაგუსტას „ანორთოსისის" დონეს მიაღწიონ. თუმცა დახმარება მხოლოდ ფინანსური სახის უნდა იყოს და გუნდების ხელოვნურ დაწინაურებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

„ანორთოსისი" დევნილების ერთადერთი უცხოური გუნდი არ გახლავთ. ანალოგიური სულისკვეთებით შეიქმნა ბერძნული კლუბები - ათენის აეკ-ი და სალონიკის პაოკ-ი. პირველის აბრევიატურა ასე იშიფრება - „ათლეტები კონსტანტინოპოლიდან", მეორე კი „პატრიოტი ათლეტები კონსტანტინოპოლიდან".

გავიხედოთ სამეზობლოშიც - აზერბაიჯანელები „ყარაბახს" დღემდე ენთუზიაზმით აფინანსებენ. თავის მხრივ, სეპარატისტებიც ბრძოლის თავისებურ მეთოდს იგონებენ და აუღიარებელი ქვეყნების ჩემპიონთა ლიგისა და საერთაშორისო ტურნირების ჩატარებაზე ოცნებობენ. თუმცა გაუგებარია, რატომ იმედოვნებენ კატალონიელთა დაყაბულებას - დაუჯერებელია, „ბარსელონა" კოკოითის „სპარტაკთან" შეხვედრას დათანხმდეს. ეს თავიდან ბოლომდე რუსული იდეაა, რომელიც კომუნიზმივით განუხორციელებელ ოცნებას ჰგავს.

პოლიტიკური ბრძოლის საფეხბურთო მიმართულება ჩვენი მოგონილი არ არის, მაგრამ საინტერესო ფორმაა და დროა, მისი მნიშვნელობა საქართველოშიც ყველამ გააცნობიეროს. ყოველწლიურად არ უნდა დაისვას კლუბის დაფინანსების საკითხი, ეს კანონივით უნდა იყოს...




### სეპარატისტული კლუბის ამბები

საინტერესო უნდა იყოს სეპარატისტული ცხინვალის „სპარტაკის" ისტორია და სიახლეები, რომელიც „ვიკიპედიასა" და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოზე მოვიძიეთ.

1993 წლის 2 მაისს „სპარტაკმა" ოსეთის ჩემპიონატში სადებიუტო შეხვედრა ვლადიკავკაზის სკგმი-სთან გამართა.

1994: პირველად გახდა ოსეთის ჩემპიონი.

90-იანი წლების შუა პერიოდში, პოლიტიკური მიზეზების გამო, ჩემპიონატში მონაწილეობას სხვა სახელით (ვლადიკავკაზის „იუნოსტი") აგრძელებს *(ეს პოლიტიკური მოტივები რუსებმა რომ არ დააკონკრეტეს, ფაცო ნასუაშვილმა გაგვიმხილა - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას რუსების დასჯა მოსთხოვა. ნასუაშვილის მიერ ნახსენები დრო ვიკიპედიის მონაცემებს ზუსტად ემთხვევა).*

2006 წელი: კლუბი იბრუნებს სახელს „სპარტაკი".

2007 წელს კლუბი ხელახლა „მონათლეს" - „ცხინვალი".

2008 წელს აღუდგინეს სახელი - „სპარტაკი".

2008 წლის 23 აგვისტო - „სპარტაკი" საკუთარ მოედანზე ამხანაგურად მასპინძლობს „ალანიას". როგორც რუსები წერდნენ, მატჩი „ქართველთა აგრესიის" შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა.

ოსეთის ჩემპიონი: 1994, 1995, 2005; ვერცხლისმედალოსანი 1993; ოსეთის თასის მფლობელი: 1999, 2002, 2005.

ისტორია მეორდება: ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **უჩა უგულავამ** განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფასა და უეფას რეაგირებას მოსთხოვს. ცნობილი გახდა, რომ რუსები ერთ-ერთ დაბალ დივიზიონში ჩართვას უპირებენ.

*„თუკი ეს ინფორმაცია დადასტურდება, ფიფასა და უეფას რუსეთის საფეხბურთო კავშირის მიმართ სანქციების გატარებას მოვთხოვთ, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოკვეთასაც კი",* - ამბობს უგულავა.

ქართული მხარის პოზიცია სამართლიანია, რადგან ცხინვალის რეგიონი საქართველოა და უეფას რანგით ჩატარებულ ტურნირებში მხოლოდ ლეგიტიმური კლუბი დაიშვება.

ამჟამად ოსების „სპარტაკი" რუსეთის ჩემპიონატის დაბალ ლიგაში არალეგიტიმურად მონაწილეობს. „ოსური რადიოს" 15 აპრილის ცნობით, სამხრეთოსური ფეხბურთის ფლაგმანი (?!) ცხინვალის „სპარტაკი" ოსეთის ჩემპიონატისთვის მზადებას ასრულებდა. ოსეთის ჩემპიონატი კი რუსეთის საფეხბურთო კავშირის ეგიდით ჩრდილო ოსეთში ტარდება. ეს არის პირდაპირი მტკიცებულება, რომ რუსები სეპარატისტებს საკუთარ ჩემპიონატში არა სამომავლოდ, არამედ დიდი ხანია ათამაშებენ.

კლუბს ტრანსპორტირების პრობლემა მოეხსნა, რადგან ახალი ავტობუსი **ედუარდ კოკოითიმ** გადასცა. ის კლუბის წევრებს შეხვდა, სეზონის სამზადისზე ელაპარაკა და უახლოეს მომავალში „სპარტაკის" საერთაშორისო ტურნირებში მიწვევებით დააიმედა.

*„მალე სამხრეთ ოსეთის სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა და ცხინვალის სტადიონის რეკონსტრუქცია სწრაფი ტემპით წარიმართება, ეს საქმეს ალინა კაბაევას საქველმოქმედო ფონდმა ითავა",* - განაცხადა კოკოითიმ.

**მერაბ მამულაშვილი**

ისტორია

# ქართული გუნდები ევროტურნირებზე

დასასრული

## 2003-04

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-ტირანა (ალბ) 3:0
(ლ. მელქაძე, ანჩაბაძე, ვ. დარასელია)
ტირანა-დინამო 3:0, პენ 4:2

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ლანსი (საფ)-ტორპედო 3:0
ტორპედო-ლანსი 0:2

პუხოვი (სლო)-სიონი 3:0
სიონი-პუხოვი 0:3

### ინტერტოტოს თასი

პაშინგი (ავს)-ვიტ ჯორჯია 1:0
ვიტ ჯორჯია-პაშინგი 2:1
(ლ. მელქაძე, ე. მერებაშვილი)

## 2004-05

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიტ ჯორჯია-ტორსჰავნი (ფარ) 5:0
(გოჩაშვილი, მარცვალაძე, დილმელაშვილი, ინწკირველი, ებანოიძე)
ტორსჰავნი-ვიტ ჯორჯია 3:0

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიტ ჯორჯია-ვისლა (პოლ.) 2:8
(თ. კობიაშვილი, ადამია)
ვისლა-ვიტ ჯორჯია 3:0

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ბატე (ბელ)-დინამო 2:3
(კაკალაძე, გონჩაროვი, რომერო)
დინამო-ბატე 1:0
(კვირკველია)
თბილისი-შამქირი (აზერ.) 1:0
(გ. ნუგზარის ძე ჭელიძე)
შამქირი-თბილისი 1:4
(გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, მიკუჩაძე-2, გ. კვარაცხელია)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

სლავია (ჩეხ)-დინამო 3:1
(ლ. მელქაძე)
დინამო-სლავია 2:0
(ლ. მელქაძე, კანკავა)
თბილისი-ლეგია (პოლ) 0:1
ლეგია-თბილისი 6:0

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ვისლა (პოლ)-დინამო 4:3
(კანკავა, ალადაშვილი, კლოსი-საკ. კარში)
დინამო-ვისლა 2:1
(ნემსაძე, კაკალაძე)

#### ჯგუფური ეტაპი

დინამო-სოშო (საფ) 0:2
ნიუკასლი (ინგ)-დინამო 2:0
დინამო-სპორტინგი (პორ) 0:4
პანიონიოსი (საბ)-დინამო 5:2
(კაკალაძე, ახალაია)

### ინტერტოტოს თასი

#### I ეტაპი

მარეკი (ბულ)-დილა 0:0
დილა-მარეკი 0:2

## 2005-06

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ლევადია (ესტ)-დინამო 1:0
დინამო-ლევადია 2:0
(ლ. მელქაძე, ორბელაძე)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-ბრონდბიუ (დან) 0:2
ბრონდბიუ-დინამო 3:1
(ს. იაშვილი)

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ბანანცი (სომ)-ლოკომოტივი 2:3
(ალავერდაშვილი, ქებაძე, გ. ონიანი)
ლოკომოტივი-ბანანცი 0:2
ტორპედო-ბატე (ბლრ) 0:1
ბატე-ტორპედო 5:0

### ინტერტოტოს თასი

#### I ეტაპი

ლომბ. პაპა (უნგ)-ვიტ ჯორჯია 2:1
(ებანოიძე)
ვიტ ჯორჯია-ლომბარდ პაპა 0:1

## 2006-07

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

სიონი-ბაქი (აზე) 2:0
(ჩასემი, უგრეხელიძე)
ბაქი-სიონი 1:0

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ლევსკი (ბულ)-სიონი 2:0
სიონი-ლევსკი 0:2

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

არტმედია (სლო)-ვიტ ჯორჯია 2:0
ვიტ ჯორჯია-არტმედია 2:1
(დ. ლომაია, რაზმაძე)
ამერი-ბანანცი (სომ) 0:1
ბანანცი-ამერი 1:2
(წინამძღვრიშვილი, დობროვოლსკი)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ჰერტა (გერ)-ამერი 1:0
ამერი-ჰერტა 2:2
(დავითნიძე, დავითაშვილი)

### ინტერტოტოს თასი

#### I ეტაპი

კილიკია (სომ)-დინამო 1:5
(დვალი-2, ტორნინი, ხუციშვილი, ბობოხიძე)
დინამო-კილიკია 3:0
(გრიგალაშვილი, გიგაური, ს. იაშვილი)

#### II ეტაპი

რიდი (ავს)-დინამო 3:1
(გრიგალაშვილი)
დინამო-რიდი 0:1

## 2007-08

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი-ასტანა (ყაზ) 0:0
ასტანა-ოლიმპი 3:0

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ბელხატოვი (პოლ)-ამერი 2:0
ამერი-ბელხატოვი 2:0, პენ 2:4
(ტატანაშვილი, დავითაშვილი)
დინამო-ვადუცი (ლიხ) 2:0
(გ. მერებაშვილი, აკირემი)
ვადუცი-დინამო 0:0

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-რაპიდი (ავს) 0:3
რაპიდი-დინამო 5:0

### ინტერტოტოს თასი

ტობოლი (ყაზ)-ზესტაფონი 3:0
ზესტაფონი-ტობოლი 2:0
(საჯაია, კ. ჩხეტიანი)

## 2008-09

### ჩემპიონთა ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-რუნავიკი (ფარ) 3:0
(გ. კაშია, გველესიანი, ოდიკაძე)
რუნავიკი-დინამო 1:0

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

პანათინაიკოსი (საბ)-დინამო 3:0
დინამო-პანათინაიკოსი 0:0

### უეფას თასი

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

დიორი ეტო (უნგ)-ზესტაფონი 1:1
(ვიეირა)
ზესტაფონი-დიორი ეტო 1:2
(ბ. გოცირიძე)
სპარტაკი (სლო)-ვიტ ჯორჯია 2:2
(დ. ლომაია, რაზმაძე)
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი 1:0
(რაზმაძე)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ავსტრია (ავს)-ვიტ ჯორჯია 2:0
(საქართველოში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო, უეფას გადაწყვეტილებით მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდა)

### ინტერტოტოს თასი

#### I შესარჩევი ეტაპი

ეტცელა (ლუქ)-ლოკომოტივი 0:0
ლოკომოტივი-ეტცელა 2:2
(ჩირიკაშვილი, ალექსიძე)

## 2009-10

### ჩემპიონთა ლიგა

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიტ ჯორჯია-მარიბორი 0:0
მარიბორი-ვიტ ჯორჯია 3:1
(ვ. კვარაცხელია)

### ევროპის ლიგა

#### I საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი-ბ 36 (ფარ) 2:0
(გ. მეგრელაძე-2)
ბ 36-ოლიმპი 0:2
(სირბილაძე, ხუბუა)
ლისბერნი (ჩრ. ირ)-ზესტაფონი 1:5
(გელაშვილი-2, გრიგალაშვილი-2, აფციაური)
ზესტაფონი-ლისბერნი 6:0
(დვალი-3, ბენაშვილი - 2, გელაშვილი)

#### II საკვალიფიკაციო ეტაპი

ლეგია (პოლ)-ოლიმპი 3:0
ოლიმპი-ლეგია 0:1

ზესტაფონი-ჰელსინბორგი (შვე) 1:2
(ბენაშვილი)

ჰელსინბორგი-ზესტაფონი 2:2
(დვალი, გელაშვილი)

მეტალურგსი (ლატ)-დინამო 2:1
(ხმალაძე)

დინამო-მეტალურგსი 3:1
(მერებაშვილი-2, გ. კაშია)

#### III საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-ცრვენა ზვეზდა (სერ) 2:0
(მერებაშვილი, ხმალაძე)

ცრვენა ზვეზდა-დინამო 5:2
(ლეკიჩი-საკ. კარში, ვანაძე)

### დინამო

72 მატჩი, 30 მოგება, 9 ფრე, 33 წაგება
ბურთების სხვაობა: 92-117

### ვიტ ჯორჯია

23 მატჩი, 7 მოგება, 3 ფრე, 13 წაგება
ბურთების სხვაობა: 24-46

### ტორპედო

22 მატჩი, 8 მოგება, 3 ფრე, 11 წაგება
ბურთების სხვაობა: 31-38

### ლოკომოტივი

14 მატჩი, 2 მოგება, 5 ფრე, 7 წაგება
ბურთების სხვაობა: 10-28

### ბათუმი

12 მატჩი, 5 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება
ბურთების სხვაობა: 20-19

### კოლხეთი

10 მატჩი, 1 მოგება, 9 წაგება
ბურთების სხვაობა: 7-29

### ზესტაფონი

8 მატჩი, 3 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება
ბურთების სხვაობა: 18-11

### ამერი

6 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება
ბურთების სხვაობა: 6-7

### ოლიმპი

6 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება
ბურთების სხვაობა: 4-7

### სიონი

6 მატჩი, 1 მოგება, 5 წაგება
ბურთების სხვაობა: 2-11

### თბილისი

4 მატჩი, 2 მოგება, 2 წაგება
ბურთების სხვაობა: 5-8

### მერანი

4 მატჩი, 2 მოგება, 2 წაგება
ბურთების სხვაობა: 8-5

### სამტრედია

2 მატჩი, 2 წაგება
ბურთების სხვაობა: 0-3

### მარგვეთი

2 მატჩი, 1 მოგება, 1 წაგება
ბურთების სხვაობა: 3-4

### დილა

2 მატჩი, 1 ფრე, 1 წაგება
ბურთების სხვაობა: 0-2

## ევროტურნირების ყველა ქართული გოლი

### დინამო 92

ა. იაშვილი-6, დ. მუჯირი-5, შ. არველაძე-4, კ. გოგიჩაიშვილი-4, გ. მერებაშვილი-4, ლ. ხომერიკი-4, ვ. დარასელია-4, ლ. მელქაძე-4, მ. კაკალაძე-3, გ. ქინქლაძე-2, გ. კიკნაძე-2, გ. ჯამარაული-2, ზ. ზირაქიშვილი-2, გ. შაშიაშვილი-2, ლ. ახალაია-2, ჯ. კანკავა-2, გ. ანჩაბაძე-2, ჯ. დვალი-2, შ. გრიგალაშვილი-2, ს. იაშვილი-2, ლ. ხმალაძე-2, გ. კაშია-2, ო. გველესიანი-1, დ. ოდიკაძე-1, დ. გიგაური-1, მ. ბობოხიძე-1, მ. ხუციშვილი-1, ს. ორბელაძე-1, გ. ნემსაძე-1, რ. არველაძე-1, გ. ინალიშვილი-1, მ. ყაველაშვილი-1, გ. დემეტრაძე-1, რ. კერძევაძე-1, მ. აშვეთია-1, რ. ალექსიძე-1, ლ. ცქიტიშვილი-1, დ. კვირკველია-1, ბ. გონჩაროვი-1, კ. ალადაშვილი-1, კ. მიკუჩაძე-1, კ. გოგოლაძე-1, კ. წიტაიშვილი-1, კარლოსი-1, რომერო-1, ტორნინი-1, მ. ვანაძე-1, კლოსი (ვისლა, საკუთარ კარში), ლეკიჩი (ცრვენა ზვეზდა, საკუთარ კარში).

### ტორპედო 31

გ. მეგრელაძე-7, დ. ჯანაშია-5. ზ. იონანიძე-4, კ. კვეტენაძე-3, ზ. ვაჩიბერაძე-2, მ. ასათიანი-2, მ. აშვეთია-2, შ. ხუჯაძე-1, ვ. ხვადაგიანი-1, კ. ჩხეტიანი-1, გ. იმედაძე-1, ზ. ქუთათელაძე-1, ა. პორომინი-1.

### ვიტ ჯორჯია 24

ლ. მელქაძე-4, ლ. რაზმაძე-3, დ. ლომაია-2, ვ. გოჩაშვილი-2, ი. ებანოიძე-2, ვ. კვარაცხელია-1, ა. გოგობერიშვილი-1, თ. დოლიძე-1, გ. ყიფიანი-1, კ. წუწუნავა-1, ე. მერებაშვილი -1, ო. მარცვალაძე-1, დ. დილმელაშვილი-1, ა. ინწკირველი-1, თ. კობიაშვილი-1, გ. ადამია-1.

### ბათუმი 20

თ. ტულუში-4, პ. მაჭუტაძე-3, დ. უჯმაჯურიძე-3, ჯ. ჩუხუა-2, ა. მუჯირი-2, გ. შეყილაძე-1, რ. თორლაშვილი-1, თ. სიჭინავა-1, ი. მახარაძე-1, ა. ღლონტი-1, დავიდსენი (ტორსჰავნი, საკუთარ კარში).

### ზესტაფონი 18

ჯ. დვალი-4, ნ. გელაშვილი-4, ა. ბენაშვილი-3, შ. გრიგალაშვილი-2, თ. აფციაური-1, ბ. გოცირიძე-1, კ. ჩხეტიანი-1, ე. საჯაია-1, ვიეირა-1.

### ლოკომოტივი 10

ზ. ჯანაშია-2, ლევ. ქებაძე-2, გ. ანჩაბაძე-1, გ. ალავერდაშვილი-1, გ. ონიანი-1, ლაშა ქებაძე-1, ი. ჩირიკაშვილი-1, რ. ალექსიძე-1.

### მერანი 8

ბ. კვარაცხელია-3, მ. მაზიაშვილი-2, ბ. ამბიძე-1, დ. გოდერძიშვილი-1, ს. დავითაშვილი-1.

### კოლხეთი 7

ბ. ამბიძე-2, ნ. მიქაბერიძე-1, გ. დარასელია-1, ზ. ღლანიძე-1, დ. ხუჭუა-1, თ. კიკლიაშვილი-1.

### ამერი 6

ს. დავითაშვილი-2, რ. წინამძღვრიშვილი-1, გ. დავითნიძე-1, დ. დობროვოლსკი-1, დ. ტატანაშვილი-1.

### თბილისი 5

კ. მიკუჩაძე-2, გ. ნუგზარის ძე ჭელიძე - 2, გ. კვარაცხელია-1.

### ოლიმპი 4

გ. მეგრელაძე-2, ი. სირბილაძე-1, გ. ხუბუა-1.

### მარგვეთი 3

მ. ლონლაძე-1, ზ. ენდელაძე-1, მ. უკლება-1.

### სიონი 2

ჩასემი-1, ვ. უგრეხელიძე-1.

## საუკეთესო ბომბარდირები

9 - გიორგი მეგრელაძე (ტორპედო, ოლიმპი); 8 - ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია, დინამო); 6 - ალექსანდრე იაშვილი (დინამო); 5 - დავით მუჯირი (დინამო), დავით ჯანაშია (ტორპედო), ჯაბა დვალი (დინამო, ზესტაფონი).

## დიდი ანგარიშით მოგება

ბათუმი-ტორსჰავნი (ფარერები) 6:0 (1996/97, თასების თასი); ტორპედო-ერებუნი (სომხეთი) 6:0 (1998/99 ინტერტოტოს თასი); ზესტაფონი-ლისბერნი (ჩრ. ირლანდია) 6:0 (2009/10, ევროპის ლიგა).

## დიდი ანგარიშით წაგება

კოლხეთი-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:7 (1998/99, უეფას თასი), ლოკომოტივი-პაოკ (საბერძნეთი) 0:7 (1999/00, უეფას თასი), ვიტ ჯორჯია-ვისლა (პოლონეთი) 2:8 (2004/05, ჩემპიონთა ლიგა), ტრუა (საფრანგეთი)-ვიტ ჯორჯია 6:0 (2001/02, ინტერტოტოს თასი), ლეგია (პოლონეთი)-თბილისი 6:0 (2004/05, უეფას თასი).

გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა



1993-2009 წლები ქართველ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი გოლი ევროთასებზე გიორგი მეგრელაძეს აქვს გატანილი

ჩემპიონთა ლიგა

პლეი ოფი. პირველი მატჩები

# ცალი ფეხით ლიგაში

ამას წინათ, „ლელოსთან" ინტერვიუში ტირასპოლის „შერიფის" 38 წლის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** აღნიშნა - კარიერა მხოლოდ იმიტომ არ დავასრულე, რომ მსურდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ერთხელ მაინც მეთამაშა. გუშინდელი მატჩის შემდეგ ვაჟას, სულ მცირე, კიდევ ერთი წლით მოუწევს კარიერის გაგრძელება (რასაც მხოლოდ მივესალმებით), რათა ოცნება აისრულოს - „ოლიმპიაკოსთან" საშინაო მარცხის შემდეგ „შერიფს" ჯგუფში მოხვედრის თეორიული შანსიღა შერჩა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს - რამდენადაც გვწყინს თარხნიშვილის გუნდის წარუმატებლობა, იმდენადვე გვახარებს **თემურ ქეცბაიას** მორიგი წარმატება. მისი „ოლიმპიაკოსი" ცალი ფეხით ლიგის ჯგუფურ ეტაპზეა. ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში ქეცბაია ამას უკვე ორი სხვადასხვა გუნდით მოახერხებს...

ტირასპოლის სტადიონი პირთამდე შეივსო. პირველ ტაიმში გოლები არ გასულა. დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, ბრაზილიელმა **დუდუმ** შორი მანძილიდან მოსინჯა მეკარე **ნამაშკოს** მზადყოფნა - მასპინძელთა გოლკიპერმა ორიენტაცია დაკარგა და არცთუ აუღებელი დარტყმა გაუშვა. 81-ე წუთზე „ოლიმპიაკოსმა" ერთიც გაიტანა. თავი გამოიჩინა შეცვლაზე შესულმა **მიტროლლუმ,** რომელსაც საამისოდ სულ რაღაც ერთი წუთი დასჭირდა - 2:0 და პირეოსში „ოლიმპიაკოსი" ამხელა უპირატესობას „შერიფს" კი არა, მასზე უფრო მაღალი კლასის გუნდსაც არ დაუთმობს.

**თემურ ქეცბაია:**

„რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულები ვართ - ჩვენ ხომ ასე ახლოს ვართ ჯგუფურ ეტაპთან. პირველ ტაიმში კარგად ვერ ვითამაშეთ, სამაგიეროდ, მეორე ნახევარი საჩვენოდ წარიმართა. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ დაპირისპირების 90 წუთი კიდევ წინ გვაქვს. ჩვენ ყველა მატჩს სერიოზულად მივუდგებით. გვსურს, რაც შეიძლება შორს გავაღწიოთ ლიგის წლევანდელ გათამაშებაში. ამ ეტაპზე, თამაშის ხარისხი არ არის საუკეთესო, თუმცა ახლა მთავარი შედეგია".

კიდევ ერთი დაპირისპირება, სადაც, ფაქტობრივად, გაირკვა ორი რაუნდის გამარჯვებული, რუმინეთში გაიმართა. „ტიმიშოარამ" შინ 0:2 დათმო გერმანიის მესამეადგილოსან „შტუტგარტთან". პირველი ტაიმის 3-წუთიან მონაკვეთში ჯერ **ტიმო გებჰარდტმა** გაიტანა პენალტით, ხოლო შემდეგ ბელარუსმა **ალექსანდრ გლებმა** შესანიშნავი სოლოგოლი გაიტანა.

„არსენალსაც" მშვიდად შეუძლია, გადაერთოს პრემიერლიგის მატჩებზე - **არსენ ვენგერის** გუნდმა გლაზგოში „სელტიკი" ასევე 2:0 დაამარცხა. პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში ფრანგმა მცველმა **უილიამ გალასმა** გახსნა, 71-ე წუთზე კი **გერი კოლდუელმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ყველაზე საინტერესოდ ლისაბონური შეხვედრა წარიმართა. „სპორტინგისა" და „ფიორენტინას" პაექრობა 2:2 მორჩა. საპასუხო მატჩის წინ იტალიური კლუბი აშკარა ფავორიტია. „ვიოლა" უკვე მე-6 წუთზე დაწინაურდა მცველ **ვარგასის** გოლის წყალობით. 58-ე წუთზე ჩერნოგორიელმა **სიმონ ვუკჩევიჩმა** ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ იქვე მეორე ყვითელი ბარათიც მიიღო და მასპინძლები რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. 66-ე წუთზე **ველოზუმ** ბრწყინვალე შორეული დარტყმით „სპორტინგი" წინ გაიყვანა, თუმცა მასპინძლებმა ბოლომდე ვერ გაძლეს - თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე **ჟილარდინომ** საჯარიმოში მკერდით მიიღო ბურთი და ახლო მანძილიდან მიწაზე დაუშვებლად გაიტანა - 2:2.

„კოპენჰაგენმა" მოკრძალებულ აპოელ-ს (კვიპროსი) მხოლოდ 1:0 მოუგო და საპასუხო მატჩის წინ იმედი ჩაუსახა.



თემურ ქეცბაია

**სელტიკი-არსენალი 0:2**

**სელტიკი:** ბორუცი - კოლდუელი, ჰინკელი, ლოოვენსი, ფოქსი - დონატი (56. მაკდონალდი), ბრაუნი, მაკგიდი, ნ'გუემო (76. მაკკორტი) - მელოუნი, სამარასი (56. ფორჩუნი).

**არსენალი:** ალმუნია - სანია, გალასი, კლიში - ფაბრეგასი, ვერმალენი, სონგი, არშავინი (69. დიაბი), დენილსონი - ვან პერსი, ბენდტნერი.

**გოლები:** 0:1 გალასი (43), 0:2 კოლდუელი (71-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 58 000

**კოპენჰაგენი-აპოელ 1:0**

**კოპენჰაგენი:** ქრისტიანსენი - პოსპეხი, ანტონსონი, ვენდტი, მატ. იორგენსენი - ჰათჩინსონი, ნორეგაარდი, კვისტი, გრონკიაერი - სანტინი (22. ნ'დოიე), ჟოზე ალმეიდა (75. ნორდსტრანდი).

**აპოელ:** ჩიოტისი - ჰაჯი, პაულო ჟორჟე, მორაიში, გრნჩაროვი - კონტისი, კოსოვსკი (86. ბრეშკა), საციასი (69. მარ. ჟევლაკოვი), პინტუ, ხარალამპიდისი (77. ალექსანდრუ) - მიროსავლევიჩი.

**გოლი:** 1:0 პოსპეხი (54)

**გაძევება:** ჰაჯი (90. აპოელ)

**მაყურებელი:** 30 000

**შერიფი-ოლიმპიაკოსი 0:2**

**შერიფი:** ნამაშკო - კარპოვიჩი, თარხნიშვილი, როდრიგესი, არბანიაში (70. ბულატი) - კორნეევცოვი, სუვოროვი (55. სუვოროვი), დიედუ (81. ბრანკოვიჩი), რუამბა - ბალიმა, ეროხინი.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი - მიხ. ჟევლაკოვი, მელბერგი, რაულ ბრავო (48. დომი), პაპადოპულოსი - ზაირი, გალეტი (62. ლეონარდო), მარესკა, ლედესმა, დუდუ - დიოგო (80. მიტროლლუ).

**გოლები:** 0:1 დუდუ (46), 0:2 მიტროლლუ (81)

**მაყურებელი:** 20 000

**ტიმიშოარა-შტუტგარტი 0:2**

**ტიმიშოარა:** პანტილიმონი - ედერი, ჩისოვსკი, ნიბომბე, არტ. ქარამიანი (75. ლატოლევიჩი) - ალექსა, სკუტარუ (46. ბორბელი) - სტანკუ, არმ. ქარამიანი - ბუკური, მაგერა (78. იონესკუ).

**შტუტგარტი:** ლემანი - ჩელოცი, ტასკი, დელპიერი, მანინი - ხედირა, ჰიტცლშპერგერი -გებჰარდტი (86. რუდი), გლები (60. ელსონი) - პოგრებნიაკი (75. შრაიბერი), მარიკა.

**გოლები:** 0:1 გებჰარდტი (27-პენ), 0:2 გლები (30)

**მაყურებელი:** 23 670

**სპორტინგი-ფიორენტინა 2:2**

**სპორტინგი:** რუი პატრისიო - პედრო ალვეში (57. პერეირინია), ანდერსონ პოლგა, ანდრე მარკეში (68. კანიერა), კარიკო - ვუკჩევიჩი, ფერნანდეში, მოუტინიო, ველოზუ - პოშტიგა (81. დიაო), ლიდსონი.

**ფიორენტინა:** ფრეი - დაინელი, გამბერინი, კომოტო, ვარგასი - კ. ძანეტი, გობი, მონტოლივო, მარკიონი - მუტუ (64. იოვეტიჩი), ჟილარდინო (80. დონადელი).

**გოლები:** 0:1 ვარგასი (6), 1:1 ვუკჩევიჩი (58), 2:1 ველოზუ (66), 2:2 ჟილარდინო (79)

**მაყურებელი:** 40 000

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისი

პრემიერლიგა. II ტურის წინ



რაფა ბენიტესი

# ბენიტესმა უნდა გამოიგონოს...

| დღეს | |
|---|---|
| ბირმინგემი-პორტსმუთი | 22:45 |
| ბარნლი-მანჩესტერ იუნ | 22:45 |
| ჰალ სიტი-ტოტენჰემი | 22:45 |
| ლივერპული-სტოკ სიტი | 23:00 |

ინგლისის ნაკრების მცველი, **რიო ფერდინანდი** დღეს საღამოს ბარნლიში ვერ ითამაშებს - პრემიერლიგის ჩემპიონი მეორე ტურის მატჩს სტუმრად, ბლექბერნიდან 18 კილომეტრში მდებარე პატარა საბაზრო ქალაქში ატარებს, რომლის 73 500 მაცხოვრებლიდან, ალბათ ყველა მოინდომებს 22 546 ადგილიან „ტარფ მოორზე" მოხვედრას. მეტიც, ამბობენ, რომ ფერდინანდმა შესაძლოა კიდევ ორი კვირა ვერ მიიღოს „იუნაიტედის" შეხვედრებში მონაწილეობა. ორშაბათს მანჩესტერელთა დაცვის ვარსკვლავი რენტგენზე ჰყადავთ, დაშავებულ ბარძაყზე სურათი გადაუღეს და გამოუცხადეს, რომ მისთვის მოედანზე დაბრუნება ჯერ ადრეა.

ინგლისელი მიმომხილველები წერენ, რომ ფერდინანდის ტრავმამ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს ცუდ დროს უწია. საქმე ის გახლავთ, რომ ბარნლიში ვერც **ნემანია ვიდიჩი** ჩავა, ხოლო სარეზერვო მცველი, ჯონი ანუ იგივე **ჯონათან ევანსი** კი პირველი ტურის შეხვედრაში („იუნაიტედმა" „ოლდ ტრეფორდზე" „ბირმინგემს" 1:0 რომ მოუგო) საზარდულის ტრავმის გამო 74-ე წუთზე შეცვალეს. კიდევ, ინგლისის ჩემპიონს დაშავებულები ჰყავს მეკარე **ედვინ ვან დერ სარი** და მცველები **გარი ნევილი** და **რაფაელ და სილვა.**

ტრავმიანობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, ფერგიუსონმა, რომელიც წლეულს ზედიზედ მეოთხედ აპირებს გუნდს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინოს, მაინც იმედიანად უპასუხა:

*„ნემანია ვიდიჩი უკვე ვარჯიშობს და იმედი მაქვს, რომ უახლოეს უქმეებზე ითამაშებს კიდეც - უთხრა სერ ალექსმა საკლუბო ტელეარხ MUTV-ს, - ბოლო ორი სეზონია მცველთა ტრავმები თავს არ გვანებებს, მაგრამ საკმაოდ გრძელი სკამი გვაქვს და დაშავებულთა ხარისხიანად შეცვლა შეგვიძლია".*

აღსანიშნავია, რომ 1960-იან წლებამდე ამ ორ გუნდს შორის ყველა მატჩი დაძაბული გახლდათ, რადგან ეს იყო დერბი - ნუ გაიკვირვებთ, თუკი გეტყვით, რომ „ოლდ ტრეფორდსა" და „ტარფ მოორს" ერთმანეთისგან მხოლოდ 33 კილომეტრი აშორებთ - თუმცა 1968 წლის სექტემბრის შემდეგ „ბარნლის" „იუნაიტედი" ერთხელაც არ დაუმარცხებია. ცნობისთვის, მას მერე ხსენებულ ორ გუნდს ჩვიდმეტჯერ მოუწიათ ერთმანეთის პირისპირ წარდგომა.

ამ სეზონში „ბარნლი" 1976 წლის შემდეგ პირველად დაბრუნდა ინგლისის უმაღლეს დივიზიონში (შეგნებულად არ ვამბობთ პრემიერლიგას, რადგან იგი 1992 წელს დაარსდა) და პირველ ტურში, სტოკში 2:0 წააგო.

„სტოკი" ვახსენეთ და ბარემ აქვე მივაბათ, რომ ეს გუნდი „ენფილდ როუდზე" ჩადის, „ლივერპულს" უნდა დაუდგეს. მერსისაიდელებს, **დანიელ აგერი** არ ეყოლებათ, თუმცა აგერი კიდევ სამ კვირას დააკლდება **რაფა ბენიტესსა** და კალაპოტიდან აშკარად ამოვარდნილ „წითლებს". დანიელ ცენტრალურ მცველს ზურგის პრობლემები აქვს, მისმა პარტნიორმა **მარტინ შკრტელმა** კი, მოგეხსენებათ, პირველ ტურში („ლივერპული" ლონდონში „ტოტენჰემთან" 2:1 რომ დამარცხდა) ყბა დაიზიანა და ექიმებმა ორკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს. მათთვის ვისაც არ ახსოვს: სლოვაკი ფეხბურთელი თავით შეასკდა თანაგუნდელ **ჯეიმი კარაგერს,** რომელმაც ის შეხვედრა სახვევით შებურულმა ჩაამთავრა.

შექმნილი მდგომარეობა ბენიტესს შავ დღეში აყენებს. ახლა მან კარაგერს მეწყვილე უნდა მოუგონოს. სხვათაშორის, შკრტელი რომ დაბრუნდება, ნიღბით მოუწევს თამაში.

„ტოტენჰემ ჰოთსპურს" „ჰალში" მუხლნატკენი **ლედლი კინგი** არ ეყოლება. ტრავმების გამო არ იქნებიან **ჯონათან ვუდგეიტი** და **მაიკლ დოუსონიც,** ასე რომ, ლონდონელთა დაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, **ვედრან კორლუკა** ითამაშებს. თუმცა ტრავმირებულთა სიის გაგრძელება ჯერ კიდევ შეიძლება: მაგალითად, არ იქნება **ჯერმან ჯენასი,** არ იქნება აგრეთვე **გარეთ ბეილიც**...

ხოლო „ბირმინგემის" თავკაცი **ალექს მაკლიში** იმის ამოცნობას ცდილობს, ღირს თუ არა, „პორტსმუთის" წინაამდეგ საშინაო შეხვედრაში **კრისტიან ბენიტესის** ძირითად შემადგენლობაში დაყენება. ეკვადორელმა თავდამსხმელმა კვირა დღეს, მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე" მოახდინა ეფექტი, როდესაც ინგლისის ჩემპიონთან შეხვედრის დასრულებამდე 16 წუთით ადრე კინაღამ ანგარიში გაათანაბრა - მანჩესტერელთა მეკარის **ბენ ფოსტერის** საოცარი რეაქცია რომ არა ფერგიუსონის გუნდი ჩემპიონატს გამარჯვებით ვერ დაიწყებდა.

„ოლდ ტრეფორდზე" გამართულ ხსენებულ შეხვედრაში მაკლიში ძირითადად ერთი თავდამსხმელით თამაშობდა, თუმცა შინ, სავარაუდოდ 4-4-2-ს აირჩევს. მწვრთნელს ფეხბურთელების შერჩევა ისევ იმ 18 კაციდან მოუწევს, რადგან **ლი ბოიერი** გასული სეზონის ბოლოს გააძევეს და დისკვალიფიკაცია გადმოჰყვა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერი

# უძღები შვილის დაბრუნება

## პისარო ისევ ვერდერში

**კლაუდიო პისარო** „ვერდერში" მესამედ გადავიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, „ჩელსის" ახალმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** მასთან მუშაობა არ ისურვა და 30 წლის პერუელი ფორვარდის სანაცვლოდ „მუსიკოსებმა" 5 მილიონი ევრო გადაიხადეს.

პირველად, „ვერდერის" ღირსებას ის 1999-01 წლებში იცავდა. შემდეგ ყველაზე მეტი (6 სეზონი 2001-დან 2007 წლამდე) დრო „ბაიერნში" გაატარა (174 მატჩი, 71 გოლი) და ერთი სეზონიც - „ჩელსიში". წინა ჩემპიონატში პისარომ „ვერდერში" იჯარით ითამაშა და 26 ბუნდესლიგურ მატჩში 17 გოლი გაიტანა. უეფას თასზე კი, სადაც „ვერდერმა" ფინალს უწია, ბრემენელელებს 5 გოლით შეეწია.

ზაფხულის მოსამზადებელი ეტაპი პისარომ „ჩელსისთან" ერთად გაიარა. მიმდინარე ბუნდესლიგის სტარტზე გამოჩნდა, რომ თავდასხმა „ვერდერის" უსუსტესი რგოლი იყო. ჰოდა, **თომას შააფისთვის** პისაროს დაბრუნება დიდი შვება იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გუშინ

**სანდერლენდი-ჩელსი 1:3**

**სანდერლენდი:** ფულოპი, ბერდსლი, ფერდინანდი, კოლინზი, მაკარტნი, ჰენდერსონი, კატერმოლი (62. ლედბიტერი), კანა, რიჩარდსონი (84. რიდი), ჯონსი (62. კემპბელი), ბენტი.

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული, ესიენი, ბალაკი, ლემპარდი, დეკუ (87. შევჩენკო), კალუ (76. მალუდა), დროგბა (84. სტარიჯი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (18), 1:1 ბალაკი (52), 1:2 ლემპარდი (61-პენ), 1:3 დეკუ (70)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 1-14; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 4-26 (1-6); **ბურთის ფლობა:** 25%-75%.

**მაყურებელი:** 41 179

**უიგანი-ვულვზი 0:1**

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, შარნერი, ბრემბლი, ფიგეროა, ნზოგბია, ტომასი, ბრაუნი (62. სკოტლენდი), კუმასი (62. სინკლერი), გომესი, როდალეგა.

**ვულვზი:** ჰენესი, სტრემენი, კრედოკი, მანსიენი, უორდი, ჰალფორდი (65. სარმენი), ჰენრი, მილიაში (55. ჯონსი), ჯერვისი, ედვარდსი, კეო (81. ვოუკსი).

**გოლი:** 0:1 კეო (6)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 9-24; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 20-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 16 661

ეკონომიკური კრიზისი


დევიდ ჯეიმსი

# ვინ დააბამს ვარსკვლავებს?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე მეკარე **დევიდ ჯეიმსი** გახდება „პორტსმუთის“ მორიგი ვარსკვლავი, რომელიც სხვა გუნდში გადავა - კლუბის მატერიალური მდგომარეობა მთლად „პრემიერლიგური“ ვერ არის. „ფრეტონ პარკის“ ბინადარმა კლუბმა ბოლო წლის განმავლობაში ბევრი ვარსკვლავი გაყიდა, მათ შორის **ჯერმან დეფო** და **პიტერ კრაუჩი**. სულ 80 მილიონი. ივაჭრა, მაგრამ ეს თანხა საქმეს, როგორც ჩანს, ვერ შველის. მოგეხსენებათ, მთელი ზაფხულია „პორტსმუთის“ ყიდვას არაბი ბიზნესმენი **სულეიმან ალ-ფაჰიმი** ცდილობს, მაგრამ ხან რა უშლის ხელს და ხან რა. ბიზნესმენს ინგლისური კლუბი 60 მილიონი უჯდება, ოღონდ საქმე ვერა და ვერ გაჩარხა, ამასობაში კი მეკარე ჯეიმსისადმი ინტერესი „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ გამოხატა. შეგახსენებთ, რომ „პორტსმუთმა“ პრემიერლიგის პირველ ტურში შინ „ფულჰემთან“ წააგო - 0:1.

ერთი სიტყვით, ჯეიმსის ტრანსფერი აქტუალურ თემათა კატეგორიაში გადავიდა და როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, სრულიად მოსალოდნელია, გოლკიპერს კლუბისადმი ერთგულება აღარ ეყოს.

ასეთსავე დღეშია მცველი **სილვენ დისტინი**, რომელიც „პორტსმუთში“ საქმეების გამოსწორებას დიდხანს ველარ დაელოდება. შესაბამისად, ნუ გამორიცხავთ, რომ გუნდმა სულ მალე ერთ-ერთი წამყვანი უკანახაზელიც დაკარგოს, რაც, ბუნებრივია, მას ერთიორად დაასუსტებს.

რასაკვირველია, შექმნილი მდგომარეობა ყველაზე კარგად გუნდის მწვრთნელ **პოლ ჰარტს** ესმის, რომელიც ხვდება, რომ თუ ასე გაგრძელდა, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მეტისმეტად გაძნელდება. აღსანიშნავია, რომ სულეიმან ალ-ფაჰიმი შაბათს, „ფულჰემთან“ დამარცხებას უშუალოდ დაესწრო, ჰარტმა კი მატჩის დასრულების შემდეგ ასეთი რამ განაცხადა:

*„ვცდილობ, ფეხბურთელები მუდმივად საქმის კურსში მყავდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება ჩვენს კლუბში. სამწუხაროდ, ყველა კითხვას ვერ ვპასუხობ. შემიძლია კითხვების მხოლოდ ნაწილს ვუპასუხო, დანარჩენი კი უბრალოდ არ ვიცი“.*

ფინანსური კრიზისი

# ბრძოლა არსებობისთვის

„ვესტ ჰემ იუნაიტედის“ თავს ისეთი ამბები ტრიალებს, რომ კლუბს საგანგებოდ გამოსვლა და ამ დღეებში გავრცელებული ჭორ-მართლის უარყოფა მოუხდა. სიტყვა ჭორ-მართალს იმიტომ ვწერთ, რომ რა მოხდება ხვალ, უცნობია. საქმე კი ის გახლავთ, რომ გავრცელდა ხმები, თითქოს კლუბში შექმნილი სავალალო ფინანსური მდგომარეობის გამო იტალიელი მწვრთნელი, **ჯანფრანკო ძოლა** თანამდებობიდან მიდის. „ვესტ ჰემს“ სწორედ ამ ხმების უარყოფა მოუხდა.

კლუბის ისლანდიელმა მეპატრონეებმა ცოტა ხნის წინ პირობა დადეს, რომ სატრანსფერო სეზონის დასრულებამდე ფეხბურთელებს აღარ გაყიდდნენ. ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ლაპარაკია არა ერთი ან ორი მოთამაშის გასხვისებაზე, არამედ წამყვან ფეხბურთელთა მასობრივ გაშვებაზე. მაგრამ, დადებული პირობის მიუხედავად, - ვიმეორებთ, ბოლო დღეებში ინგლისურ პრესაში გავრცელებული ხმების თანახმად - CB Holding-მა, რომელიც მეტწილად ისლანდიური საინვესტიციო ბანკის Straumur-Burdaras-ის საკუთრებაა, „ჩაქუჩებს“ თურმე ფეხბურთელების პანტაპუნტით გაშვება მოსთხოვა, რის გამოც ძოლა და მისი ასისტენტი, **სტივ კლარკი** უკვე თავიანთ მომავალზეც კი ჩაფიქრდნენ სერიოზულად.

თუმცა, Straumur-ის პრესწარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველაფერი, რაც ბრიტანულ მასმედიაში „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელების გაყიდვაზე ითქვა, სისულელეა და სიმართლეს არ შეესაბამება. ბანკის წარმომადგენელთა ფიცითა და მტკიცით მას მერე, რაც Straumur-მა ლონდონის კლუბის მეპატრონეობა წინა მფლობელისგან, **ბიორგოლფურ გუდმუნდსონისგან** გადაიფორმა, „ჩაქუჩთა“ დაფინანსებაში არაფერი შეცვლილა.

მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ძოლა, რომლის ხელმძღვანელობითაც პრემიერლიგის პირველ ტურში „ვესტ ჰემმა“ „ვულვერჰემპტონი“ 2:0 დაამარცხა, სასტიკად უკმაყოფილოა, რომ კლუბის პატრონებმა ახალი თავდამსხმელი ვერა და ვერ უყიდეს. „ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ლაპარაკია „ბარსელონას“ მობერებულ ვარსკვლავ **ეიდურ გუდიონსენზე**, რომლის თამაშიც მაყურებელს „ჩელსიდანაც“ კარგად ახსოვს.

Straumur-ი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კარგად დაარტყა, არ მალავს, რომ კლუბში ფულის ჩადებას კი არ აპირებს, არამედ მისგან თვითდაფინანსებას ითხოვს - როგორც პრემიერლიგაზე დაკვირვება გვიჩვენებს, არაბულისგან განსხვავებით საქმისადმი ისლანდიური მიდგომა პრინციპულად განსხვავებულია. თვითდაფინანსების აზრი კი ძირითადად იმაშია, რომ სატრანსფერო სეზონის დროს, სანამ ახალ ფეხბურთელს იყიდის, „ვესტ ჰემმა“ მისთვის საკმარისი ფული რომელიმე ძველის გაყიდვით უნდა იშოვოს.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „ჩაქუჩებმა“ ერთადერთი შესამჩნევი ფიგურა იყიდეს, უფრო სწორად კი ისესხეს - **ლუის ხიმენესი** „ინტერისგან“.


ჯანფრანკო ძოლა პრობლემებს ებრძვის

სამსაჯო საკითხი

# კაპელო: სისულელეს ვერ წავახალისებ!

ჰოლანდიისა და ინგლისის ამასწინანდელი ამხანაგური მატჩი გავიხსენოთ, უფრო სწორად, კი მისი ერთი ეპიზოდი, რომელმაც „ამსტერდამ არენაზე“ შეკრებილი 55 ათასი მაყურებლისთვის - მეტწილად ჰოლანდიელისთვის, მაგრამ ინგლისელისთვისაც - სრულიად ჩვეულებრივი წუთივით ჩაიარა, არადა:

**კარლტონ კოულს** თამაშგარე აუნიეს. ეს თამაშგარე თვალში საცემი ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ... თანამსაჯმა ასე გადაწყვიტა. ბურთი ჰოლანდიელებს გადაეცათ, შეხვედრა თავისი გზით გაგრძელდა, მაყურებელმა მოვლენებს გააყოლა თვალი. ხსენებულ კოულს **უეინ რუნი** ჰყავდა ახალი შეცვლილი და სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა გააკეთა ის, რაზეც გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ: რუნი სათადარიგოთა სკამიდან წამოფრინდა, ლაინსმენს მიეჭრა და ყვირილი დაუწყო. იყვირა, იყვირა და დაშოშმინდა. რამ დააშოშმინა? ინგლისურ გაზეთებში წერენ, რომ უეცრად ზურგი აეწვა და როდესაც შემოტრიალდა **ფაბიო კაპელოს** გამანადგურებელ მზერას წააწყდა. ინგლისის ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა ხმის ამოუღებლად, თავით მიანიშნა მიტოვებული სკამისკენ და მილიონერი ვარსკვლავიც თავდახრილი დაემორჩილა. დიახ, ეს იყო: *„დაჯექი და შენი ხმა არ გავიგო!“* - ოღონდ სიტყვის უთქმელად. კაპელოს უყვარს რუნი, მისი თავდადება, უყვარს ინგლისური საფეხბურთებო სიგიჟე, მაგრამ მსაჯებისადმი უპატივცემულობას ვერ ეგუება. ამას იტალიელი მაესტრო ვერ დაუშვებს. მას სწამს თავისი ფეხბურთელების, ამბობს, რომ ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან, მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა აკმაყოფილებდნენ კიდეც უმაღლესი დონის ყველა სტანდარტს. მეტიც, დონ ფაბიო ბრძანებს, რომ ის თავად დაუყენებს თავიანთ ფეხბურთელებს თამასას, რათა მილიონობით ბავშვმა, რომლებიც მათ ეთაყვანებიან, კარგი მაგალითი მიიღონ. და კიდევ, ეს ყველას ეხება, თვით **დევიდ ბექჰემსა** და **ჯონ ტერისაც** კი.

ამიტომაც მოსწონს იტალიელს ფიფას ეგრეთ წოდებული „პატივისცემის“ პროგრამა, რომლის შესახებაც News of the world-ს ესაუბრა. ცნობისათვის, ეს ინგლისური საკვირაო გამოცემა ძალიან მონადინებულია, რომ მსაჯთა დაცვის საქმეში ჩაერიოს და პირობას დებს - დღევანდელი მდგომარეობის შეცვლას ყოველმხრივ შეეცდება.

კაპელო კი განმარტავს: *„ახალგაზრდა ბიჭებმა მსაჯებს პატივი უნდა სცენ, მაგრამ ამას მაგალითი სჭირდება, მაგალითი კი პროფესიული ფეხბურთის მწვერვალებიდან მოდის. უბრალოდ დააკვირდით: თუ ბავშვები ხედავენ, რომ მათ საყვარელ პროფესიონალებს მაისურები შორტებში აქვთ ჩატანებული, ისინიც ჩაიტანებენ, ხოლო საკმარისია, ფეხბურთელებმა მაისურები ზემოდან გადმოუშვან, ბავშვებიც იმავეს იმეორებენ. მსაჯების პატივისცემის საკითხსაც ზუსტად ასე შეგვიძლია მივუდგეთ“.*

მატჩის მსვლელობისას, როდესაც მოედნის კიდესთან დგას, კაპელო აღელვებულია, თამაშში სრულიად ჩართული, მეტისმეტად ემოციურ, მეტყველ ჟესტებს აკეთებს, მაგრამ მისი ემოციურობა მსაჯების შეურაცხყოფას არასდროს ნიშნავს. და, რასაკვირველია, ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცი თავისი ფეხბურთელებისგანაც იმავეს ითხოვს. ისინი ხომ მილიონების კერპები არიან.

*„მე ინგლისში იტალიიდან ჩამოვედი, ქვეყნიდან, სადაც მსაჯების მიმართ დამოკიდებულება სანიმუშო ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩემთვის აშკარაა, რომ არბიტრებს ყველამ უნდა ვცეთ პატივი. ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენს სურვილსა და ემოციაზე არ არის დამოკიდებული, ეს ჩვენი მოვალეობაა. განა მარტო მსაჯები ცდებიან? ხანდახან ფეხბურთელებს ეშლებათ, ხანდახან მწვრთნელებსაც. არბირტი კი გადაწყვეტილებას იღებს და მართალია თუ მტყუანი, უნდა დავემორჩილოთ, რადგან ის, ამ გადაწყვეტილებაში გულწრფელია. მე ჩემს ფეხბურთელებს სულ ამას ვუჩიჩინებ - პატივი სცენ არბიტრებსა და მათ გადაწყვეტილებებს. თუკი მსაჯმა დაგაჯარიმა, ესე იგი დაგაჯარიმა და მორჩა, უნდა დაემორჩილო“.*


დევიდ ბექჰემი და ფრენკ ლემპარდი მსაჯის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

ნუთუ, ფიქრობთ, რომ ფაბიო კაპელოს გამოცდილების მქონე კაცი იმდენად გულუბრყვილოა, რომ სჯერა, ფიცხელ თამაშში ფეხბურთელები მსაჯებს აღარ შეედავებიან?

*„რასაკვირველია, ფეხბურთელები აუცილებლად მიირბენენ მსაჯთან, რათა გაიგონ, რატომ დაუსტვინა მან, რატომ დააჯარიმა, მაგრამ მთავარია, ეს ბრაზიანად არ გააკეთონ. გახსოვთ, ამას წინათ, „ქომუნითი შილდზე“ რუნი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ რამდენიმე სხვა ფეხბურთელი შემოეხვივნენ არბიტრს, მაგრამ, ვფიქრობ მაშინ მათი ეს ნაბიჯი სრულიად დასაშვები იყო. მსაჯთან პატივისცემის გამომხატველი ურთიერთობაა საჭირო და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად ფეხბურთელების გამო არა, რამდენადაც მაყურებლების გამო. ფეხბურთელმა თავისი ქცევით უნდა აუხსნას ფანებს, რომ აქ, ურთიერთპატივისცემის გარემოა. ერთი სიტყვით, ისევ და ისევ მაგალითის ძალასთან მივდივართ“.*

და კიდევ, კაპელო ნაკრების ფეხბურთელებისგან მეტს ითხოვს, რადგან: *„მსაჯთან კამათი და უშნოდ ქცევა სანაკრებო დონეზე განსაკუთრებით მიუღებელია, რადგან ნაკრებში ქვეყანას წარმოადგენ, დროშის ფონზე დგახარ, შენი ქვეყნის ჰიმნს უკრავენ. რასაკვირველია, ამით იმას არ ვამბობ, რომ ცუდი საქციელი საკლუბო დონეზეა დასაშვები“.*

ამქვეყნად ყველაფერს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვინც გინდა იყავი, ინგლისის ნაკრები, „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ თუ „მილანი“, როდესაც ფეხბურთელს მსაჯთან კამათის გამო სჯიან, ამით გუნდი ისჯება. სხვა სიტყვებით, ფეხბურთელი თავისი ქცევით დარტყმას მთელ გუნდს აყენებს.

*„კამათის გამო ყვითელი ბარათის მიღებაზე მეტი სისულელე არ არსებობს. დაუკვირდით, მართალია თუ მტყუანი, მსაჯმა გადაწყვეტილება მიიღო და მორჩა, ამას აღარაფერი ეშველება. „რეალის“ მწვრთნელი რომ ვიყავი, გუნდში ფულადი ჯარიმები შემოვიღე, იმიტომ, რომ, ვიმეორებ, მსაჯთან კამათის გამო ყვითელი ბარათის მიღება და შემდეგი თამაშის გამოტოვება სისულელეა, სისულელეს კი ვერაფრით წავახალისებ“.*

ბოლოს კი... 63 წლის მწვრთნელი-ვარსკვლავი მშობლებს აფრთხილებს: *„მშობლები ახალგაზრდებს ხშირად უარეს მაგალითს აძლევენ. „მილანის“ აკადემიაში მუშაობისას, მშობლებს ვაფრთხილებდი, რომ საკმარისი იყო ტრიბუნიდან, სხვა ფეხბურთელზე ან საერთოდ ვინმეზე რამე დაეძახათ, მათ შვილს ავტომატურად გავაგდებდი. საერთოდ არ მაინტერესებდა, უზრდელი მშობლის ვაჟი კარგად თამაშობდა თუ ცუდად“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ვალენსია

# კატასტროფის ქრონიკა

სატრანსფერო პერიოდის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა, „ვალენსია“ წამყვანი მოთამაშეების ნაწილს მაინც თუ შეინარჩუნებდა. მიზეზი მარტივია - კლუბი მწვავე კრიზისშია, „ვალენსიას“ ვალები ნახევარ მილიარდ ევროს აჭარბებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვალენსია“ გადარჩენისთვის იბრძვის, შეფერხებულია მისი მართვის პროცესი. კლუბის უძრავ-მოძრავი ქონების დიდი ნაწილი ვალების ნაწილის გასასტუმრებლად გაიყიდა. ასევე დავალიანების დაფარვას ხმარდება „ვალენსიას“ ყველა შემოსავალი.

„ვალენსია“ სტადიონის გაყიდვასაც აპირებდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ესპანეთი განსაკუთრებით დააზარალა. ცუდად წაუვიდა საქმე სამშენებლო ბიზნესს, საიდანაც კლუბის დაფინანსების დიდი წილი მოდიოდა. ამას დაამატეთ პრეზიდენტ **ხუან სოლერისა** და სხვა აქციონერების არაკომპეტენტური მმართველობა და ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ „ვალენსიას“ გასაჭირის მიზეზებზე.

დღესდღეობით, კლუბს ადგილობრივი ბიზნესმენებისგან მცირეოდენი დაფინანსება შემორჩა, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შელავათია. ჰორიზონტზე საშველი ჯერჯერობით, არ ჩანს. *„უკიდურეს ზღვრამდე დავეშვით“*, - ალიარებს „ვალენსიას“ მთავარი მწვრთნელი **უნაი ემერი.**

სოლერი კლუბის პრეზიდენტი 2004 წლის ოქტომბერში გახდა. მანამდე „ვალენსიამ“ ოთხი დიდებული სეზონი ჩაატარა, ორჯერ გაალწია ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და მოიგო უეფას თასი. სოლერის მონაგარი კი ასეთია: ხუთი სპორტული დირექტორის, სამი გენერალური დირექტორისა და სამედიცინო შტაბის



ხუან სოლერი, კატასტროფის შემოქმედი

სამი უფროსის დათხოვნა; სამი წამყვანი ფეხბურთელის, მათ შორის კაპიტნის მოკვეთა, რომელმაც შემდეგ პრეზიდენტს სასამართლოში უჩივლა.

„ვალენსიას“ კრიზისი ფულის უმიზნოდ ხარჯვამ გააღრმავა. მოკლე პერიოდში კლუბის ვალი 150 მილიონი ევროდან ჯერ 500, შემდეგ კი 600 მილიონამდე გაიზარდა.

ჯამში 25 მილიონი ევრო დაჯდა **პატრიკ კლუივერტის, ნიკოლა ჟიგიჩის, მანუელ ფერნანდესისა** და **ევერ ბანეგას** შეძენა. ეს ფეხბურთელები „ვალენსიას“ ვერაფერში წაადგნენ. სერიოზული თანხები დაიხარჯა მწვრთნელების გადასაბირებლადაც. ამათგან გარკვეული წარმატებები მხოლოდ **კიკე სანჩეს ფლორესს** ჰქონდა, **კლაუდიო რანიერისა** და **რომალდ კუმანის** ხელში კი გუნდი საშინლად თამაშობდა.

„ვალენსია“ „მესტალიას“ გაყიდვას აპირებს და ახალი სტადიონის მშენებლობაც დაწყებული აქვს. არც ისაა გამორიცხული, კლუბს პატერნას საწვრთნელი ბაზის გასხვისებამაც მოუწიოს.

თუმცა ჯერჯერობით, არც სტადიონის მყიდველი გამოჩენილა და არც ბაზისა. შესაბამისად, ახალი არენის მშენებლობაც, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყო, გაურკვეველი ვადით შეჩერდა. სოლერმა თავისი აქციები **ვისენტე სორიანოს** მიჰყიდა, რომელმაც 100 მილიონი ევროს გადახდისა და „მესტალიას“ 350 მილიონად მყიდველის მოძებნის პირობა დადო. მან სიტყვა გატეხა და ამის შემდეგ „ვალენსიამ“ სპონსორთა დიდი ნაწილი და ადგილობრივი მთავრობისგან დაფინანსება დაკარგა.

„ვალენსიას“ სამშენებლო კომპანიისა 16 მილიონი მართებს, კლუბის სახელფასო დავალიანება კი 18 მილიონს შეადგენს. უხელფასო ფეხბურთელთა თამაშის ხარისხი მკვეთრად დაეცა და წინა სეზონის ფინიშზე „ვალენსიამ“ არცთუ სახარბიელო შედეგებს მიაღწია.

ახალ სეზონს „ღამურები“ ახალი იმედებით ხვდებიან. კლუბის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ კოშმარი მალე დასრულდება, თუმცა ინჩასებს ამ ხალხისა ნაკლებად სჯერათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი



მიჩელ სალგადო ზურაბ ხიზანიშვილის თანაგუნდელი გახდა

# სალგადო ალბიონზეა

**ზურაბ ხიზანიშვილს** კიდევ ერთი კონკურენტი შეემატა „ბლექბერნ როვერსის“ დაცვის ხაზში - გუშინ მადრიდის „რეალის“ ყოფილმა მცველმა **მიჩელ სალგადომ** ინგლისურ კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 33 წლის მცველი 10 სეზონი ემსახურა „სამეფო კლუბს“, მაგრამ ახალი „ოცნების გუნდის“ შენებას მისი მადრიდული კარიერა შეეწირა. *„ყოველთვის მსურდა ინგლისში თამაში. სპორტული თვალსაზრისით, „ბლექბერნის“ წინადადება ყველაზე მომხიბლავი იყო ჩემთვის“*, - სუფთა ინგლისურით განუცხადა ადგილობრივ მედიას გალისიელმა მცველმა. მიჩელ სალგადოს დებიუტს პრემიერლიგაში ამ უქმეებზე „სანდერლენდის“ წინააღმდეგ უნდა ველოდოთ.

„რეალი“ მალე შეიძლება **მიგელ ტორესმა** და **ალვარო ნეგრედომ** დატოვონ. „მარკას“ ინფორმაციით, „სარაგოსამ“ უკვე დაიწყო სამეფო კლუბთან მოლაპარაკება ამ ორი ფეხბურთელის შესაძენად. მადრიდელები მცველის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონ ევროს ითხოვენ, ხოლო ნეგრედოს საბაზრო ფასი დაახლოებით 18 მილიონი ევროა. ნეგრედოს ყიდვა „ჰალ სიტის“ და რუსულ „ზენიტსაც“ სურთ, ისინი „რეალს“ უფრო მეტს სთავაზობენ, ვიდრე „ლოს ბლანკუილოსი“, მაგრამ „სარაგოსას“ სასარგებლოდ მეტყველებს ფეხბურთელთა სურვილი, კვლავ ესპანურ პრიმერა-დივიზიონში გააგრძელონ თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პორტუგალია

# საბოდიშო საქმეები

## ევროპაში განცდილ სამარცხვინო მარცხს ლირებულებათა გადაფასება მოჰყვა

ლათინურ ფრაზას - mea culpa (ჩემი ბრალია) - წინა სეზონში პორტუგალიელი მწვრთნელები და ფეხბურთელები ხშირად იყენებდნენ. ამის მიზეზი მათ ნამდვილად აქვთ, რადგან პორტუგალიური კლუბები საერთაშორისო სარბიელზე გვარიანად შერცხვნენ.

„სპორტინგი“ ჯერჯერობით, ამ ქვეყნის ბოლო კლუბია, რომლის წევრებსაც საბოდიშოდ გაუხდათ საქმე. ლისაბონელები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებით მატჩში სტუმრად მიუნხენის „ბაიერნთან“ 1:7 განადგურდნენ. პატიება საჯაროდ ითხოვეს „სპორტინგის“ მწვრთნელმა **პაულუ ბენტუმ** და კაპიტანმა **ჟოაო მუტინიომ.** მათ ქომაგებს ისიც აღუთქვეს, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება.

სპორტინგელებმა ბოდიში ამ ამბამდე ორი კვირით ადრეც მოიხადეს, როცა „ბაიერნთან“ პირველ შეხვედრაში შინ 0:5 დამარცხდნენ. იმ მატჩის შემდეგ „სპორტინგის“ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა საკუთარი ავტომობილებით ძლივს გაასწრეს განრისხებულ გულშემატკივრებს.

თუმცა „სპორტინგი“ ერთადერთი პორტუგალიური კლუბი არაა, რომელიც განვლილ ევროტურნირებზე ჩაფლავდა.

„ბენფიკამ“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში წააგო და ჯგუფში ვერ მოხვდა, შემდგომში უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე შეაღწია. ათენში იგი „ოლიმპიაკოსთან“ 1:5 განადგურდა და ბერძნული კლუბის ფეხბურთელები შეტევაში უფრო ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ, „ბენფიკასთვის“ ანგარიში გაცილებით სამარცხვინო იქნებოდა. „სპორტინგისა“ არ იყოს, ბოდიში „ბენფიკას“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც მოიხადეს და თამაშის ხარისხის გაუმჯობესების პირობაც დადეს, მაგრამ დანაპირები ვერც მათ შეასრულეს. უეფას თასის მომდევნო მატჩში ლისაბონური კლუბი საკუთარ მოედანზე ხარკოვის „მეტალისტთან“ დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა.

დიდი ანგარიშით წააგო „პორტუმაც“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში „არსენალთან“ ლონდონში 0:4 დათმო. ოღონდ თანამემამულეთაგან განსხვავებით, **ჟოსუალდო ფერეირას** გუნდმა მარცხისგან სათანადო დასკვნები გამოიტანა, თამაშის ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესა და G ჯგუფში სულაც პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ „პორტუმ“ მერვედფინალში მადრიდის „ატლეტიკოს“ აჯობა და მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ღირსეულად დამარცხდა.

**„პორტუს“ წარმატების მიუხედავად, წინა სეზონმა პორტუგალიურ ფეხბურთში საშიში ნიშნები გამოავლინა.**

თვალნათლივ ჩანს, რომ პორტუგალიის ლიგისა და წამყვანი ევროპული ლიგების დონეებს შორის სხვაობა კატასტროფულად იზრდება. მინიმუმ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში პორტუგალიური კლუბის მიერ ევროპული ტიტულის მოგება წარმოუდგენლად მოჩანს. რატომ? ამას სამი მთავარი მიზეზი აქვს.

პირველ რიგში, იმიტომ, რომ არ არსებობს საამისო ფინანსები. წინა სეზონში პორტუგალიის ლიგის სატელევიზიო შემოსავალი საერთო ჯამში 44 მილიონ სტერლინგს შეადგენდა. აქედან ყველაზე დიდი წილი „პორტუმ“, „ბენფიკამ“ და „სპორტინგმა“ მიიღეს, თითოეულმა მათგანმა დაახლოებით 7-8 მილიონი. შედარებისთვის: ინგლისური პრემიერლიგის ბინადართა ჯამური მოგება 900 მილიონი სტერლინგია, საიდანაც „მანჩესტერს“ 50 მილიონი ერგება. პორტუგალიაზე მეტი სატელევიზიო შემოსავალი აქვთ ასევე გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიისა და საბერძნეთის კლუბებს.

მეორე მიზეზი ტალანტების ნაკლებობაა. პორტუგალიური კლუბების მთავარი შემოსავალი ყოველთვის ნიჭიერი ახალგაზრდების გაყიდვა იყო. ბოლო წლებში ამ ქვეყნიდან არაერთი ვარსკვლავი გავიდა: **კრისტიანო რონალდო, ნანი, მანუელ ფერნანდეში, რიკარდო კვარეჟმა, პეპე** და სხვები. ბოლო დროს კი მათნაირი გამორჩეული ყმაწვილები პორტუგალიის ლიგაში აღარ ჩანან. შესაბამისად, კლუბებს ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუუარესდათ.

მესამე მიზეზი კი ხარისხიანი უცხოელების ნაკლებობაა. ადრე სამხრეთამერიკელები პორტუგალიაში ოსტატდებოდნენ და შემდეგ მათ სარფიანად ყიდდნენ. ახლა კი რაკი პორტუგალიურ კლუბებს შემოსავალი შეუმცირდათ, უკვე ნაკლებად ახერხებენ მაღალკვალიფიციური ლეგიონერების შეძენას.

თუმცა გამონაკლისები ჯერ კიდევ არსებობს, მაგალითად, „პორტუს“ არგენტინელები, **ლუჩო გონსალესი** და **ლისანდრო ლოპესი**, რომლებიც წლებია, სტაბილური და შედეგიანი თამაშით გამოირჩევიან. პორტუგალიურ გუნდებში მოასპარეზე სხვა ლეგიონერები კი ნამდვილად არ არიან საერთაშორისო კლასისანი. პორტუგალიელთა ამჟამინდელი კადრები ევროპული წარმატებების მისაღწევად არ კმარა.

და მაინც, არის იმედი, რომ პორტუგალიური კლუბები ძველ დიდებას დაიბრუნებენ. ოღონდ სიტუაციის რადიკალური შეცვლაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, „პორტუს“, „სპორტინგსა“ და „ბენფიკას“ ძველი დიდების დაბრუნებაზე უჯობთ, არც იოცნებონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეალი

# რაო, ვიეტნამიო?

## სამეფო კლუბის ვარსკვლავებს შორეულ აღმოსავლეთში უხმობენ

გუშინ დილით AS-მა სენსაციური ცნობა შესთავაზა მკითხველებს - „რეალის“ ორი ვარსკვლავით ვიეტნამური „ტ&ტ ჰანოი“ დაინტერესდა. დიახ, 33 წლის ჰოლანდიელ სუპერფორვარდ **რუუდ ვან ნისტერლოისა** და 32 წლის **გუტის** ვიეტნამის ჩემპიონატში სათამაშოდ ეპატიჟებიან! თურმე „ტ&ტ ჰანოის“ პრეზიდენტ **დო ქუან ჰიენს** შორს მიმავალი გეგმები აქვს მისი კლუბის ასაღორძინებლად, ამისთვის კი პირველ რიგში ვან ნისტერლოის და გუტის შეძენა სურს. „რეალში“ **ქარიმ ბენზემას, კაკას** და **კრისტიანო რონალდოს** მისვლის შემდეგ, ვან ნისტერლოისა და გუტის ადგილი თითქოს აღარც დარჩა. ესპანური მედია ამტკიცებს, რომ „ბლანკოსის“ ხელმძღვანელობა მათი გასხვისებით დაინტერესებულია. დო ქუან ჰიენს ასევე სურს „ჩელსის“ პორტუგალიელი ვარსკვლავის, **დეკოს** შეძენაც.



რუუდ ვან ნისტელროი და კრისტიანო რონალდო

ამ ბოლო ხანებში ვიეტნამურ ფეხბურთში დიდი გამოცოცხლება შეინიშნება. ივნისში იქაურ კლუბ „სი მან ჰაი ფონგში“ სათამაშოდ ბრაზილიის ნაკრებისა და „ბეტისის“ ყოფილი ვარსკვლავი **დენილსონი** მივიდა, თუმცა მისი აზიური ტრანსფერი არ შედგა, დენილსონმა ახალ გუნდში ერთხელ ითამაშა და სამ კვირაში ვიეტნამი დატოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბარსელონა

# ზლატანსა და მესის ნება დართეს...




ზლატან იბრაჰიმოვიჩი არაოფიციალური დებიუტისთვის მზადაა

„ბარსელონას“ ექიმებმა ხანგრძლივი შემოწმების შემდეგ გუნდის შვედ ახალწვეულ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** და არგენტინელ **ლიონელ მესის** „მანჩესტერ სიტისთან“ ამხანაგურ მატჩში თამაშის უფლება დართეს. შეხვედრაზე ყოველწლიური, ჟოან გამპერის სახელობის თასი გათამაშდება. „ბარსელონას“ ოფიციალურ საიტზე ვარაუდობენ, რომ დღეს „კამპ ნოუ“ პირთამდე შეივსება. ზლატან იბრაჰიმოვიჩი პირველად ითამაშებს „ბარსელონას“ მაისურით. ის უკვე ერთი თვეა კატალონიურ გუნდში, მაგრამ ხელზე მცირე ოპერაციამ მისი დებიუტი შეაყოვნა. რაც შეეხება მესის, მან კუნთის ტრავმა მოსკოვში არგენტინის ნაკრების ვარჯიშზე მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

# ესპანური ქრონიკები

**10 აგვისტო:** 35 წლის ფრანგი მცველი **პასკალ სიგანი** „ვილიარეალიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით სეგუნდადივიზიონის „კარტახენაში" გადავიდა, ხოლო ესპანეთის ნაკრების ყოფილი წევრი **ლუის გარსია** „ატლეტიკოდან" სანტანდერის „რასინგში."

**11 აგვისტო:** ბილბაოს „ატლეტიკმა" 21 წლის მარცხენა მცველი **მიქელ ბალენციაგა** „ნუმანსიაში", ხოლო 26 წლის **ანდერ მურილიო** „სალამანკაში" გაანათხოვრა. ჩილელი მარცხენაფლანგელი **მარკ გონსალესი** „ბეტისიდან" მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა. სატრანსფერო თანხა 6,5 მილიონ ევროს შეადგენს.

**12 აგვისტო:** ალჟირელი **ქამელ ღილასი** 2 მილიონ ევროდ ვიგოს „სელტადან" „ჰალ სიტიში" გადავიდა.

**13 აგვისტო:** ტუნისელი **სელიმ ბენ აშური** ქუვეითიდან „მალაგაში" გადაბარგდა.

**14 აგვისტო:** 35 წლის მცველი **ნერუ ხიხონის** „სპორტინგიდან" „ალავესში" უსასყიდლოდ გადავიდა. „ლივერპულმა" ესპანელი **მიქელ სან ხოსე** იჯარით ბილბაოს „ატლეტიკს" დაუთმო.

**16 აგვისტო:** 23 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი **მარკ ვან დერ ბოოგარტი** „ნაიმეგენიდან" „მურსიაში" გადაბარგდა.

**17 აგვისტო:** **მიჩელ სალგადომ** „ბლექბერნ როვერსთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩაშლილი ტრანსფერი

# ფრედმა სევილია მშრალზე დატოვა

25 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა **ფრედმა** „სევილიაში" გადასვლა გადაიფიქრა. ფრანგული „ლიონის" ყოფილი თავდამსხმელი დღეისათვის ბრაზილიური „ფლუმინენსეს" წევრია. ფრედი ევროპაში დაბრუნებას ეშურებოდა და ანდალუსიური კლუბის სახით შესანიშნავი ვარიანტიც გამოუჩნდა, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების ფორვარდის **ლუიშ ფაბიანოს** იტალიაში გადასვლას საშველი არ დაადგა, ფრედს კი არ სურს ფაბიანოს შემცვლელი იყოს, მას „სევილიაში" გარანტირებულად სურს ძირითადში ადგილი ჰქონდეს დაბევებული. ასე რომ, ფორვარდმა ერთი წლით „ფლუმინენსეში" დარჩენა გადაწყვიტა, შემდეგ კი არაა გამორიცხული მაინც შედგეს მისი ტრანსფერი „სევილიაში", თუ გაისად მაინც არ დახვდება იქ ლუიშ ფაბიანო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფრედი

ტრავმა

# ბარახა ერთი თვით დაისვენებს

„ვალენსიას" ნამყვანმა ნახევარმცველმა **რუბენ ბარახამ** შაბათს ტესტმატჩში მარჯვენა მუხლი დაიზიანა და ერთი თვით უფეხბურთოდ დარჩა. ბარახამ ტრავმა „სევილიასთან" ამხანაგურ მატჩში მიიღო. ათ დღეში ბარახა ხელმეორე გამოკვლევას გაივლის, რის შემდეგაც უფრო ზუსტად გაირკვევა რამდენი ხნით დააკლდება „ღამურებს".

დაბრუნება

# პარმა ათეულისთვის იბრძოლებს

## ლეონარდის ახალი პროექტი

იტალიური ფეხბურთის გულშემატკივრებს „პარმას" სერია A-ში დაბრუნება უთუოდ გაახარებდათ. ემილიური კლუბი სულ ახლო წარსულში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა და მისი ქვედა ლიგაში ხილვა ბევრს არ სიამოვნებდა. თუმცა, ის რომ პარმეზანელები სერია B-ში დაეშვნენ, ბოლო წლების კრიზისის ლოგიკური ფინალი გახლდათ. „ჯალობლუ" წლიდან წლამდე კარგავდა პოზიციებს, ბოლოს უკვე გადარჩენისთვის მებრძოლ გუნდად ჩამოყალიბდა და დაქვეითდა კიდეც. სხვათა შორის, ამ ფაქტს ტიფოზები საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ, თითქოს შეგუებულებიც კი იყვნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი ადრე თუ გვიან სერია B-ში უნდა გავარდნილიყო.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია და შესაძლოა ასე გამოვიდეს „პარმას" შემთხვევაშიც. მას შემდეგ, რაც გუნდი სერია A-დან გავარდა, კლუბის აღორძინებაზე ქალაქის მერიამ და ბიზნესმენებმა დაიწყეს ფიქრი. ძალიან სწრაფად შეადგინეს კლუბის განვითარების გრძელვადიანი გეგმა და მუშაობასაც შეუდგნენ. უპირველესი მიზანი, რა თქმა უნდა, სერია A-ში დაბრუნება გახლდათ და აი შედეგიც - ერთწლიანი პაუზის შემდეგ გუნდი კვლავ ელიტურ დივიზიონს დაუბრუნდა.

პარმა (საბაზო ტაქტიკა 4-3-3): **მირანტე, დ. ძენონი, პანუჩი, პაჩი, კასტელინი, მორონე, მარიგა გალოპა, ბოჟინოვი (ლანცაფამე), პალოსკი, ბიაბიანი.** მთავარი მწვრთნელი: **ფრანჩესკო გვიდოლინი.**

ერთი ტრადიციით დავიწყოთ, რომელიც „პარმას" უკავშირდება: „ჯალობლუს" ნებისმიერ საშინაო თამაშზე გუნდები მოედანზე **ჯუზეპე ვერდის** კომპოზიციის ფონზე გამოდიან - ოპერიდან „აიდა". ეს მართლაც გენიალური კომპოზიტორი ემილიიდან გახლდათ, თუმცა „პარმას" ვერდისთან კიდევ უფრო მეტი აკავშირებს. ალბათ გიკვირთ, რა უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან საფეხბურთო კლუბს და მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე კომპოზიტორს? – ახლავე აგიხსნით. საქმე ის არის, რომ საფეხბურთო კლუბ „პარმას" დაარსების იდეა გუნდის შემქმნელებს ჯუზეპე ვერდის ხსოვნის სალამოზე დაებადათ, ეს ყველაფერი კი 1913 წლის ივნისში მოხდა. ასე და ამგვარად, გენიალური მუსიკალური ქმნილებების ავტორმა საფეხბურთო კლუბის შექმნაშიც შეიტანა წვლილი.

დროა დღევანდელობას დავუბრუნდეთ და „პარმაში" არსებული ვითარება განვიხლოთ. მთავარი ის გახლავთ, რომ კლუბის მესვეურებმა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები შეინარჩუნეს და პლუს, ახალი შენაძენები გააკეთეს. არადა, სერია B-ში ჩატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, პარმეზანელებზე მართლაც დიდი მოთხოვნა იყო. მაგალითად **ალბერტო პალოსკი** ავიღოთ, ვინაც გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა გახლავთ. გასულ სეზონში, 39 შეხვედრაში 12 გოლის გატანა მოახერხა და **კრისტიანო ლუკარელისთან** საკმაოდ კარგი შემტევი ტანდემი შექმნა. ამ სეზონში მას ახალი პარტნიორი ეყოლება. ლუკარელის ნაცვლად, რომელიც „ლივორნოში" გადავიდა, პალოსკის მეწყვილე სავარაუდოდ **ვალერი ბოჟინოვი** იქნება. ბულგარელმა „მანჩესტერ სიტი" დატოვა და ბედი „ჯალობლუს" დაუკავშირა. შეგახსენებთ, რომ ბოჟინოვს ადრეც უთამაშია სერია A-ში. თავის დროზე, „ლეჩეში", ფლორენციის „ფიორენტინაში" და ტურინის „იუვენტუსში" ასპარეზობდა. კიდევ ერთი შემტევი, რომელიც სასტარტოში მოიაზრება, **ჯონატან ბიაბიანი** გახლავთ. აფრიკული წარმოშობის ფრანგი ამპლუით გარემარბია, გასული სეზონი „მოდენაში" გაატარა და 38 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა. სავარაუდოდ, პალოსკი და ბიაბიანი ფლანგებიდან შეუტევენ, ბოჟინოვი კი ცენტრფორვარდის ფუნქციებს შეასრულებს.

არ შეიძლება არ გამოვარჩიოთ „პარმას" კიდევ ერთი ფეხბურთელი, ლაპარაკია **მაკდონალდ მარიგაზე.** 188 სანტიმეტრი სიმაღლის კენიელი ამპლუით ნახევარმცველია და თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, გუნდის აღზევებაში ლომის წილი დაიდო. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მარიგა რამდენიმე ევროპული გრანდის თვალთახედვის არეშია მოქცეული. კენიელის გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე კლუბმა და „პარმას" წინადადებითაც მიმართეს. მაგალითად, „იუვენტუსმა" საკმაოდ საინტერესო წინადადება შესთავაზა „ჯალობლუს", ტურინელები მზად იყვნენ ფეხბურთელი ეყიდათ და შემდეგ, ისევ „პარმაში" იჯარის წესით გაეშვათ. თუმცა, ემილიელები ნიჭიერი ნახევარმცველის გასხვისებას არ დათანხმდნენ.



პიეტრო ლეონარდი და კრისტიან პანუჩი. იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი სპორტული დირექტორის მთავარი შენაძენია

გასხვისება იქით იყოს და „პარმამ" ამ ზაფხულს ერთი ძალიან საინტერესო კადრი გადაიბირა. ლაპარაკია **პიეტრო ლეონარდიზე**, იტალიელ **პიტერ კენიონზე.** დიახ, სწორედ ასე უწოდებენ ლეონარდის აპენინებზე, რადგან ეს ადამიანი ცნობილია როგორც შესანიშნავი მენეჯერი და საფეხბურთო სელექციონერი. სიცხადისთვის გეტყვით, რომ ლეონარდი წლების განმავლობაში „უდინეზეს" სპორტული დირექტორი გახლდათ და ფრიულური კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას სწორედ ის აწარმოებდა. მის ხელში „უდინეზემ" ტალანტების სამჭედლოს სახელი დაიგდო. მიუხედავად იმისა, რომ უდინური კლუბი ფინანსური შესაძლებლობებით საშუალო დონეზე დგას, გუნდში ყოველთვის თამაშობდნენ გამორჩეული ფეხბურთელები. ბოლო წლებში, „ბიანკონერი" სულაც იტალიის ნაკრების საბაზო კლუბად იქცა. დღესაც, „სკუადრა აძურაში" „უდინეზედან" წამოსული არაერთი მოთამაშე ასპარეზობს. ამ ყველაფერს სწორედ ლეონარდის აწერენ და გამომდინარე აქედან, ალბათ ხვდებით თუ რაოდენ მნიშვნელოვანი საკადრო ნამატი აქვს პარმეზანულ კლუბს. პიეტროს ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ „პარმას" მის ახალ პროექტს უწოდებენ.

სხვათა შორის, ლეონარდიმ „ჯალობლუში" მისვლისთანავე ბრიფინგი მოაწყო და განაცხადა, რომ გუნდში ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების სინთეზის გაკეთებას აპირებდა. მისი პირველი ნაბიჯი აღნიშნული სიტყვების დადასტურება გამოდგა – პიეტრომ **კრისტიან პანუჩის** გაუფორმა კონტრაქტი და ვეტერანი უკანახაზელი „ჯენოას" ცხვირწინ აწაპნა. ერთი სიტყვით, ლეონარდიზე „პარმაში" იმხელა ავანსები გაიცა, ვერც ერთი ფეხბურთელი რომ ვერ დაიკვეხნის. აღდგომა და ხვალეო, პიეტრომ საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი პროფესიონალიზმი.

ბოლოს, სიტყვა **ფრანჩესკო გვიდოლინის** გადავცეთ და დავძინოთ, რომ 53 წლის სპეციალისტს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს სერია A-ში მუშაობის. „პარმამდე" ის „პალერმოს" წვრთნიდა, ასევე თავკაცობდა: „ემპოლის", „ატალანტას", „ჯენოას", „უდინეზეს" და „მონაკოს". აი, რას ამბობს სენიორ ფრანჩესკო: *„ასეთი ენთუზიაზმით დიდი ხანია არ მიმუშავია. ვგრძნობ, რომ ჩემი გუნდი ჩავიბარე, რომელიც განვითარების ახალ ეტაპზე უნდა ავიყვანო. ჩვენი მიზანი ათეულში მოხვედრა იქნება და მჯერა, ამას შევძლებთ კიდეც. გულშემატკივრები ამ ეტაპზე მეტს არც ითხოვენ, რაც ჩვენი შესაძლებლობების ადეკვატური გახლავთ. მომავალში უფრო ამბიციურ გეგმებს დავისახავთ"* – ჩვენ კი დავძენთ, რომ ათეულისთვის ბრძოლა ქვედა ლიგიდან ამოსული გუნდისთვის ამბიციურ გეგმად შეიძლება ჩაითვალოს, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**

Trofeo Berlusconi

# ბერლუსკონის თასი... ბერლუსკონის

სერია A-ს სტარტის წინ, „როსონერიმ" ბერლუსკონის თასი მოიგო და ხასიათი ერთი-ორად გამოიკეთა. ამ გამარჯვებას მილანელებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ლეონარდოს** გუნდმა თერთმეტმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და თანაც, საპატიო ტროფეის დაეუფლა. ბევრი ალბათ იტყვის, რომ „მილანმა" მხოლოდ თერთმეტმეტრიანების სერიაში იმარჯვა, მაგრამ საქმე შედეგში არ გახლავთ. „შავ-წითლებმა" საკმაოდ კარგი ფეხბურთი შესთავაზეს მეტოქეს, ისეთი, როგორიც ლეონარდოს მესაჭეობით ჯერ არ უთამაშიათ.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და გოლის გატანა ორივე გუნდს არაერთხელ შეეძლო. ტურინელთაგან **დიეგო** აქტიურობდა, სწორედ ის იწყებდა „იუვენტუსის" იერიშებს და ხშირად თვითონვე აგვირგვინებდა. გარჯა 28-ე წუთზე დაუფასდა, ბურთი ცენტრიდან წაიღო, საჯარიმოს მიუახლოვდა და ძლიერად დაარტყა - რიკოშეტის შემდეგ, ბურთი **მარკო სტორარის** კარში აღმოჩნდა. ანგარიშის გაქვითვა რამდენიმე წუთში **ალეშანდრე პატოს** შეეძლო, თუმცა მისი დარტყმული **ჯანლუიჯი ბუფონის** კარის ხარიხამ აისხლიტა.



სილვიო ბერლუსკონი

მეორე ნახევარში მილანელებმა დაწოლა გააძლიერეს და 69-ე წუთზე შესანიშნავი გოლიც გაიტანეს. ლეონარდოს ცვლილებამ გაუმართლა - მოედანზე ახლად შესულმა **ინაციო აბატემ** მარჯვენა ფრთიდან ბრწყინვალედ ჩააწოდა და პატოს ისღა დარჩენოდა, ბურთი კარის ბადეში გადაეგზავნა, 1:1. დარჩენილ დროში, გუნდებს არ გაურისკავთ, მეტი წილი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებას ეთმობოდა და საქმეც პენალტებამდე მივიდა. თერთმეტმეტრიანების სერიაში საბედისწერო შეცდომა ახალგაზრდა ესპანელმა ფეხბურთელმა, **იაგომ** დაუშვა. მას სტორარიმ აჯობა და „მილანმაც" ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა ბერლუსკონის თასი.

ნამატჩევს მილანელები ისეთი გახარებულები გახლდნენ, გეგონებოდათ ჩემპიონთა თასი აღმართესო. **ადრიანო გალიანიმ** დაიქადნა კიდეც, ასე თუ ვითამაშეთ, ჩვენი შემჩერებელი არ მეგულებაო. ლეონარდომ კი შემდეგი განაცხადა: *„ყოველმხრივ კარგი მატჩი იყო, რომელმაც ოპტიმიზმი შემმატა. ძალიან გამახარა იმან, რომ ფეხბურთელები მოედანზე ბოლომდე დაიხარჯნენ. რაც მთავარია, შესაძლებლობები წარმოაჩინეს და გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურეს. შეთამაშების მხრივ, კიდევ გვაქვს მოსამატებელი, მაგრამ ეს საკითხი მოგვარდება. კარგია ისიც, რომ ჯენარო გატუზოს მუხლში ტკივილი არ უგრძნია, ინაციო აბატემ კი თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინა. კარგი იყო მთელი გუნდი და ალბათ გამორჩევა არც ივარგებს. ამ გამარჯვებით განწყობა ავიმაღლეთ და სეზონის სტარტს სულმოუთქმელად ველოდებით"*.

აქვე, სიტყვა **ჩირო ფერარას** გადავცეთ, ვინაც მარცხის გამო დანაღვლიანებული ჩანდა: *„ჩვენს თამაშში ბევრი წუნი იყო, თუმცა ახლა ამაზე დეტალურად ვერ ვილაპარაკებ. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც ბურთს ვაკონტროლებდით, ფეხბურთელები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ იდგნენ. უნდა გავიშალოთ, ასე თამაში არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ სწორი გზით მივდივართ და მომავალში შედეგი აუცილებლად გვექნება. დღეს დავრწმუნდი, რომ „ინტერთან" და „იუვენტუსთან" ერთად, „მილანიც" სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტია. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ „რომა", გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში არ ასპარეზობს და მთელი ძალების კონცენტრაციას სერია A-ზე მოახდენს"*.

ბოლოს, გამცნობთ, რომ „მილანში" ახალ ფეხბურთელებს ნომრები ჩამოურიგეს. **ტიაგო სილვამ** 33 აირჩია, **კლასიან ჰუნტელაარი** თერთმეტნომრიან მაისურს მოირგებს, **ოგუჩი ონიევუს** ზურგს კი ხუთიანი დაამშვენებს. და ყველაზე მთავარი - სამნომრიანი **„მილანის"** ამუნიცია ამიერიდან მალდინის საკუთრებაა და მას ველარავინ მოირგებს.

**ლაშა ნიკლაური**

ძიუდო. მსოფლიოს პირველობა

# მსოფლიოს აზიური დანაკლისი

JUDO 2009

როტერდამში, ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე წასაყვანი გუნდები კიდევ რამდენიმე ქვეყანამ დაასახელა. მათ შორის უშუალო მეზობლებმა - სომხეთმა და აზერბაიჯანმა. სომეხთა ნაკრების თავკაცს **არტურ გევორქიანს** მხოლოდ სამი სპორტსმენი მიჰყავს: ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ჰოვანეს დავთიანი** (60), ევროპის ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი** (66) და **რობერტ ვარდანიანი** (73). მწვრთნელს **იაკობ არაქელიანის** (90) წაყვანაც სურდა, მაგრამ ის დაშავდა.

არასრული და ძალზე გადახალისებული გუნდით იასპარეზებს აზერბაიჯანიც, რომელსაც მსოფლიოსთვის მოსამზადებელ პერიოდში ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად სამი წევრი დაუშავდა: ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ელნურ მამადლი** (73), მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (100) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი **რამილ გასიმოვი** (66). მათი შემადგენლობა ასეთია: **სარხან ახმედოვი** (66), **ელჩინ გასიმოვი** (73), **რამილ გურბანოვი** (81), **ელხან მამადოვი** (90) და **ელმარ გასიმოვი** (100). ამათგან, ევროპის ვიცე-ჩემპიონისა და მესამე პრიზიორ ელხან მამადოვის გარდა, ყველა მსოფლიოს პირველობის დებიუტანტია. ნაკრები საკლიმატიზაციოდ ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გადის დასკვნით შეკრებას.

შემადგენლობა ოფიციალურად არ დაუსახელებიათ, თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდს თუ ვერწმუნებით, უკრაინის ნაკრებში ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** (60), **სერგეი დრებოტი** (66), ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ვოლოდიმირ სოროკა** (73), **არტემ ვასილენკო** (81), ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი** (90), **არტემ ბლოშენკო** (100) და **სტანისლავ ბონდარენკო** (+100) იჭიდავებენ. როგორც ვხედავთ, ეს გუნდიც საკმაოდაა გადახალისებული, ყველაზე მეტად ორი გვარის არყოფნა ხვდება თვალს: მძიმე წონაში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორის, კონტინენტის ვიცე-ჩემპიონ **ევგენი სოტნიკოვის** და ოლიმპიადის ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელ **რომან გონტიუკისა** (81).

არასრულია ბელარუსთა გუნდიც: **სიარხეი შუნდძიკაუ** (81), ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ანდრეი კაზუსიონაკი** (90), **ეუჰენიუ ბიადულინი** (100) და ოლიმპიური ჩემპიონი **იჰარ მაკარაუ** (+100). ჩვენდა გასაკვირად, როტერდამში არ მიჰყავთ **კონსტანტინ სიომიონაუ** (73).

უნგრეთის ნაკრები: **ლასლო ბურიანი** (60), ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **მიკლოშ უნგვარი** (66) და მისი უმცროსი ძმა **ატილა უნგვარი** (73), **შანდორ ნაგისოლიმოში** (81), **ტამაშ მადარასცი** (90), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი **დენიელ ჰადფი** (100) და **ბარნა ბორი** (+100).

უძლიერესი შემადგენლობით გამოვა უზბეკეთის ნაკრები: ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **რიშოდ სობიროვი** (60), **მირალი შარიპოვი** (66), **ნავრუზ ჯურაკობილოვი** (73), **შოკირ მუმინოვი** (81), **დილშოდ შორიევი** (90), **შერალი პილატოვი** (100) და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **აბდულო ტანგრიევი** (+100).

აზიელთაგან იაპონელებისა და კორეელების შემადგენლობა ადრე გაგაცანით და მათზე ამჯერად არ შევჩერდებით, თუმცა იქაური გუნდები შესუსტებული შემადგენლობებით ჩავლენ. კერძოდ, არ იჭიდავებენ მონგოლი ოლიმპიური ჩემპიონი **ნაიდან ტუვშინბაიარი** (100) და ყაზახი **აშხატ ჟიტკეევი**, ვისაც მონგოლმა პეკინში ფინალი მოუგო. სამაგიეროდ, იქნება მონგოლი ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **ხაშბაატარ ჩაგანბაატარი**, ოღონდ ისევ 66-ში. ცნობილ აფრიკელთაგან ნამდვილად იჭიდავებს პეკინის ოლიმპიადის ფინალში **ირაკლი ცირეკიძისგან** (90) ძლეული ალჟირელი **ამარ ბენიკლეფი**, ეგვიპტელებს კი შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებიათ და მათი მესამე პრიზიორის - **ჰიშამ მეშბაჰის** მონაწილეობის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ასევე უცნობია კუბელთა შემადგენლობაც, მაგრამ ცნობილია, რომ არ იჭიდავებს მათი უძლიერესი ფალავანი, მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **იორდანის არენსიბია**. ის აქამდე 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, თუმცა ამბობენ, რომ 73-ში გადადის. ცნობილ ფალავანთაგან კიდევ ერთ დანაკლისს გამოვარჩევთ - ბულგარელთა შემადგენლობაში არაა ოლიმპიური პრიზიორი **გეორგ გეორგიევი** (73).

ბოლოს ერთი საინტერესო ინფორმაციაც ისრაელიდან, სადაც მოვლენათა ეპიცენტრში ქართველი **სოსო ფალელაშვილი** (73) აღმოჩნდა - მისი ერთ-ერთი საკონტროლო ვარჯიში უშუალო კონკურენტ **იოელ რაზვოზოვთან** ჩხუბში გადაიზარდა. იქაური საინფორმაციო წყაროები ამის მიზეზად ქართველს ასახელებენ, რომელსაც ვარჯიშისას მუხლი თავზე მიურტყამს მეტოქისთვის. ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი რაზვოზოვი ამას იმით ხსნის, რომ ფალელაშვილი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ნაკრებში მოხვედრის შანსს, მაგრამ წააგო საკონტროლო ტურნირი, იმ შეხვედრაშიც აგებდა და ამიტომ გამწარდაო. თუმცა გამწარებით თვითონ რუსული წარმოშობის რაზვოზოვიც არანაკლებ გამწარდა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ, როგორც გუნდის კაპიტანი, ყველაფერს გააკეთებს, ქართველს რომ ტატამი დაატოვებინოს. კაპიტნობისა თუ ქალაქის საკრებულოს წევრობის მიუხედავად, იქნებ რაზვოზოვს საწადელისთვის ვერც მიეღწია, მაგრამ ფალელაშვილის მდგომარეობას ის ამძიმებს, რომ მეტოქესთან ინციდენტის შემდეგ ნაკრების ავსტრიელ მწვრთნელ **ჰობერტ პოპაუერსაც** შეელაპარაკა. როგორ დამთავრდება ეს ამბავი, ვერ გეტყვით, მაგრამ ფალელაშვილი რომ მსოფლიოზე მოხვედრის ისედაც უმცირეს იმედს რომ საბოლოოდ გამოეთხოვა, ეს ცხადია.

**ირაკლი თავაძე**

მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო 75-ე წელს ულოცავს ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ოლიმპიური თამაშების ოთხგზის (1956, 1960, 1964, 1972) მონაწილეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **კობა წაქაძეს**.



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 75 წელს ულოცავს ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ოთხი ოლიმპიადის მონაწილეს, სსრ კავშირის ექვსგზისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, სსრ კავშირის თასის სამგზის მფლობელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **კობა წაქაძეს**.

კრივი




# ოთხი ქართველი მეოთხედფინალში

პოლონეთის ქალაქ შჩეცინში მოკრივეთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მიმდინარეობს. პლანეტის საუკეთესო ახალგაზრდა მოკრივის ტიტულებისთვის სხვებთან ერთად ქართველი სპორტსმენებიც იბრძვიან. სულ კი პოლონეთში 30 ევროპული ქვეყნის 230-მდე სპორტსმენი შეიკრიბა.

ყველაზე დაბალ, 48 კგ წონით კატეგორიაში **სევერიანე ჭილაძე** გამოდის. პირველ წრეში ქართველმა ფრანგ მოკრივეს, **დრის იალაოვის** მოუგო - 2:1. ფრანგული წყაროები წერენ, მსაჯებმა ჩვენი მოკრივე აშკარად დაჩაგრეს. ჭილაძე მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე შოტლანდიელი **იაინ ბუტჩერია**.

51 კგ წონით კატეგორიაში **ავთანდილ ჭუბაბრიამ** იასპარეზა. პირველ წრეში მან 11:3 დაამარცხა გერმანელი **ერიკ სოკოლოვი**. მეორე წრეში ჩვენებური რუს **გრიგორი ნიკოლაიჩუკს** შეხვდა. მატჩი 1:1 დასრულდა და მსაჯთა გადაწყვეტილებით გამარჯვება ნიკოლაიჩუკს მიენიჭა.

54 კილოში ჩვენებური **ადილ ასლანოვი** პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი გერმანელ **ედგარ ვოლტთან** დამარცხდა - 2:6.

შემდეგ წონით კატეგორიაში (57 კგ) **თორნიკე კოტრიკაძე** ყოჩაღობს. მან პირველ წრეში ჩეხ **ფილიპ რეიტერმანს** აშკარად აჯობა - 5:0, მერე ფინელ **პეტერი ფროიდჰოლმსაც** მოუგო - 6:2. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე თურქი **ბუნიამინ აიდინია**.

60 კგ-ში **დემნა კოტუა** პირველივე წრიდან გამოეთიშა ევროპის ჩემპიონატს, დემნამ მასპინძელ **კრისტიან სიელავასთან** 5:8 წააგო.

64 კგ-ში წარმომადგენელი არ გვყავს, 69-ში **ჯაბა ხოსიტაშვილმა** 10:0 მოუგო ლიტველ **ანდრიუს პალაიმას**. ჯაბა მეოთხედფინალში უკრაინელ **ივან ხომიაკს** გაეჯიბრება.

75 კგ წონით კატეგორიაში ორთაბრძოლები ქართველთა გარეშე ჩაივლის, 81 კგ-ში კი რინგზე **იაგო კიზირია** ჩაუქობს. იაგომ პირველ წრეში მოლდოველი **ნიკიტა სარიჩევი** დაჩაგრა - 10:0, მეორეში კი ალბანელი **ალექსანდერ რამოა** ჩამოიცილა გზიდან - 4:0. მეოთხედფინალში კიზირიას მეტოქე ესტონელი **რაინ კარლსონია**.

91 კგ წონით კატეგორიაში დღეს ჩაებმება ბრძოლაში **ჯუსტანი ნარსავიძე**, მისი მეტოქე პოლონელი **მარცინ სივია**. მძიმე წონაში მონაწილე არა გვყავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# თბილისელი დიდოსტატი უდანაკარგოდ იბრძვის

ვენაში გრძელდება დიდი საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირველობისთვის სხვებთან ერთად 12 დიდოსტატი და 23 საერთაშორისო ოსტატიც იბრძვის. უკვე გაცნობეთ, რომ თბილისელმა **დავით არუთინიანმა** (2584) ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია. მესამე ტურში მან საერთაშორისო ოსტატ **ბიორნ ბრინქ-კლაუსენს** დააყრევინა ფარ-ხმალი.

ტურნირზე პირველ ნომრადაა განთესილი ჰოლანდიელი დიდოსტატი **სერგეი ტივიაკოვი** (2678), რომელმაც, ასევე, ზედიზედ სამი მეტოქე დაამარცხა. შეჯიბრებაზე რეიტინგით მეორეა **დავით შენგელია** (2571). იგი ამჟამად ავსტრიის სპორტულ ღირსებას იცავს. ორი მოგების შემდეგ მესამე ტურში შავი ფიგურებით უტიტულო გერმანელს - **დენის აბელს** (2293) დანებდა, რომელსაც რეიტინგში 278 პუნქტით (!) უსწრებს.

ასევე, მოულოდნელი იყო თეთრი ფიგურებით ავსტრიელი დიდოსტატის **ნიკოლაუს სტანეკის** (2541) მარცხი ჰოლანდიელ **ლარს ოოტესთან** (2295).

სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი 22-მა მოჭადრაკემ მოაგროვა.

**ვაჟა დანელია**

# ბალტიის დედოფლის ბედი, შესაძლოა, დღეს გადაწყდეს

სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირზე **ქეთევან არახამია** (2506) რეიტინგით მხოლოდ **პია კრამლინგს** (2525) ჩამორჩება მცირედით, ამიტომ მას თავიდანვე მიიჩნევდნენ „ბალტიის დედოფლის“ ერთ-ერთ ფავორიტად, მაგრამ მისმა ულიმლამო სტარტმა სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს თითქოს იმედები გაუცრუა. კონკურენტთა სიიდან შოტლანდიის დროშით მოასპარეზე ქართველი დიდოსტატის ამოშლა ნაადრევი აღმოჩნდა, ქეთევანმა გუშინ ზედიზედ მესამე პარტია მოიგო და 4,5-4,5 ქულით კრამლინგთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს, ერთპიროვნულ ლიდერს **ეკატერინა ატალიკს** მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. საგულისხმოა, რომ გუშინდელ ტურში ევროპის პირველი ჩემპიონისა და 2006 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულ **ნატალია ჟუკოვას** მძლეველ არახამიას ტურნირზე ყველაზე ნაკლები ყაიმი (!) და სხვებზე მეტი მოგება (4) აქვს.

მეშვიდე ტურში კიდევ ერთი პარტია გამოდგა შედეგიანი - **ელიზაბეტ პეტცმა** შავი ფიგურებით ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი დაამარცხა, ხოლო ეკატერინა ატალიკი-**ჩჟაოცინ პენი, ვიქტორია ჩმილიტე-ანასტასია ბოდნარუკი** და **ირინა ტუროვა-იულია დიომინა** დაზავდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ 4 ქულით მეოთხეა ჩმილიტე. მომდევნო ადგილებზე მოდიან: პეტცი-3,5 ბოდნარუკი, ჟუკოვა, ტუროვა-3 (თითოეულს), დიომინა-2,5, პენი-2 ქულა.

დღევანდელი მე-8 ტურის ცენტრალური შეხვედრა იქნება ატალიკი-არახამიას ორთაბრძოლა, რომელმაც, შესაძლოა,


ქეთევან არახამია

პირველი ადგილის ბედიც კი გადაწყვიტოს. ქართველი მოჭადრაკისგან განაწყენებული ჟუკოვა თეთრი ფიგურებით კრამლინგს დაუპირისპირდება. პეტცს ჩმილიტეს წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. არადა, რეიტინგით ორივე თანაბარი ძალის მოჭადრაკეა - მათ შორის განსხვავება მხოლოდ 4 პუნქტია გერმანელის სასარგებლოდ. დანარჩენ ორ პარტიაში ერთმანეთს ხვდებიან პენი-დიომინა და ბოდნარუკი-ტუროვა. არა გვგონია, ამ ბოლო პაექრობათა შედეგებმა სატურნირო ცხრილში არსებითი ცვლილებები შეიტანოს.

**ვაჟა დანელია**

# საპრიზო ადგილებს ვერ შეწვდნენ

საბერძნეთში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „აკროპოლისი-2009“, რომელშიც 8 ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ჩვენებურებმა კვარცხლბეკზე ასვლა ვერ მოახერხეს. პირველი ადგილის 6-ქულიანი ფავორიტები - **ხრისტოს ბანიკასი** (საბერძნეთი, 2598)-**ბორკი პრედოევიჩი** (ბოსნია, 2644), **იოანის პაპაიოანუ** (საბერძნეთი, 2624)-**ათანას კოლევი** (ბულგარეთი, 2569) გუშინ ყაიმზე შეთანხმდნენ და პირველი-მეოთხე ადგილები, კოეფიციენტის გათვალისწინებით, ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს: პრედოევიჩი, ბანიკასი, პაპაიოანუ და კოლევი. ისინი მიუწვდომელი გახდნენ იმ მოჭადრაკეებისთვის, რომლებსაც 4,5-4,5 ქულა ჰქონდათ, რადგან **სერგეი აზაროვი** და **ედუარდას როზენტალისი, ოლეგ რომანიშინი** და **ვლადიმირ ბელოვი, აბჰიჯეკ გუფთა** და **ნიჯათ მამედოვი, იური იაკოვიჩი** და **ალბერტო დავიდიც** დაზავდნენ.

ქართველ მოჭადრაკეთა პაექრობები ბოლო ტურში ასე დამთავრდა:

**სალომე მელია-თამაზ გელაშვილი** 0:1, **ნიკოლოზ მანაგაძე-ადამ ტუხაევი** 0,5:0,5, **მუსტაფა ილმაზი-ლევან აროშიძე** 0,5:0,5, **ნანა ძაგნიძე-იოანის გეორგიადისი** 1:0, **ინგა ჭარხალაშვილი-კონსტანტინოს სკაპერდასი** 0,5:0,5, **ეპამინონდას კურუსისი-მაია ლომინეიშვილი** 0,5:0,5, **ინგა ხურცილავა-ეკატერინი პავლიდუ** 1:0.

ამდენად, „აკროპოლისზე“ ქართველთა მონაგარი ასეთია: თამაზ გელაშვილი-6 (მან მეხუთე-მეთხუთმეტე ადგილები გაინაწილა), ნანა ძაგნიძე და ნიკოლოზ მანაგაძე-5,5-5,5, სალომე მელია და ლევან აროშიძე-5-5, ინგა ჭარხალაშვილი-4,5, ინგა ხურცილავა-4, მაია ლომინეიშვილი-3,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

# ჩერნოგორიას ბელარუსი მირჩევნია, ოლიმპიას კი ზადარი


უტევს ვლადიმერ ბოისა

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ. ეს სიბრძნე საკალათბურთო კონტექსტში ასე ჟღერს: მითხარი, როგორი სეზონი გქონდა კლუბში და გეტყვი, როგორ ითამაშებ ნაკრებში. ეს გამონათქვამი ყველაზე უკეთ ვლადიმერ ბოისას მიესადაგება. როცა იგი სლოვენიის "ოლიმპიას" კაპიტნობდა და ქულას ქულაზე აგროვებდა, ნაკრებშიც ერთ-ერთი მთავარი სნაიპერი იყო. "ოლიმპიადან" ვოვა იტალიურ "მონტეპასკიში" გადავიდა და მას შემდეგ მხოლოდ დაცვით კალათბურთელად იქცა, შეტევისთვის კი ველარ იცლიდა. ნაკრებში მისმა ქულთა მონაგარმაც იკლო. სამწლიანი მოგზაურობის შემდეგ (იტალია, რუსეთი, ესპანეთი) ვლადიმერ ბოისა ხორვატიის "ზადარში" გადავიდა, სადაც მწვრთნელი ბოლომდე ენდობოდა და რიგ მატჩებში 25 ქულამდე ადიოდა. გასულ სეზონში შეტევაში თამაშის გამოსწორება ვოვას სანაკრებო მონაგარსაც დაეტყო. ამხანაგურ მატჩებში და ლუქსემბურგთან ბოისა ნაკრების სნაიპერთა სამეულში იყო. შაბათს ლუქსემბურგს 19 ქულა ჩაუგდო...

**მასთან საუბარი სწორედ ამ შეხვედრით დავიწყეთ.**

- ძნელია ისეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში, რომლის ყველა კალათბურთელი შენზე ერთი თავით დაბალია. მეტოქე 55-60 ქულის სხვაობით რომ დაგვემარცხებინა, ვიტყოდი – ჩვენი საქმე კარგად შევასრულეთ-მეთქი. მესამე პერიოდში ცუდად ვითამაშეთ და საბოლოოდ 42-ქულიანი უპირატესობა დავაფიქსირეთ. მეტი შეგვეძლო.

**- შეთამაშების მხრივ რა მდგომარეობაა?**

- ლუქსემბურგთან მატჩის მიხედვით ამ კომპონენტზე საუბარი ძნელია. ამ შეხვედრაში გუნდური და ბოლომდე დალაგებული კალათბურთი ვერ ვუჩვენეთ, რადგან დიდი სხვაობით მოგება გვსურდა და ყოველი იერიშისას ვცდილობდით, 24 წამი ბოლომდე არ გამოგვეყენებინა, რათა მეტი სროლა მოგვესწრო.

**- მომდევნო მატჩზე რისი თქმა შეგიძლია?**

- ირლანდია ძლიერი გუნდია, ბოლო წუთამდე მჯეროდა, რომ შვედეთს სათანადოდ შეებრძოლებოდა. არც ირლანდიელთა გამარჯვებას გამოვრიცხავდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც შვედეთმა მოუგო... ჩვენც დიდი ბრძოლა გვმართებს, მით უმეტეს, რომ შინ ვთამაშობთ.

**- დარჩენილ მატჩებს როგორ ხვდებით?**

- დიდი ხანია, თბილისში თამაში არ ნაგვიგია. არც წლეულს უნდა დავმარცხდეთ. თუმცა კონცენტრირება გვმართებს, რადგან კალათბურთის თამაში ყველამ ისწავლა. შვედეთსა და სლოვაკეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მათ ყოველთვის ძლიერი გუნდები ჰყავდათ. ამიტომ 100 პროცენტით მზად თუ არ ვიქნებით, თუნდაც ირლანდიის ძლევა გაგვიჭირდება.

**- როგორ ატყობ, მზად ხართ?**

- ძლიერი შემადგენლობა და მწვრთნელთა შტაბი გვყავს. შეკრებაზეც შესანიშნავი პირობები გვქონდა. კალათბურთის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, სათანადოდ რომ მომზადებულიყავით. შეკრება ევროპის ცენტრში გავიარეთ, ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან 50 კილომეტრის მოშორებით შტაინბურნში ვვარჯიშობდით. არენა 24 საათი ჩვენს განკარგულებაში იყო, ასევე გვქონდა ტრენაჟორების დარბაზი და საუნა... რამდენიმე კალათბურთელი გვიან შემოგვიერთდა, თუმცა წლების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ვთამაშობთ და გუნდთან მორგება არ გასჭირვებიათ.

**- ახლა ყველა თქვენ მიერ ჩაგდებულ ქულებს ითვლის...**

- შვედეთთან მატჩამდე ქულათა მაქსიმალური სხვაობა უნდა დავიბევოთ, რადგან პლეი ოფში ჩერნოგორიას ავცდეთ. ვფიქრობ, ეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, რადგან წლების განმავლობაში ბალკანეთში ვთამაშობ და ჩერნოგორიულ კალათბურთს კარგად ვიცნობ. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: თბილისში ისინი 30 ქულის სხვაობითაც რომ დავამარცხოთ, განმეორებით შეხვედრაში 35-ქულიანი ჰანდიკაპით წავაგებთ. ჩერნოგორიაში არაერთხელ მითამაშია და ვიცი, რაოდენ იოლია მათთვის 25-30-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა.

**- ჩერნოგორიას თუ გადავეყარეთ, განწირულები ვართ?**

- განწირულები არავისთან ვართ. ძლიერი ნაკრები გვყავს და მათთან შედარებით ჩვენც გვაქვს პლუსები. გამარჯვება შეიძლება, თუმცა პლეი ოფში სასურველი მეტოქე მაინც ბელარუსი იქნება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ ჯგუფური ეტაპი გვაქვს გასავლელი.

**- ახლა "ზადარზე" ვთქვათ. ამ ხორვატულ კლუბთან ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმე...**

- ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე ბევრი ვიფიქრე. შეიძლებოდა, ვთქვათ, იტალიაში წავსულიყავი, მეცხრე-მეათე ადგილებისთვის მებრძოლა, თუმცა ხორვატიასთან შედარებით უკეთესი ხელფასი მქონოდა. მაგრამ "ზადარში" დარჩენა გადავწყვიტე, რადგან იქაურობას უკვე შევეჩვიე, ბევრი მეგობარი მყავს, თან მწვრთნელი ზმაგო საგადინი ბოლომდე მენდობა და ვიცი, სათამაშო დრო საკმარისად მექნება. ახალ გუნდსა და უცხო ატმოსფეროს ხორვატიაში დარჩენა ვამჯობინე. ერთ სეზონს "ზადარში" გავატარებ, შემდეგ შევხედავ...

**- ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადადგი. "ზადარი" ხომ ხორვატიის ჩემპიონატის პარალელურად ულების თასზე და ადრიატიკის ლიგაში თამაშობს.**

- მთავარი არა მონაწილეობა, არამედ მიზნებია. კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულ შემადგენლობას კრებს და ულების თასზე საუკეთესო რვა გუნდში გასვლას გეგმავს, ადრიატიკაზე – ოთხეულში, ხოლო ხორვატიის ჩემპიონატში პირველობას. ვნახოთ, რა გამოგვივა.

**- როგორც შევიტყვე, საინტერესო წინადადებას ყოფილი კლუბი, სლოვენიის "ოლიმპია" გთავაზობდა...**

- ლიუბლიანელები ძალიან აქტიურობდნენ. ისინი ევროლიგაზე თამაშობენ, თუმცა ბევრი ფიქრის შემდეგ ისევ ზმაგო საგადინთან, "ზადარში" დარჩენა გადავწყვიტე, რადგან ვიცი, ადრე თუ გვიან, "ოლიმპიაში" კიდევ მომიწევს დაბრუნება. შეიძლება, ეს კარიერის ბოლო კლუბი იყოს. მე ხომ ბინა ლიუბლიანაში მაქვს...

საქართველო-ირლანდია. მატჩის წინ

# არ ამოვასუნთქოთ ირლანდია!



ცქიტიშვილი ირლანდიელთა გარემოცვაში

დღეს, 19 საათზე საქართველოს ნაკრები წლის მეორე ოფიციალურ მატჩში ირლანდიას უმასპინძლებს. განვლილ დღეებში ვრცლად ვისაუბრეთ სატურნირო ცხრილსა და თითოეული ქულის მნიშვნელობაზე, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ **იგორ კოკოშკოვის** კრებულს რაც შეიძლება, მეტი სხვაობით მოგება სჭირდება, რათა შვედებს გადაასწროს და პლეი ოფში ჩერნოგორიას ასცდეს.

ლუქსემბურგთან ქართველებმა 42 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს, მეტოქეს 73 ქულის ჩაგდების უფლება მისცეს, რაც შეტევაში სტუმართა მეტ-ნაკლებად დამაჯერებელ თამაშზე მიუთითებს. სწორედ ეს არ უნდა დავუშვათ ირლანდიასთან. ერთი მხრივ, კალათბურთელებმა მეტოქე ბოლომდე უნდა გამოწურონ, მეორე მხრივ, გულშემატკივარმა იაქტიუროს და ირლანდია დიდი წნეხის ქვეშ მოაქციოს. ოღონდ ეს არ უნდა ატარებდეს პერმანენტულ სახეს – თამაში ისე უნდა წავიყვანოთ, რომ 40 წუთის განმავლობაში ირლანდია ფსიქოლოგიურად ვერ გაიმართოს. ამას კუნძულელთა ჯინი არ გვალაპარაკებს, უბრალოდ, ფიბა-ს სისტემაა ასეთი დაუნდობელი...

გუშინ, საქართველოს ნაკრების კარი მასმედიისთვის გაიღო. საშუალება გვქონდა საკუთარი თვალით გვენახა, რაოდენ მონდომებით ვარჯიშობენ ეროვნული გუნდის კალათბურთელები. ბოლოს "ღია კარის დღე" ლუქსემბურგთან მატჩის წინ მოეწყო. მაშინდელთან შედარებით ვარჯიში გაცილებით ინტენსიური იყო. საწვრთნელი პროცესის დასრულების შემდეგ კალათბურთელები დიდი ხნის განმავლობაში ისროდნენ კალათის მიმართულებით. მათ ხომ კარგად მოეხსენებათ, რაოდენ მნიშვნელოვანია ირლანდიის კალათში ჩაგდებული ყოველი ქულა. ხოლო, დაცვაში როგორ დავდგებით, ამას ხვალ ვიხილავთ.

ლუქსემბურგთან მატჩის წინ ჩატარებული ღია ვარჯიშისას **მანუჩარ მარკოიშვილი** ექიმების გარემოცვაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, გუშინ კი ბურთით ხელში მოედანზე შევიდა, თუმცა არ ურბენია. ექიმების თქმით რეაბილიტაციის პროცესი კარგად მიდის, თუმცა არ ამბობენ, როდის ითამაშებს მანუ. ეს საკითხი მწვრთნელმა სწორედ ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს.

ამხანაგურ მატჩებში დიდი დატვირთვა დაადგა **გიორგი შერმადინს**, რომელიც აცხადებს, რომ კარგი შეკრების შემდეგ სასურველ კონდიციებშია და ირლანდიასთან მატჩისთვის მზადაა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ირლანდიას მეოთხედ ვეთამაშებით. პირველად 1999 წლის 20 მაისს დავუპირისპირდით და 80:78 ვაჯობეთ. მეორედ 2000 წლის 21 მაისს გავეჯიბრეთ და 95:80 მოვუგეთ, ხოლო მესამედ შარშან ვძლიეთ – 94:77. იმ მატჩში **ვიქტორ სანიკიძემ** 31 ქულა ჩააგდო.

საქართველოსა და ირლანდიის გასული წლის დაპირისპირების გახსენებისას კუნძულელთა თავკაცმა **ჯეი ლარანგამ** (მოთამაშე მწვრთნელია) აღნიშნა, რომ მისი გუნდი ფარქვეშ აშკარად დაიჩაგრა. სწორედ ამიტომ, წლეულს ორი ტანმაღალი ახალწვეულის იმედი აქვს **ჯეისონ კილენის** და **მაიკლ უილიამსის**. მწვრთნელმა იქვე დასძინა, რომ საქართველოს ნაკრები შვედეთთან ერთად B დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

იმედია, ამ სიტყვების სიმართლეში დღევანდელი მატჩი დაგვარწმუნებს. მანამდე კი შეგახსენებთ – ნაკრებს აქტიური ქომაგობა სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ევროპის ჩემპიონატი
B დივიზიონი. C ჯგუფი. მეორე წრე.
15 აგვისტო
საქართველო-ლუქსემბურგი 19:00
19 აგვისტო
საქართველო-ირლანდია 19:00
22 აგვისტო
საქართველო-სლოვაკეთი 19:00
26 აგვისტო
საქართველო-შვედეთი 19:00
სპორტის სასახლე
adjarabet
HYUNDAI
Drive your way™

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ ნოდარ ბოლხაშვილთან

# ფრანგი ქალების ქართველი მეტრი

## რა მოსწონთ და რა უკვირთ გალებს ჩვენი




მისი ცხოვრება რალაცით კონკიის ზღაპარს ჰგავს - დაიბადა რაჭის ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან სოფელ ლებში და რამდენიმე წელიწადში პარიზში ამოყო თავი, გზად კი თბილისი გაიარა და ჭიდაობის მადლსაც აქ აზიარა მართლაც რომ მადლიანმა მოძღვარმა, **რევაზ მინდორაშვილის** აღმზრდელმა **მარლენ ოსიყმაშვილმა.**

**ნოდარ ბოლხაშვილმა** 2007 წელს საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზეც იჭიდავა და **ლაშა ქეთიშვილთან** წააგო. მისი გვარიც პირველად მაშინ გავიგე, თუმცა იმ დროს იქ უკვე სახელოვანი მწვრთნელი იყო. ბოლხაშვილი დღეს საფრანგეთის ქალთა ნაკრებს წვრთნის და შედეგიანადაც.

მასთან ინტერვიუ ერთი საკითხის გამო პირადად ჩემთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა და ვფიქრობ, ეს მკითხველსაც დააინტერესებს. ვერაფრით ვიფიქრებდი, მსოფლიოს ამ ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის მოჭიდავეები ასე „მათხოვრულ" ხელფას-პრემიებზე თუ იქნებოდნენ. ბუნებრივია, არის ქვეყნები, სადაც მოჭიდავეები ბევრად მეტს იღებენ და ცხოვრებასაც იწყობენ, მაგრამ ბოლხაშვილთან საუბრის შემდეგ თქვენც იფიქრებთ, რომ ჩვენს სპორტსმენებს საწუწუნო არაფერი აქვთ. დანარჩენს ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ნოდარ, ჭიდაობა სად დაიწყეთ?**

- თბილისში, ფალავანთა კლუბში მარლენ ოსიყმაშვილთან. ვჭიდაობდი 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში და ვიყავი საქართველოს ნაკრების წევრი, საფრანგეთში კი 2003 წელს აღმოვჩნდი რევაზ მინდორაშვილის დახმარებით. ის თავის ფრანგ მეგობრებს დაუკავშირდა და სპარინგპარტნიორად ჩემი თავი შესთავაზა. ფრანგებს ამ წონაში ვენსან აკა აკესე ჰყავდათ და იმის სპარინგად წამიყვანეს. მოგვიანებით ნიუ იორკში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა, მე კი ქალთა ნაკრებში გადამიყვანეს დამხმარე მწვრთნელად და ათენის ოლიმპიადის წინ სწორედ იქ ვმუშაობდი. ათენში ქალებმა მშვენიერი შედეგი აჩვენეს - ანა გომესმა (55) და ლიზ ლეგრანდმა (63) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, მე კი იქ დარჩენა და ფრანგთა სახელით ჭიდაობა შემომთავაზეს. მეც დავთანხმდი და დავრჩი. 2006 წელს მოქალაქეობაც მივიღე, 2007-ში კი ევროპის ჩემპიონატზეც ვიჭიდავე. სამწუხაროდ, წარუმატებლად, რადგან პარალელურად თუ არ იმუშავე, საფრანგეთში სპორტით ცხოვრება ძალიან ძნელია. ქართველ სპორტსმენებს ათჯერ მეტი ხელშეწყობა აქვთ, ვიდრე - იქ. მაგალითად, ქალებში მსოფლიოს ჩემპიონის კვარტალური ხელფასი 1000 ევრომდეა, ანუ თვეში - 300 ევრომდე. ამიტომ იძულებულია, პარალელურად იმუშაოს. საფრანგეთში ძალიან გაუკვირდათ აქაური პრემიები - იქ ოლიმპიურ ჩემპიონობაზე მხოლოდ 50 ათასი ევროა გათვალისწინებული და ისიც იბეგრება. ვარჯიშის და მუშაობის შეთავსება რა ძნელია, მოგეხსენებათ. თან იქ სწავლაც აუცილებელია და სპორტს ამიტომ ეკიდებიან მოყვარულთა დონეზე.

**- აბა, ძიუდოში როგორ მიაღწიეს პროფესიულ დონეს?**

- ძიუდოში ბევრად მეტი ხალხი ვარჯიშობს. თავისუფალ ჭიდაობაში 15 ათასი ლიცენზიაა გაცემული, ძიუდოში - ნახევარი მილიონი. თითო ლიცენზია 100 ევრომდე ღირს და ძიუდოს ფედერაციას მარტო ამ თანხებით შეუძლია თავისი სპორტსმენების ფინანსური უზრუნველყოფა. საფრანგეთში სახელმწიფო პრემიები ყველასთვის ერთია, მაგრამ ძიუდოში სპონსორების, კლუბების, მუნიციპალიტეტების თუ სხვათა მეშვეობით ქვეყნის ჩემპიონი თითქმის იმდენს იღებს, რამდენსაც - ოლიმპიური ჩემპიონი. იქ ჭიდაობა არაა იმდენად განვითარებული და ახლა ცდილობენ მის პოპულარიზაციას. ბერძენ-რომაელებს ოლიმპიადაზე ორი მედალი ჰქონდათ - ოქრო და ბრინჯაო, რომლებიც ძმებმა კრისტოფ და სტივ გენოებმა მოიპოვეს. სხვათა შორის, საფრანგეთში რომ ჩავედი, ექვსი თვე მათთან ერთად ვცხოვრობდი. ჩვენთან ერთად ბინაში ორი ვლადიკავკაზელი ოსიც იყო - ვადიმ გიგოლაევი და კაზბეგ მისიკოვი.

**- თუნდაც ამ ძმების წარმატება, ან ქალების მიერ მოპოვებული მედლები არ უწყობს ხელს ჭიდაობის პოპულარიზაციას? არ არის ეს საკმარისი სტიმული სპონსორებისთვის?**

- ხელს კი უწყობს, მაგრამ სტაბილური შედეგებია საჭირო. ასე, საუკუნეში ერთხელ მოპოვებული მედალი არ კმარა. ამ წარმატებამდე ფრანგებს ოლიმპიური მედალი ლამის 90 წლის წინ ჰქონდათ - ანრი დეგლანისა.

ბოლო ხანებში ჭიდაობაშიც მოიზიდეს სპონსორები, გაჩნდა რალაც თანხა, რამაც საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების საშუალება მისცა. ბერძნულ-რომაულში საკმაოდ ნორმალური გუნდი დააყენეს და ახლა თავისუფალშიც ცდილობენ იმავეს გაკეთებას. ბალავაძის ტურნირის წინ შეკრება თბილისში გაიარეს და აქაურობა ისე მოეწონათ, სხვაგან წასვლა არც უნდათ. მათი დიდი სურვილია, სისტემატურად ჩამოვიდნენ აქ - წელიწადში სამი-ოთხი შეკრება გაიარონ. ახლაც დამირეკეს, სექტემბერში აპირებენ ჩამოსვლას. საფრანგეთში დაახლოებით 100 კლუბია და საქართველოსთან ურთიერთობა ყველას უნდა. რუსეთშიც ძალიან კარგი სკოლაა, მაგრამ იქ ჩვენნაირი მასპინძლობა არ იციან და აქ ურჩევნიათ. თანაც ვიზები, რეისები - ეს ყველაფერი რუსეთთან მიმართებაში უფრო პრობლემურია, ვიდრე - საქართველოსთან.

აქ ჩამოსვლის სურვილი მხოლოდ ფრანგებს არ ამოძრავებთ. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ აქაური სკოლისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა. ამას წინათ იტალიელთა მწვრთნელი მელაპარაკა და იმასაც უნდა ჩამოსვლა. საქართველოში დიდი საჭიდაო კომპლექსი რომ იყოს, მაშინ ბევრი გუნდი ჩამოვიდოდა, მაგრამ ახლა ამის საშუალება არაა. ფალავანთა კლუბი პატარაა და ყველა მსურველს ვერ დაიტევს. თუნდაც ძიუდოს აკადემიის მასშტაბის კომპლექსი რომ იყოს დაახლოებით 100-კაციანი სასტუმროთი, საკმარისი იქნებოდა. ფრანგები რომ იყვნენ, „ბატესტაში" დავაბინავეთ და დარბაზში ხან მე მომყავდა, ხან დავით ხურციას და ხან ვის. თვითონ კი არ გამოუთქვამთ პრეტენზია, მაგრამ აჯობებდა, ეს პატარა პრობლემაც არ ყოფილიყო. ამის მიუხედავად, ფრანგები იმდენად კმაყოფილები იყვნენ, დარბაზში ისე თბილად ხვდებოდნენ, წასვლა არ უნდოდათ. რუსეთსა და უკრაინაში დარბაზში რომ შევდივართ, ყველა გვიბღვერს და ხმას არ გვცემენ, აქ კი სულ სხვანაირი სიტუაციააო.

**- იქ მწვრთნელთა სოციალური პირობებიც ისეთივე ცუდია, როგორიც - სპორტსმენებისა? აქაურ მწვრთნელებს რომ შევადაროთ?**

- იქ ნაკრებში მომუშავე რამდენიმე მწვრთნელი, მაქსიმუმ 10 კაცი იღებს ხელფასს, 2 500-დან 3 000 ევრომდე. საინტერესოა, რომ მათ მოპოვებულ მედლებზე პრემიები არ ეძლევათ. კლუბებში მომუშავე მწვრთნელებს თვითონ კლუბები აძლევენ ხელფასს, მაგრამ ძალიან ცოტას - 300 ევრომდე. ესეც იმ შემთხვევაში, თუ კარგი კლუბია. იქაური მწვრთნელები ენთუზიაზმზე მუშაობენ - თვითონაც ყოფილი მოჭიდავეები არიან და უყვართ ეს სახეობა. თან თვითონაც აქტიურ სპორტულ ცხოვრებაში ეთვლებათ. საქართველოში სპორტს თავს რომ დაანებებენ, ქეიფს და ლხინს გადაჰყვებიან ხოლმე, იქ კი ცხოვრების ბოლომდე ვარჯიშობენ.

**- სამწვრთნელო ასპარეზზე ქალთა ნაკრებში რა შედეგებს მიაღწიეთ?**

- ათენის ოლიმპიადაზე მოპოვებულ ბრინჯაოებს მთლად მე ვერ დავიბრალებ, მაგრამ რალაც წვლილი კი მიმიძღვის. აი, მსოფლიოს ჩემპიონ ოდრი პრიეტოზე (59) კი შემიძლია ვთქვა, რომ მასთან მუშაობა ნულიდან დავიწყე და დღეს ერთ-ერთი წამყვანი სპორტსმენია საფრანგეთში. იგი ჩემპიონი ბაქოში გახდა 2007 წელს. მეორე სეზონში ბრინჯაო მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლები სხვებმაც მოიპოვეს.

**- იქაურ ცხოვრებას, ფრანგულ მენტალიტეტს იოლად შეეგუეთ?**

- კონკურენტი არავის უყვარს და თუ ასეთად არ გიყურებენ, თან გადაგყვებიან. თავიდან, როცა მოჭიდავედ ჩავედი, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ სამწვრთნელო ასპარეზზე ცოტა პრობლემები გამიჩნდა. უსიამოვნებები ათენის ოლიმპიადის დღეებშივე დაიწყო - პირდაპირი რეპორტაჟისას გოგოებმა ტელევიზიით მადლობა გადამიხადეს და მისალმების ნიშნად ხელი დამიქნიეს. იქაურებმა ამაზე იეჭვიანეს. მოგვიანებით პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სპორტსმენებთან ერთად მეც მიმიწვია, რამდენიმე იქაური კი - არა. ამაზეც გაბრაზდნენ, მაგრამ მათიც მესმის - გოგოები წლინახევრის ჩასულზე უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე - იმათზე. ეს ეპიზოდები, თორემ მთელ გუნდთან, სხვა ნაკრებებთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თუმცა სიძნელე მაინც არის იქაური მენტალიტეტიდან გამომდინარე და ამიტომ რალაც დისტანციის დაცვას ვცდილობ. მაგალითად, მათ ყველაფერზე შეუძლიათ ხუმრობა. ისეთ რამეზეც კი, რაც ჩვენთვის წმინდაა. ასეთ შემთხვევაში ვუხსნი, რომ ეს ჩვენთან არაა მიღებული და ისინიც გაგებით ეკიდებიან.

**- გასაგებია, რომ ახლა იქ ცხოვრობთ, მაგრამ სამომავლოდ რას ფიქრობთ, აპირებთ აქ დაბრუნებას?**

- საქართველოს ვერ ველევი და დიდი სურვილიც მაქვს აქ დაბრუნების, მაგრამ ჯერ იქ ვმუშაობ. ისე თუ ავაწყობ საქმეს, რომ წელიწადის ნაწილი აქ გავატარო, ნაწილი - იქ, ჩემთვის იდეალური ვარიანტი იქნება.

სამწუხაროდ, ხშირად ვერც საფრანგეთში მოთამაშე ქართველ სპორტსმენებთან ვურთიერთობ, რადგან სულ შეკრებებზე ვარ. ძირითადად მორაგბეებს ვეკონტაქტები - ოთარ ელოშვილს, დავით სორდიას, რეზო გიგაურს, სერგო გუჯარაიძეს... ერთი-ორჯერ დავით ზირაქაშვილს და გოდერძი შველიძესაც შევხვდი. ჩემი მოსწავლე და ყოფილი მეუღლე ოდრი პრიეტოც კლერმონფერანიდანაა, სადაც სპორტული კლუბია, რომელიც ბევრ სახეობას აერთიანებს. იქ შევხვდი, როცა პრიეტოს მიღება მოუწყვეს, მაგრამ მათთან ურთიერთობა ვერ გავაგრძელე, რადგან შეკრებების და ტურნირების გადამკიდე კლერმონფერანში იშვიათად ვიყავი.

სხვათა შორის, მალე ელოშვილის ქორწილია - ფრანგი ქალი შეირთო და მეჯვარე ვარ.

**- მეუღლეს დიდი ხანია, გაშორდით?**

- ერთი წელიწადია, თუმცა ამას ჩვენი, როგორც მწვრთნელისა და სპორტსმენის ურთიერთობაზე არ უმოქმედია - დღემდე ჩემთან ვარჯიშობს. პიროვნულადაც იგივე დამოკიდებულება გვაქვს. უბრალოდ, ერთად აღარ ვცხოვრობთ.

საქართველო პრიეტოსაც ძალიან მოსწონს, მოხიბლული იყო აქაური დამოკიდებულებით, ადამიანური ურთიერთობებით. აქ ყველა რალაცას ჩუქნიდა, ცდილობდა, ყურადღება გამოეხატა... მას საჩუქრები კი არა, ადამიანური სითბო უხაროდა. ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ ოქროს ბეჭედი აჩუქა და ამაზე იტირა, ასეთი საჩუქარი მშობლებს არ გაუკეთებიათო. ახლაც ხშირად მირეკავს და კითხულობს აქაურობის ამბებს. ოლიმპიადაზეც ძალიან გვქომაგობდა. ერთხელ ისეთი კომენტარი გააკეთა იმ ომსა და პუტინზე, საფრანგეთში გააკრიტიკეს კიდეც, სპორტსმენის კვალობაზე ცოტა ზედმეტი მოუვიდაო. იქ ცდილობენ, სპორტი არ ჩარიონ პოლიტიკაში, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ჩარეულია. იმ ომზე რამდენიმე ინტერვიუ მეც მივეცი და შევეცადე, იქაურებისთვის რუსეთის ნამდვილი სახე დამენახვებინა. თუმცა ეს არც იყო საჭირო, რადგან ფრანგები, ზოგადად, ევროპელები, ისედაც კარგად ხედავენ ამას.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფათავა ბოვინას წინააღმდეგ

ბელგიის ქალაქ ვესტენდეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია, ორი ქართველი ჩოგბურთელი ასპარეზობს. ჩვენი ქვეყნის მე-3 და მე-4 ჩოგნები, **მაკა ჩახნაშვილი** (235) და **სოფიო შაფათავა** (400) ძალებს ვესტენდეს ჰარდის საფრის კორტებზე ცდიან. მაკას ბელგიელი **გალი დე ვაელი** (937) შეხვდა, 18 წლის ჩოგბურთელი, რომელიც მხოლოდ „უაილდ ქარდის" წყალობით მოხვდა ამ ტურნირზე. მაკა, რა თქმა უნდა, უცნობ ბელგიელს კარიერაში პირველად ეთამაშება. დე ვაელი ამას წინათ თურქულ ტურნირებში **მანანა შაფაქიძის** (559) პარტნიორი იყო წყვილებში. წესით, მაკას ბელგიელთან პრობლემები არ უნდა შეექმნას, აი, მერვედფინალში კი მას, სავარაუდოდ, მე-2 ნომრად განთესილ ფრანგ **სტეფანი ფორეტცთან** (129) მოუწევს დაპირისპირება. სოფიო შაფათავას პირველი წრის კენჭისყრაშიც არ გაუმართლა, მისი მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი რუსი **ელენა ბოვინაა** (278). მართალია, ბოვინა ახლა ძველ კონდიციებში ვერაა, მაგრამ მსოფლიოს ყოფილი მე-14 ჩოგანი მაინც ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეა. ტურნირის პირველი ჩოგანი ჰოლანდიელი **არანჩა რუსია** (111).

ვესტენდეს ტურნირის წყვილთა ბადეში ქართველებმა სხვადასხვა გუნდში თამაში გადაწყვიტეს. შაფათავა რუს **მარინა მელნიკოვას** (539) შეუწყვილდა, ჩახნაშვილიც რუს **ვასილისა დავიდოვას** შეუამხანაგდა. თუკი ქართველები წარმატებით ითამაშებენ, მათი წყვილები ტურნირის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ლეგიონერები

# მალაღურაძის ხუთი ქულა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ" კიდევ ერთი საწვრთნელი შეხვედრა გამართა. საკუთარ მოედანზე, „სტად დე ლა მედიტერანეზე" ლანგედოკელებმა ელიტური, მეორე დივიზიონის „კოლომიე" მიიღეს და 17:12 დაამარცხეს.

ალსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი „ბეზიემ" 7:12 წააგო. მალაღურაძე თამაშში 36-ე წუთიდან ჩაერთო. მან ოთხი წუთი ფულ ბეკის პოზიციაზე ითამაშა, მერე კი ჩვეულ ამპლუაში, ათი ნომრის პოზიციაზე გააგრძელა თამაში. მალაღურამ გუნდს ხუთი ქულა შესძინა (თითო საჯარიმო და გარდასახვა).

ფედერალ 1 დივიზიონში გათამაშება 20 სექტემბერს დაიწყება. იქამდე ბეზიელები კიდევ სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ. პირველ ტურში კი „რომენს" მიიღებენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



კალათბურთი — NBA სეზონის წინ

# აღმოსავლეთი 2010: საშუალო კლასი





ვაგრძელებთ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დამდეგ სეზონში გუნდების შანსებზე საუბარს. აღმოსავლეთი კონფერენციის სამი ფავორიტის წარდგენის შემდეგ, საშუალოთა ჯგუფში შემავალი გუნდების ჯერი დადგა, რომლებიც ორ ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ.

"საშუალოზე მაღალის" კატეგორიაში კარგმა გუნდებმა მოიყარეს თავი, თუმცა მათი რაოდენობა არც ისე დიდია. ხანგრძლივ პერსპექტივაში მათ რომელილაც მნიშვნელოვანი „ინგრედიენტი" არ ჰყოფნით პლეი ოფში მაღალი შედეგების მისაღწევად. პლეი ოფში კი ისინი ვალდებულნი არიან გავიდნენ.

## ატლანტა ჰოქსი

"ჰოქსმა" დიდი უპირატესობით დაიკავა კონფერენციაში მეოთხე ადგილი და ახლა, ნაყოფიერი ზაფხულის შემდეგ, ამ პოზიციის შენარჩუნების იმედი აქვს. "ატლანტამ" მოახერხა მნიშვნელოვანი თავისუფალი აგენტების - **მერვინ უილიამსის, მაიკ ბიბისა** და **ზაზა ფაჩულიას** შენარჩუნება და თან უკანა ხაზი "უორიორზიდან" შეძენილი **ჯამალ კროუფორდითა** და დრაფტზე აყვანილი **ჯეფ ტიგით** გააძლიერა.

ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია კროუფორდის ტრანსფერმა. ეს ის კალათბურთელია, რომელიც ერთი წამით არ ფიქრობს და ნებისმიერი შესაძლებლობისას ესვრის, დაცვაში თამაში კი არ უყვარს. მაგრამ ეს მცველი "ატლანტას" თითქმის უფასოდ ერგო, ხოლო **ფლიპ მიურეი**, რომელიც კროუფორდმა შეცვალა, კარგი პასებით არასოდეს გამოირჩეოდა. ასე რომ, კროუფორდი აუცილებლად სასარგებლო იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სათადარიგოთა სკამიდან მოუწევს მოედანზე შესვლა.

ამ დღეებში "ატლანტას" ბოლო შენაძენი გახდა გამოცდილი ფორვარდი **ჯო სმიტი**, ხოლო თუ გუნდი **ჯო ჯონსონთან** კონტრაქტის გახანგრძლივებასაც მოახერხებს, წლევანდელ ზაფხულს შეიძლება თითქმის იდეალური ეწოდოს.

## ჩიკაგო ბულზი

პლეი ოფში "ბოსტონ სელტიქსთან" ბრწყინვალე შვიდმატჩიანი სერიის შემდეგ, "ხარებმა" საკუთარი შეტევითი პოტენციალი შეასუსტეს, როცა "დეტროიტს" დაუთმეს მნიშვნელოვანი ფიგურა **ბენ გორდონი**. მაგრამ მეორე მხრივ, თუ **ლუოლ დენგის, კირკ ჰაინრიხისა** და **ჯონ სალმონსის** ტრიო ტრავმებს აიცილებს თავიდან, გორდონის არყოფნა შეიძლება ყველას დაავიწყდეს.

"ჩიკაგოს" წარმატებული თამაშის კიდევ ერთი ფაქტორი უნდა გახდეს ის პროგრესი, რომელსაც ახალგაზრდა ნიჭიერი კალათბურთელებისგან ელიან. **დერიკ როუზი, ჟოაკიმ ნოა** და **ტაირუს ტომასი** სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფიგურები არიან. მათი წყალობით, "ბულზი" 2010 წლის თავისუფალი აგენტების ბაზრისთვის ინახავს თავს და ამ ზაფხულს მსხვილი კონტრაქტების გაფორმებას არ ცდილობს. უახლოეს ხანში, სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვის მიზნით შეიძლება ტომასის ან ჰაინრიხის გაცვლას ველოდოთ და ამ შემთხვევაში, მომავალ ზაფხულს ჩიკაგოელებს შეეძლებათ რომელიმე სერიოზულ ვარსკვლავს გამოჰკრან ხელი.

## მაიამი ჰიტი

"ჩიკაგოს" მსგავსად, "ჰიტის" ხელმძღვანელობაც ეკონომიას აკეთებს და 2010 წლის ზაფხულს ელოდება, რათა გამოთავისუფლებული თანხით **დუეინ უეიდის** დონის ვარსკვლავი შეიძინოს. შარშანდელთან შედარებით ფლორიდელთა შემადგენლობა არ შეცვლილა. თუ უეიდი ტრავმებს აიცილებს თავიდან, 40-42 გამარჯვება და პლეი ოფში მოხვედრა რეალური ჩანს. უფრო მეტის მიღწევა **ერიკ სპოელსტრას** შეგირდებს გაუჭირდებათ, თუ, რა თქმა უნდა, **მაიკლ ბისლიმ** ძალიან არ მოუმატა თამაშს.

■ ■ ■

შემდეგ ჯგუფში შემავალი გუნდების შანსების შეფასება ყველაზე რთულია, რადგან ამ კლუბებმა შეიძლება ბრწყინვალე შედეგს მიაღწიონ ან სრული ფიასკო განიცადონ. მესამე ვარიანტი აქ არ არსებობს.

## ტორონტო რეპტორზი

კანადურმა კლუბმა ამ ზაფხულს დიდი ფული დახარჯა, მაგრამ მოიტანს თუ არა ეს დანახარჯები სასურველ შედეგს? 100 მილიონი **ჰედო თურქოგლუსა** და **ანდრეა ბარნიანის** კონტრაქტებზე და კიდევ 20 მილიონი **ჯარეტ ჯეკისთვის** - ეს, ალბათ, მეტისმეტია. მომავალში ამ ხელშეკრულებებმა, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას "ტორონტოს" სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტის კონტროლში.

მაგრამ თუ ფულზე არ ვილაპარაკებთ, ამ ტრანსფერებს შეიძლება წარმატებული ვუწოდოთ. "რეპტორზს" სწრაფი კალათბურთის თამაშის საშუალება მიეცემა. შემადგენლობა სავსეა ბრწყინვალე სნაიპერებით და ეს გუნდი რაღაცით იმ ძველ "ფინიქსს" მოგვაგონებს, რომელსაც **ბრაიან კოლანჯელო** ხელმძღვანელობდა.

მეორე მხრივ, "რეპტორზი" არა მარტო დოლარებს ფლანგავდა, არამედ ჭკვიანურ გარიგებებსაც ახორციელებდა. მათ თითქმის უფასოდ ერგოთ **რაშო ნესტეროვიჩი** და **მარკო ბელინელი**, ხოლო 2009 წლის დრაფტზე **დემარ დეროზანის** აყვანა გონივრულ ნაბიჯად შეფასდა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ **შონ მერიონისა** და **ენტონი პარკერის** დაკარგვამ შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს "ტორონტოს" ახალ სეზონში, ამიტომაც ახლა რთული სათქმელია, რა შედეგის მიღწევა შეუძლია ამ გუნდს.

## ვაშინგტონ უიზარდსი

შესაძლოა, "უიზარდსის" კალათბურთელები ფიქრობენ: *"2008-09 წლების სეზონში მხოლოდ 19 მატჩი მოვიგეთ. მაშინ მოდით, ვა-ბანკ ზე წავიდეთ და მიზნად ჩემპიონობა დავისახოთ"*. თუ "ბოსტონი" ჩემპიონი გახდა იმ დროს, როცა წინა სეზონში მხოლოდ 24 მატჩი მოიგო, რატომ არ შეიძლება დედაქალაქელებმაც იგივე გააკეთონ?

რა თქმა უნდა, "ვაშინგტონს" **რეი ალენისა** თუ **კევინ გარნეტის** დონის კალათბურთელები არ შეუძენია, მაგრამ "მინესოტადან" დაიმატა **მაიკ მილერი** და **რენდი ფოიე**, გარდა ამისა, კლუბის ბანაკიდან გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელდა **გილბერტ არენასი**.

სიმართლე რომ ითქვას, "უიზარდსის" მთავარი შენაძენი მწვრთნელი **ფლიპ სონდერსი** გახდა. დიახ, მის კარიერაში ყოფილა წარუმატებელი პლეი ოფები, მაგრამ მან მოგებაც იცის. სონდერსმა ბოლოს და ბოლოს უნდა აიძულოს ვაშინგტონელები, დაცვა ითამაშონ, ხოლო ნიჭიერ ახალგაზრდებს - **ჯავალ მაკგის, ანდრე ბლეტჩსა** და **ნიკ იანგს** აუხსნას, თუ რას ნიშნავს გუნდური კალათბურთი. თუ არენასი ძველ დონეს დაუბრუნდება და ფორმას აღიდგენს, "ვაშინგტონს" მართლა შეუძლია გაისროლოს.

---

კალათბურთი

### ევრობასკეტი 2009. საკვალიფიკაციო

**A ჯგუფი**

**ბელგია-ბოსნია 102:79**

23:21, 23:26, 30:11, 26:21

ბელ: ვან დერ იონკპეიდი (20), ლოუერსი (16), ბეგინი (13), ერველი (12+10 მოხსნა), მბენგა (7).

ბოს: ვარდა (17), ბაირამოვიჩი (12).

სატურნირო მდგომარეობა: ბოსნია - 3 მოგება/1 წაგება; ბელგია - 2/1; პორტუგალია - 0/3.

**B ჯგუფი**

**ფინეთი-საფრანგეთი 77:73**

15:13, 18:23, 21:15, 23:22

ფ: რანიკო (21), მოტოლა (17+9 მოხსნა), კოპონენი (15+4 პასი).

ს: დე კოლო (18), ა. დიაო (15), ტრაორე (12), მაინმი (12).

სატურნირო მდგომარეობა: საფრანგეთი - 3 მოგება/1 წაგება; ფინეთი - 1/2; იტალია - 1/2.

## რუბიო: ორი წლის შემდეგ NBA-ში

ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელი **რიკი რუბიო** კიდევ ორი წელი აპირებს ევროპაში თამაშს. "ძველი კონტინენტის" საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი 2009 წლის დრაფტში "მინესოტა ტიმბერვულვზმა" მეხუთე ნომრად აირჩია, თუმცა რუბიო თავის ამჟამინდელ კლუბში მოქმედი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დარჩება, ეს კი კიდევ ორწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

*"ბადალონაში დარჩენა და "ხუვენტუდში" თამაში გადავწყვიტე. თუ რამე არ შეიცვლება, მომავალ სეზონშიც აქ ვიქნები. ვფიქრობდი, რომ ამ სეზონში შევძლებდი NBA-ში გამგზავრებას, მაგრამ სიტუაცია ძალიან აირია. ორი წლის შემდეგ ჩემს კონტრაქტს ვადა ეწურება, თავისუფალი ვიქნები და NBA-ში წავალ. თუ სხვა ევროპულ გუნდში მომიწევს გადასვლა, კონტრაქტს მხოლოდ ორი სეზონისთვის გავაფორმებ"*, - ამბობს რუბიო "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## ერმანმა კახა ლაბორალი აირჩია

არგენტინელი ფორვარდი **ვალტერ ერმანი** (30 წლის, 206 სმ) ესპანურ კლუბ "კახა ლაბორალში" (ყოფილი "ტაუგრესი") გააგრძელებს კარიერას. ამ კალათბურთელს მეორე ესპანური გუნდი "უნიკახაც" ეპატიჟებოდა, მაგრამ ვიტორიელებმა არგენტინელს უკეთესი პირობები შესთავაზეს.

ერმანი გასულ სეზონში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობდა. "დეტროიტ პისტონზის" რიგებში მან 60 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 3.9 ქულა და 1.8 მოხსნა დააგროვა.

გოლფი

## ვუდსის უიღბლო წელი

თანამედროვეობის საუკეთესო გოლფისტი, ლეგენდარული ამერიკელი **ტაიგერ ვუდსი** მეორე ადგილზე გავიდა "დიდი ოთხეულის" ტურნირების სერიის რიგით მეოთხე ჩემპიონატში (PGA Championships).

ვუდსი თითქმის მთელი ტურნირი ლიდერობდა, მაგრამ მას ბოლო მომენტში კორეელმა **იან-ენ იუნმა** გაუსწრო. ასე რომ, 2004 წლიდან მოყოლებული, პირველად მოხდა, როცა ტაიგერ ვუდსმა სეზონში "დიდი ოთხეულის" (The Masters, U.S. Open, The Open Championship და PGA Championship) ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო.

ჩოგბურთი

## WTA-ში პრეზიდენტი შეიცვალა

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს გახლავთ 38 წლის **დევიდ შუმეიკერი**, რომელმაც კანადელი **სტეისი ალისტერის** ადგილი დაიკავა.

შუმეიკერის მთავარი მიღწევა ის არის, რომ მან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა სატიტულო სპონსორთან, რომელიც WTA-ს 88 მილიონ დოლარს მოუტანს. გარდა ამისა, ახალმა პრეზიდენტმა წლის შემაჯამებელი ტურნირების ჩატარებაზე შეთანხმებას მიაღწია დოჰასთან (2008-2010) და სტამბოლთან (2011-13), ეს კი მის ორგანიზაციას 84 მილიონ დოლარს შემატებს.

**ATP**

**W & S Financial Grp**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 3 000 000 დოლ.**

**I წრე**

**ჟილ სიმონი** (საფ, 9)-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:3, 6:2; **ივო კარლოვიჩი** (ხორ)-გაელ მონფილსი (საფ, 13) 6:4, 6:7(5), 7:6 (2); **მარინ ჩილიჩი** (ხორ, 14)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:3, 6:4; **ჟერემი შარდი** (საფ)-ტომი რობრედო (ესპ, 15) 6:3, 7:5; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხ, 16)-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 7:6 (2), 1:0 ტროიცკის უარი; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორ)-ფლორან სერა (საფ) 4:6, 6:3, 6:4; **მარატ საფინი** (რუს)-რობი ჯინეპრი (აშშ) 7:5, 7:6(2); **სემ კუერი** (აშშ)-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (საფ)-მიშა ზვერევი (გერ) 6:7(4), 7:5, 6:3; **ხოსე აკასუსო** (არგ)-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:4, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპ)-დუდი სელა (ისრ) 6:4, 1:0 სელას უარი; **დავიდ ფერერი** (ესპ)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 7:5, 6:2; **ბენჯამინ ბეკერი** (გერ)-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:3, 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუს)-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:1, 7:5.

**WTA**

**Rogers Cup**

ტორონტო (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 2 000 000 დოლ.**

**I წრე**

**მარია შარაპოვა** (რუს)-ნადია პეტროვა (რუს, 10) 6:3, 6:4; **ალიონა ბონდარენკო** (უკრ)-მარიონ ბარტოლი (საფ, 13) 6:4, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა** (14)-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:3, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტა)-ამელი მორესმო (საფ, 15) 6:2, 3:6, 6:1; **აგნეს შავაი** (უნგ)-ვალერი ტეტრო (კან) 6:2, 6:4; **ეკატერინა ბონდარენკო** (უკრ)-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 7:6(4), 6:2; **არავან რეზაი** (საფ)-ალიზ კორნე (საფ) 6:4, 7:5; **სამანტა სტოსური** (ავსტრა)-ჰეიდი ელ ტაბახი (კან) 7:6(2), 7:6(4); **რობერტა ვინჩი** (იტა)-სტეფანი დუბუა (კან) 6:1, 6:2; **სიბილ ბამერი** (ავსტრია)-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 3:6, 6:4, 6:2; **პატი შნიდერი** (შვეიც)-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:2, 6:1; **აი სუგიამა** (იაპ)-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:4.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

---

ოლიმპიზმი

## როგე ნასვლაზე ალაპარაკდა



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ მზად არის 2013 წელს დატოვოს პოსტი, როცა მის უფლებამოსილებას ვადა ამოეწურება.

ბელგიელმა ჩინოვნიკმა 2001 წელს შეცვალა ესპანელი **ხუან ანტონიო სამარანჩი**. ამა წლის ოქტომბერში, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია გაიმართება. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგეს კიდევ ოთხი წლით აირჩევენ პრეზიდენტის პოსტზე. ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა ცალსახად მიანიშნა ყველას, რომ მორიგი ოთხწლიანი ციკლის შემდეგ, არ გამორიცხავს ოლიმპიური მოძრაობის დატოვებას.

*"იმ შემთხვევაში, თუ 2013 წელსაც პრეზიდენტად ამირჩევენ, ვგრძნობ, რომ ოლიმპიურ კომიტეტში კიდევ ცხრა წელი მუშაობა მომიწევს. ჩემი აზრით, ეს არაეთიკური საქციელი იქნება. ალბათ, სოკ-ის პრეზიდენტი ხანგრძლივი ვადით მოღვაწეობის შემდეგ, საპატიო პრეზიდენტად უნდა აირჩიონ და პენსიაში გაუშვან. ვფიქრობ, 2013 წელს კომიტეტის დატოვების დრო დადგება და ალმასკომი გადაწყვეტს, რა მომიხერხოს"*, - განაცხადა როგემ.

## ჩინეთიც იბრძოლებს

ჩინეთის ქალაქი ჰარბინი 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას აპირებს. ქალაქის მთავრობამ უკვე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და ახლა, სახელმწიფო მხარდაჭერას ელოდება. წელს, ჰარბინმა ზამთრის უნივერსიადას უმასპინძლა. ამ სპორტული ფორუმისთვის მზადებისას 3.1 მილიარდი იუანი (453.7 მილიონი დოლარი) დაიხარჯა. ეს თანხა, ძირითადად ოლიმპიური დონის სპორტული ობიექტების მშენებლობას მოხმარდა. ასე რომ, ჰარბინს შესაბამისი ინფრასტრუქტურა უკვე გააჩნია.

თუ ჩინეთის მთავრობა მოიწონებს ჰარბინის განაცხადს და მას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 15 ოქტომბრამდე გაგზავნის, ქალაქი ოფიციალურად დარეგისტრირდება პრეტენდენტად. სავარაუდოდ, 2018 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძოლებენ მიუნხენი (გერმანია), ჟენევა (შვეიცარია), ტრომსიო (ნორვეგია) და პიონჩანგი (ჩრ. კორეა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

მძლეოსნობა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# 20 მეტრი 1,61 წამში!

## უსაინ ბოლტი ამერიკულ ფეხბურთში მიიწვიეს



სპორტულ სამყაროში მთავარი განსახილველი თემა კვლავაც 100 მეტრზე **უსაინ ბოლტის** ფენომენური რეკორდია. მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 100 მეტრზე ფინალური გარბენის ბიომექანიკური გამოკვლევის შედეგები. შეგახსენებთ, რომ 22 წლის იამაიკელმა სპრინტერული დისტანცია 9,58 წამში დაფარა.

მეცნიერებმა 100 მეტრი ხუთ ტოლ მონაკვეთად დაყვეს. როგორც გაირკვა, ყველაზე სწრაფად ბოლტმა 60-დან 80 მეტრამდე მონაკვეთი გაირბინა. ეს 20 მეტრი იამაიკელმა სპრინტერმა 1,61 (!) წამში დაფარა. ამ მონაკვეთზე მისი საშუალო სიჩქარე 12,4 მ/წმ (44,7 კმ/სთ) იყო.

სასტარტო 20 მეტრი უსაინმა 2,89 წამში დაფარა, მომდევნო მონაკვეთი - 1,75-ში, მესამე - 1,67-ში და ბოლო მეხუთე - 1,66 წამში.

თავად ბოლტმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ახალი რეკორდი მისი თვითმიზანი არ ყოფილა: *"ჩემი ამოცანა იყო, უბრალოდ გავსულიყავი დისტანციაზე და კარგად გამერბინა, რადგან მეტოქეებისგან დიდ კონკურენციას ველოდი. ძალიან კარგი სტარტი გამომივიდა. პირველ 20 მეტრში მოვიპოვე ლიდერობა, რამაც გადაწყვიტა გარბენის ბედი".*

გარდა ამისა, იამაიკელმა თავისი აზრი გამოთქვა იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ახალი რეკორდის გაუმჯობესება: *"ვფიქრობ, რეკორდების ზრდა 9,4 წამზე გაჩერდება, მაგრამ ზუსტად ეს არავინ იცის".*

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, უსაინ ბოლტის გამოსვლას ამერიკული ფეხბურთის ლიგის (NFL) კლუბ "პიტსბურგ სტილერსის" რესივერი (ამ ამპლუის მოთამაშეს კარგი სისწრაფე უნდა ჰქონდეს და რთულ სიტუაციებში ბურთის დაჭერა უნდა ეხერხებოდეს) **ჰაინს უორდი** გამოეხმაურა. 2009 წლის სუპერბოულის გამარჯვებულის აზრით, 22 წლის იამაიკელისგან ამერიკული ფეხბურთის კარგი ოსტატი დადგება.

*"რა თქმა უნდა, ჩვენს თამაშს თავისი სპეციფიკა აქვს - აქ ძლიერი ფეხები უნდა გქონდეს, რათა სწრაფად ცვალო მიმართულება და მცველებს დაუსხლტე, - ამბობს უორდი. - ბოლტს მხოლოდ სწორ მონაკვეთზე სირბილი შეუძლია და უცნობია, "ზიგზაგებით" სირბილს როგორ მოახერხებს. მაგრამ მეორე მხრივ, ასეთ სიჩქარეს ვერ ისწავლი. ძალიან მინდა ვნახო, როგორ ითამაშებს ის ამერიკულ ფეხბურთს".*

# გაი 200 მეტრს არ გაირბენს

**უსაინ ბოლტი** 200 მეტრ დისტანციაზე მთავარი კონკურენტის გარეშე დარჩა. 100 მეტრზე ვერცხლის მედლის მფლობელი **ტაისონ გაი** "გრძელ სპრინტში" მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან საზარდულის ტრავმა გაუმიზეზდა.

დაზიანება იმდენად სერიოზული არ არის, რომ გაიმ ბერლინი დატოვოს და სამშობლოში გაემგზავროს. როგორც თავად ტაისონი აცხადებს, მან 200 მეტრის გამოტოვება 4x100 მეტრზე ესტაფეტის გამო გადაწყვიტა. ის მთელ თავის მონდომებას სწორედ ამ დისციპლინაში გამარჯვებისკენ მიმართავს.

*"200 მეტრზე გამოსვლით სერიოზული ტრავმის მიღების დიდი რისკი არსებობდა. ამიტომაც გავითვალისწინე ეროვნული ნაკრების ინტერესები და უარი ვთქვი ამ დისციპლინაში ასპარეზობაზე. ვფიქრობ, ასე უფრო უკეთ მოვემზადები ესტაფეტისთვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის",* - განაცხადა გაიმ.

შეგახსენებთ, რომ 100 მეტრზე სირბილში ტაისონმა 9,71 წამი აჩვენა, რაც ამერიკის ახალი რეკორდი გახლავთ.

სხვათა შორის, ამერიკელებისთვის ესტაფეტის მოგების შანსი გაიზრდება, თუ იამაიკის ნაკრების რიგებში არ გამოვა 100 მეტრზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი **ასაფა პაუელი**. გაის მსგავსად, ამ უკანასკნელმაც საზარდულის ტრავმა მიიღო და მისი მწვრთნელი **სტივენ ფრენსისი** ეჭვქვეშ აყენებს პაუელის ესტაფეტაში გამოსვლას.

*"დარწმუნებული არ ვარ, რომ ასაფა შეძლებს ესტაფეტის გარბენას. ის ნამდვილად გამოტოვებს საკვალიფიკაციო გარბენს, თუმცა პაუელის ფინალში გამოსვლა მაინც დიდ ეჭვს იწვევს",* - ამბობს მწვრთნელი.



შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე იამაიკის კვარტეტმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მაშინ სწორედ პაუელმა დაასრულა ტრიუმფალური გარბენი.

# რიჩარდსს ოქრო ეღირსა

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე დღეს მთავარი ფინალი ქალებს შორის 400 მეტრი იყო. როგორც იქნა, სამართლიანობამ იზეიმა და კარიერაში პირველ დიდ გამარჯვებას მიაღწია ამერიკელმა **სანია რიჩარდსმა**.

ეს მძლეოსანი ოთხი წელი დომინირებდა IAAF-ის სხვადასხვა ტურნირებზე, მაგრამ მთავარ შეჯიბრებებში ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს. 2005 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბაჰამელ **ტონიკ უილიამს-დარლინგთან** დამარცხდა, ორი წლის შემდეგ, ოსაკაში ტრავმამ შეაწუხა, შარშან, პეკინის ოლიმპიადაზე კი ტაქტიკური ბრძოლა წააგო და მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

სანია რიჩარდსი წელსაც ბრწყინავს მსოფლიოს სტადიონებზე. პლანეტის პირველობამდე მან „ოქროს ლიგის" პრესტიჟული სერიის ოთხი ტურნირი მოიგო და სეზონის საუკეთესო დროის ავტორიც გახლდათ. გუშინ, სანიას უძლიერესი კონკურენტები ჰყავდა და სპეციალისტები ისევ ვერ რისკავდნენ ამერიკელის უდავო ფავორიტად გამოცხადებას. მაგრამ ამჯერად, ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა.

რიჩარდსი თავიდან ჩრდილში იყო და აჩქარება ბოლო ვირაჟის დროს დაიწყო. ამერიკელმა ისეთი ტემპი აკრიფა, რომ ცხადი გახდა - მისი დამწევი აღარავინ იყო. მეორე ადგილისთვის ბრძოლაში კონკურენტი არ ჰყოლია იამაიკელ **შერიკა უილიამსს**, რომელმაც პეკინის ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგი გაიმეორა და აქაც ვერცხლი მოიპოვა. რუსმა **ანტონინა კრივოშაპკამ** ბრინჯაოს მედალი გამოსტაცა მეორე იამაიკელ **ნოვლენ უილიამს-მილსს**. მათ შორის სხვაობა 0.06 წამი იყო.

რაც შეეხება პეკინის თამაშების ჩემპიონს, ბრიტანელ **კრისტინ ოჰურუოგუს**, მან წამზე მეტი წააგო გამარჯვებულთან და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

სენსაციურად დასრულდა სამხტომში კაცების შეჯიბრი. მსოფლიოსა და ოლიმპიადის მოქმედი ჩემპიონი, პორტუგალიელი **ნელსონ ევორა** ყოველთვის და ყველგან ამარცხებდა ბრიტანელ **ფილიპ იდოვუს**, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყველა ძველი ფიასკოსთვის დამაჯერებელი რევანში აიღო და 18 სანტიმეტრით გაასწრო ევორას.

400 მეტრზე თარჯრბენში ორი წლის წინ მოპოვებული ტიტული დაიცვა ამერიკელმა **კერონ კლემენტმა**. მისი მთავარი მეტოქე ათენის თამაშების ჩემპიონი, დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი **ფელიქს სანჩესი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან პირველი ბარიერის გადალახვისას შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ, მერვე მივიდა ფინიშთან. კლემენტი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა და მეოთხე ოქროს მოგების შანსიც აქვს. როგორც წესი, ის 4x400 მეტრზე ესტაფეტაში გამოდის და ამ დისციპლინაში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი გახლავთ.

სანია რიჩარდსის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა კენიელი **ეზეკილ კემბოი**. წინა სამ ჩემპიონატზე ეს აფრიკელი ვერცხლის მედალს იღებდა სტიპლჩეზში და მხოლოდ მეოთხე ცდაზე მოახერხა ოქროს მედლის მოპოვება.

გუშინ, კიდევ ერთი მედალი ქალებს შორის შუბის ტყორცნაში გათამაშდა და აქ პირველი ოქრო მოიგო მასპინძელმა გერმანიის ნაკრებმა. 40 წლის **შტეფი ნერიუსმა** კარიერაში პირველად მიაღწია ასეთ დიდ წარმატებას.

### კაცები

**სამხტომი**

1. ფილიპ იდოვუ (ბრიტ) - 17.73; 2. ნელსონ ევორა (პორ) - 17.55; 3. ალექსის კოპელო (კუბ) - 17.36.

**3000 მ სტიპლჩეზი**

1. ეზეკილ კემბოი (კენ) - 8:00.43; 2. რიჩარდ კიპკემბოი მატეელონგი (კენ) - 8:00.89; 3. ბუაბდელა ტაჰრი (საფ) - 8:01.18.

**400 მ თარჯრბენი**

1. კერონ კლემენტი (აშშ) - 47.91; 2. ხავიერ კულსონი (პ-რიკო) - 48.09; 3. ბერშოუნ ჯექსონი (აშშ) - 48.23.

### ქალები

**შუბის ტყორცნა**

1. შტეფი ნერიუსი (გერ) - 67.30; 2. ბარბორა შპოტაკოვა (ჩეხ) - 66.42; 3. მარია აბაკუმოვა (რუს) - 66.06.

**400 მ**

1. სანია რიჩარდსი (აშშ) - 49.00; 2. შერიკა უილიამსი (იამ) - 49.32; 3. ანტონინა კრივოშაპკა (რუს) - 49.71.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| რომა-ალ შაბაბი | გადაიდო |
| რასინგი-სპორტინგი (ს) | 1:0 |

| ინგლისი | |
|---|---|
| სანდერლენდი-ჩელსი | 1:3 |
| უიგანი-ვულვზი | 0:1 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნსლი-პრესტონი | 0:3 |
| ბლეკპული-დერბი | 0:0 |
| ბრისტოლი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| დონკასტერი-ქოვენთრი | 0:0 |
| იფსვიჩი-კრ. პალასი | 1:3 |
| ნოტინგემი-უოტფორდი | 2:4 |
| პიტერბრო-ვესტ ბრომვიჩი | 2:3 |
| პლიმუტი-კარდიფი | 1:3 |
| სკანთორფი-მიდლსბრო | 0:2 |
| შეფილდი-ლესტერი | 1:1 |
| სუონსი-რიდინგი | 0:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრენტფორდი-ნორვიჩი | 2:1 |
| კოლჩესტერი-ჯილინგემი | 2:1 |
| ექსეტერი-იეოვილი | 1:1 |
| ჰარტლპული-როვერსი | 1:2 |
| ჰადერსფილდი-ბრაიტონი | 7:1 |
| ლეიტონი-ჩარლტონი | 1:2 |
| მილუოლი-ოლდჰემი | 2:0 |
| სტოკპორტი-კარლაილი | 1:2 |
| სუინდონი-საუთჰემპტონი | 1:0 |
| ტრანმერი-მილტონი | 0:1 |
| უოლსოლი-ლიდსი | 1:2 |
| უიკომბი-საუთენდი | 1:1 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ნორთჰემპტონი | 0:3 |
| ბარნეტი-მორეკამბი | 2:0 |
| ბორნმუთი-ალდერშოტი | 1:0 |
| ბრედფორდი-ლინკოლნი | 0:2 |
| ბარტონი-ტორკი | 0:2 |
| დაგენჰემი-შრიუსბერი | 5:0 |
| დარლინგტონი-ქრიუ | 0:1 |
| გრიმსბი-როტერჰემი | 1:2 |
| ჰერეფორდი-ბერი | 1:3 |
| მაკლსფილდი-პორტ ვეილი | 2:0 |
| როჩდეილი-ჩელტენემი | 0:1 |
| **კონფერენსი** | |
| უიმბლდონი-სალისბერი | 4:0 |
| ალტრინჩემი-ჰისტონი | 2:1 |
| კემბრიჯი-ქროული | 0:1 |
| ფორესტ გრინი-ლუტონი | 0:1 |
| გეიტშიდი-ტამუორტი | 1:1 |
| გრეისი-ისტბურნი | 1:0 |
| კიდერმინსტერი-კეტერინგი | 0:1 |
| მენსფილდი-ბაროუ | 4:1 |
| ოქსფორდი-ჩესტერი | 4:0 |
| რაშდენი-ჰეიესი | 2:1 |
| სტევენეიჯი-ებსფლიტი | 3:0 |
| რექსჰემი-იორკი | 1:0 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-შატორუ | 0:3 |
| ბასტია-ნიმი | 6:1 |
| კლერმონი-ლავალი | 0:0 |
| სედანი-აიაჩო | 1:3 |
| სტრასბური-არლი | 1:1 |
| კაენი-დიჟონი | 1:0 |
| ტური-ჰავრი | 2:0 |
| ვანი-ნანტი | 1:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი A-ხემნიცი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ბამბერგი-ფიურტი A | 1:6 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| **Challenge Cup** | |
| ანენი-ისტ სტირლინგი | 1:0 |
| კოუდენბითი-დანდი | 0:3 |
| ინვერნესი-სტრანრარი | 3:0 |
| როსი-მორტონი | 2:1 |
| სტირლინგი-სტენჰაუზმური | 3:1 |
| დანფერმლაინი-ქუინი | 1:2 |
| ელჯინი-ალბიონი | 3:0 |
| ფორფარი-პარტიკი | 1:6 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-სიოგნდალი | 1:2 |

| ირლანდიის თასი | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დანდალკი პენ. 4:2 | 0:0 |
| უოტერფორდი-კრამლინი | 2:0 |

### ჩოგბურთი

| ATP. ცინცინატი | |
|---|---|
| ვერადსკო-გარსია ლოპესი | 6:7, 6:7 |
| ფ. ლოპესი-მელცერი | 7:5, 6:7, 6:7 |
| ჰანესკუ-იუჟნი | 5:7, 2:6 |
| კოლშრაიბერი-გუჩიონე | 5:7, 6:2, 3:6 |
| სეპი-ჰერნიხი | 3:6, 6:4, 6:1 |
| სიოდერლინგი-ჰიუიტი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ფ. გონსალესი-ბერდიხი | 4:6, 0:6 |
| პეტცშნერი-ბოლელი | 7:6, 6:3 |

| WTA. ტორონტო | |
|---|---|
| ივანოვიჩი-რიბარიკოვა | 2:6, 6:3, 6:2 |
| კუდრიავცევა-კუანი | 2:6, 6:1, 7:6 |
| პეერი-ნიკულესკუ | 6:4, 4:6, 7:6 |
| საფაროვა-კანეპი | 6:4, 7:6 |
| ჟენგი-ვესნინა | 6:3, 6:2 |
| რაზანო-მაკაროვა | 6:7, 6:0, 6:2 |
| ვ. უილიამსი-ე. ბონდარენკო | 6:1, 5:7, 4:6 |
| ჰანტუხოვა-შვედოვა | 6:7, 6:7 |
| ციბულკოვა-ერანი | 6:4, 6:2 |
| ვოზნიაკი-კლეიბანოვა | 4:6, 4:6 |

## TV პროგრამა

### 19 აგვისტო. ოთხშაბათი

**I არხი**

18:55 კალათბურთი. ევრბასკეტი 2011. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ირლანდია (LIVE).
22:30 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. ლიონი-ანდერლეხტი (LIVE).

**რუსთავი 2**

22:30 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. პანათინაიკოსი-ატლეტიკო (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:00 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. სელტიკი-არსენალი.
09:05 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. სპორტინგი-ფიორენტინა.
11:10 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ჩელსი.
14:10 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. სელტიკი-არსენალი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. ტიმიშოარა-შტუტგარტი.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:45 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. სპორტინგი-ფიორენტინა.
21:45 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. პანათინაიკოსი-ატლეტიკო (LIVE).
00:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. I მატჩი. ლიონი-ანდერლეხტი.
03:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბარნლი-მანჩესტერ იუნ.
05:05 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სტოკი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

07:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. IV საკვალიფიკაციო რაუნდი. მიმოხილვა.
08:45 ბრძოლა წესების გარეშე.
12:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია.
13:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. კალგარი-ჩიკაგო. VI მატჩი.
15:00 სპორტული დღე.
15:45 ბადმინტონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალები. ინდოეთი.
18:15 ფიგურული სრიალი. აშშ-ის ჩემპიონატი.
20:30 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
22:00 სპორტული საღამო.
22:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბარნლი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სტოკი.
02:30 ახალი ამბები.
03:00 ბადმინტონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. ინდოეთი.
05:30 კალათბურთი. ევროლიგა. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. ბარსელონა (ესპანეთი)-ტაუგრესი (ესპანეთი). V მატჩი.

**EUROSPORT**

10:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. მიმოხილვა.
11:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. ბერლინი. გერმანია.
12:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
15:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. ბერლინი. გერმანია.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ტორონტო. კანადა.
18:15 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. ბერლინი. გერმანია.
19:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
23:45 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. მიმოხილვა.
00:15 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
00:55 მულტისპორტი.
01:00 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:05 გოლფ-კლუბი.
01:10 აფროსნობა. Medcup. კალიარი. იტალია.
01:40 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:45 მულტისპორტი.
02:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. ბერლინი. გერმანია.
03:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. მიმოხილვა.

ფორმულა 1

# რენომ გროსჟანი დაადასტურა



მას შემდეგ, რაც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ერთბოლიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნა "რენოს", ფრანგულმა საჯინიბომ სასწრაფოდ გამოაცხადა გუნდიდან დათხოვილი **ნელსინიო პიკეს** შემცვლელი. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრაზილიელი პილოტის ადგილს შვეიცარიელი **რომან გროსჟანი** დაიკავებს. მისი დებიუტი ფორმულა 1-ში 23 აგვისტოს, ვალენსიაში ევროპის გრან-პრიზე შედგება.

ამ სეზონში 23 წლის გროსჟანი სარეზერვო პილოტის მოვალეობებს ასრულებდა და შესაბამისად, აქამდე ჩატარებულ ყველა გრან-პრის ესწრებოდა, რაც მას გამოცდილების მიღებასა და "რენოს" ტექნიკური პერსონალის კარგად გაცნობაში დაეხმარა.

საერთოდ, შვეიცარიელი "რენოს" სპორტულ განყოფილებასთან დიდი ხანია თანამშრომლობს და ფრანგულ საჯინიბოსთან არსებული ახალგაზრდა პილოტების მომზადების პროგრამის წევრი გახლავთ. 2006 წელს, რომანმა "ფორმულა რენოს" ეროვნული სერია მოიგო, 2007 წელს ფორმულა 3-ის ევროსერიის ჩემპიონი გახდა, 2008 წელს კი GP2-ის აზიურ სერიაში გაიმარჯვა.

წლევანდელ სეზონში გროსჟანი Barwa Addax-ის წევრია და წარმატებით გამოდის GP2-ის სერიაში, სადაც ორი გრან-პრის მოგება მოასწრო.

*"ვამაყობ იმით, რომ "რენომ" პროფესიული დონის ამაღლების შანსი მომცა. მზად ვარ მივუჯდე R29-ის საჭეს და მაქსიმალურად კარგ შედეგებს მივაღწიო. ჩემთვის დიდი პატივია ფერნანდო ალონსოს პარტნიორობა. დებიუტი მაქვს გუნდში, სადაც თანაგუნდელად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მყავს - ეს ძალას მმატებს"*, - განაცხადა "რენოს" ახალწვეულმა.

*"გროსჟანი ნიჭიერია და მისგან შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნებას ველი. ეს ძალიან გვჭირდება, რადგან სეზონის მეორე ნაწილის აგრესიულ სტილში ჩატარებას ვაპირებთ. გარდა ამისა, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ნელსინიო პიკეს გაწეული სამუშაოსთვის და მას ყველაფერი საუკეთესო ვუსურვოთ"*, - ამბობს გუნდის შეფი **ფლავიო ბრიატორე**.

"რენოში" სარეზერვო პილოტის როლს **ლუკას დე გრასი** შეასრულებს, რომელიც პარალელურად GP2-ის სერიაში გააგრძელებს გამოსვლას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჭიდაობა

# ოლიმპიური ჩემპიონი ციხეში მოხვდა



1996 წელს ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი **კურტ ენგლი** ამერიკის პოლიციამ დააკავა. მოჭიდავეს ბრალი წაუყენეს ადამიანის ზრდის ჰორმონის შენახვაში. გარდა ამისა, ენგლი თავის მეგობარ გოგონაზე ზეწოლაშია დადანაშაულებული.

პოლიციამ 40 წლის ენგლი 16 აგვისტოს დააკავა, როცა ინფორმაცია მიიღო მოჭიდავის მხრიდან გოგონას მიმართ მუქარის შესახებ. აკრძალული პრეპარატი ენგლის ავტომობილში აღმოაჩინეს. მოჭიდავემ განაცხადა, რომ მას ზრდის ჰორმონის შენახვის უფლება აქვს, თუმცა პოლიციას შესაბამისი დოკუმენტი ვერ წარუდგინა.

ენგლმა 1995 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო თავისუფალ ჭიდაობაში, ერთი წლის შემდეგ კი ატლანტის ოლიმპიადის ოქროც მოიპოვა. ამერიკელი 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა.

1998 წელს ენგლმა კარიერა დაასრულა და რესტლერი გახდა. 2003 წელს, ჟურნალმა Pro Wrestling Illustrated-მა ამერიკელი წლის საუკეთესო რესტლერად დაასახელა.

კალათბურთი

# შაკი და ფრენბურთელები



კალიფორნიაში ჰერმოსბიჩის სანაპიროზე ლეგენდარული **შაკილ ო'ნილის** ტელეშოუს (Shaq vs) მორიგი გამოშვების ჩაწერა შედგა. ამჯერად, შაკის მოწინააღმდეგეები იყვნენ ქალთა შორის პლაჟის ფრენბურთში პეკინის ოლიმპიური ჩემპიონები - **მისტი მეი-ტრეინორი** და **კერი უოლში**. კალათბურთელისა და ფრენბურთელების მატჩის შედეგზე არაფერს იტყობინებიან.

როგორც იცით, ამ შოუში "კლივლენდ კავალიერზის" კალათბურთელი სპორტის ვარსკვლავებს მათსავე სახეობებში ეჯიბრება.

ჩოგბურთი

# სექსუალური ელენა





ცინცინატის ტურნირის ტრიუმფატორმა, სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** ფოტოსესია გამართა ჟურნალ Story-სთვის, სადაც მოდის მიმდევარი სექსუალური ქალბატონის სახე შექმნა. ჟურნალი სექტემბერში გამოვა, თუმცა ინტერნეტში უკვე გავრცელდა ამ ფოტოსესიის რამდენიმე სურათი.




თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge